სასაბუთო

ქალაქი

1863

X ოქტომბერი

ქელიწადი პირველი

ტფილისი

გაბრიელ მელქუმიანცის და ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბაში

I. ჩვენი დროების [illegible] მ. ყიფიანი
ქსები) (ილია) * * *
II. ერთი შოთხრობის [illegible] ზედ. მაქსიმ ლოლანიძისა.
II. ბელინსკის აზრები [illegible] პრინციპი . . ბ. ვ.
IV. სილრიბე [illegible]
IV. რედაქციისაგან.
VI. საბრალო ნი. [illegible] ეგოსი, თარგმ. გიორგი ჩი-
ჯავაძისა.

ბიბლიოთეკა

ლიტერატურო ჟურნალი

436655
F 10796

ТБИЛИССКИЙ ФИЛИАЛ
БИБЛИОТЕКА
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

გამოიცემის

ი. ჯავჯავაძისაგან

«ხოლო ლელვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან ლ გამოვალნ ფურცელნი, უწყოლეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული».
(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

ტომი III.

НЕ СЧИТАЕТСЯ

ტფილისი

საქართველო
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკ

გაბრიელ მელქუმიანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში

ჩვენის დროების გმირი.

(ლერმონტოვისა).

ყოველს წიგნში წინა-სიტყვაობა არის პირველი და მასთანავე უკანასკნელი საქმე. იგი იხმარება ან თხზულების საგანის გამოსაცხადებლად, ან თავის განსამართლებლად და განგ ცხვიან ბასუხის-გებად. მაგრამ ჩვეულებრივ წარმოითხველნი არაოდეს არ დასდევენ ზნეობით საგანთა და ყურნალების მტრობასა, და ამისათვის არა კითხულობენ ხოლმე წინასიტყვაობასა. მაგრამ საანურია, რომ ეს ასრე არის, მეტადრე ჩვენში. ჩვენი ხალხი ჯერეთ ისრე ემაწვილი და მცირე მსწავლული არის, რომ არ ესმის ძალი იგავისა, თუ ბოლოს არ არის გამოცხადებული ზნეობითი—სწავლა, იგი ვერ მიხვდება ხუმრობასა, ვერ იგრძნობს ალერსსა; მოკლედ ვსთქვათ, ცუდად არის ალზრდილი. მან ჯერეო არ იცის, რომა რიგიან საზოგადოებაში და რიგიან წიგნში ცხადს ლანძღვასა არა აქვს ადგილი; და ახალმა განათლებამ მოიგონა იარაღი უფრო მახვილიანი, თითქმის უხილავი, და მით მომატებულად მომაკვდინებელი, რომელიცა პირ-ფერობით შემოსვილი უთუოდ და შეუკავებელად დაჭკოდს. ჩვენი ხალხი ჭკვას სოფელში გაზდილ კაცს, რომელიც ყურს უგდებს მტრად გადაკვდიბულის სახლმწიფოების ორ დიპლომატის ლაპარაკსა და ჭკოსია, რომ ერთი და მეორეც თავის მთავრობას აცყუებს ერთმანეთის გულითადი მეგობრობისათვის.

ამ წიგ[illegible] ზოგი ერთთა წარმეითხველთა და თვით ყურნალებმაცა ვა[illegible]ეს ნამდვილი ჭეშმარიტი ამისი და მოსტეუვდნეს სიტყვის მნიშვნელობაზე ზოგიერთთა, ხუმრობა გაშვებით, საშინლად იწყინეს, რომ ამათ მაგალითად დაუყენეს ისრეთი გარეული კაცი, რომელიც არის «გმირი ჩვენის დროებისა»; ზოგიერთნი კი ძალიან მცთეიერულად ჭვრეტენ, ვითომ, რომა შემთხზველს დაუხატავს თავისი და თაკისი სატნობების სურათი . . . . ძველი და შესაბრალისი ხუმრობაა! მაგრამ სჩანს, რომა რუსნი ესრე არიან შექმნილნი, რომა მათში ყოველისთვერი განახლდება, ამისთანა უშესაბამოების გარდა. ჩვენში რაც უნდა მისნური მოგონებული ზღაპარი იყვეს, მაინც კიდევ არა შგონია, რომ ასცდეს ვისისამე წყრომასა, თითქო ვისისამე საწყენად იყოს დაწერილი?

«გმირი ჩვენის დროებისა» ჩემ მოწყალეო ხელმწიფეენო, ნამდვილი სურათია, მაგრამ არა ერთის კაცისა: ეს არის სურათი ყოველი ჩვენი შთამომავლობის ბოროტებისაგან შერდგენილი, თვისის სრულის განვრცელებით. თქვენ მე კიდევ მეტვით, არ შეიძლება იყოს კაცი ესრეთი ცუდი, მე თქვენ მოგახსენებთ, რომ თუ ვი გჯერათ ყოველ ტრაგედიებში და რომანებში ბოროტ მომქმედებლების ყოფნისა, მაშ რატომ არა გჯერათ ყოფნა ჩეჩორინისა? თუ კი თქვენ ეტრფოდით სხვა და სხვა მოგონილს ამბებსა, ამაზედ უფრო საშინელებსა და დუხჭირებსა, რატომ ეს ხასიათი (ასრე გაშინჯე, ისრე რაგორათაც მოგონილი), არა ჭეშეებს თქვენ შორის, შეწყენარებასა? ამის მიზეზით ხომ არა, რომ ამა თხზულებაში უფრო მომატებული ჭეშმარიტებაა, ვიდრელა თქვენ იგი გსურდათ? . . . . .

თქვენ იტყვით, რომა მართებული ყოფაქცევა ამით ვერ წარიმატებსო? უკაცრავად, საგმოდ ჭკვებეს ხალხი ტკბილის საჭმელებითა; მათ ამ ტკბილისაგან გუჭები გაუფუჭდათ: საჭირო არის მწარე წამალი, გულის დამწველი ჭეშმარიტებანი. მაგრამ არ ეფიქრათ ამას შემდგომ, რომ ამ წიგნის მთხზველს ჭქონდეს რადესმე ამბარტავნული ჭაზრი, რომ შეიქმნას ხალხის ბოროტების გან-

მწმენდელად ღმერთმან დაიფაროს ამისთანა უ[illegible]ვან! მას, მოკლეთ გითხრათ, ესიამოვნებოდა გამოხატვ[illegible]ოდრეკე კაცისა, როგორათაც მან იგი იგულისხმა; და, მის და თქვენ საუბედურად, ძრიელ ხშირად შეხვედრიდა. ისიც საკმაოა, რომ ავად მყოფობა ნაჩვენებია და რაგორ უნდა განიკურნოს — ის ღმერთმა იცის!

I.

ბ ე ლ ა .

მე მიგდიოდი ფოშტის ცხენებით ტფილისიდგან. ჩემი ბარგი იყო შერდგენილი ერთის ვაგონად ჩემადისაგან, რომელიც საზღვარამდისინ გატენილი იყო საქართველოში ვოგზაურობის აღწერილებით. მომატებული ნაწილი იმ აღწერილებისა თქვენს საბედნიეროდ დაკარგულია, და ჩემოდანი დანაშთენი ავეკებით ჩემს საბედნიეროდ, დარჩა მრთლად.

თითქმის მზე დაეწურა და ეფარებოდა თოგლიან ქედსა, რომ მიგედი კაიშაურის ვაკეზედ; ოსი, რომელიც უჯდა ვოგოსკასა, მოულალავად ერეკებოდა ცხენებსა, რომ კაიშაურის მთაზე თავდ ნათლივ ავსულვიყავით, და რაც შეეძლო დასძახოდა სიმღერასა, მშვენიერი ადგილია ეს კაიშაურის ვაკე! გარეშემო შემოზღუდვილია მიუდგომელი მთებით, მოწითლო კლდეები გადაბარნილნი მწვანე სურებით და დაგვირგვინებულნი ძელ-ქვის ბუჩქებით, ყვითელი დღოძები გადასაზული ღელეებით. და იქ მაღლა, ძალიან მაღლა ოქრის თვერ თოხებივით თოგლი; ძირს არაგვი და ერთი უსახელო წყალი მგლავ გადახვეულნი, რომელიც ხმაურობით გამოსდება ბნელისა და შავი ნისლით სავსე ხეობითგან, და არის ოქრის მკედივით გაგრძელებული და ელამს როგორათაც გველი თვისის გერსლითა.

რაკი მიგედით კაიშაურის მთის ძირში, დავდექით დუქნის მახლობლად. აქ ხმაურობით ირეოდნენ ოციოდე ქართველნი და მთიულნი; იმისავე მახლობლად დაბინავებულიყო აქლემების ქარვანი. მე უნდა მექირავნა ხარები ჩემის ტელეჟკის იმ წყეულ მთაზე ასათრევათა; ამისათვის რომა იყო შემოდგომა და საშინელი ჭირხლი,—და ამ მთის გვერდა არის ასასკელი სიგრძით ორი ვერსტი.

რა მექმნა, ვიქირავე სამ უღელი ხარი და რვადესიმეტრი. ერთმა მათგანმა შეიგდო მხარზე ჩემი ჩემადანი. სხვებმა დაუწყეს შველა ხარებსა თითქმის მარტო ხმაურობით.

ჩემ ტელეგკის უკან ყევარ ხარს ქარიგით მოჭქონდათ მეორე ტელეგკა, თუმცა პირამდინ სამსე იყო ბარგითა. ეს ძალიან გამიკვირდა მე. იმას უკან მოსდევდა პატრონი და სწყვდა ყაბარდოულ პატარა ვერცხლით მოჭედილ ჩიბუხსა, ტანთ ეცვა ათიტრის უეზოლეტებო სერთუკი და თავზე ეხურა ჩერქეზული ბანჯგვლიანი ქუდი. იქმნებოდა ორმოცდა ათის წლის კაცი; მისი შავგვრემანი სახე ამტკიცებდა, რომ დიდი ხნის ნაცნობი იყო გადმოლმა კავკასიის მზისა; მის მხნე შეხედულობასა და მარჯვე სიარულსა ჯერ კარ შეჭეთერდა მისი ჭალარა სარეკი ულვაში. მე მიკვდი იმასთანა და თავი დაუკარი; იმასაც თავი დამიკრა დაუხმაურებლათ ტ გამოაბოლა ჩიბუხის ვეება კომლი პირიდგანა.

«მგონია ჩვენ ერთმანერთის მგზავრები ვართ?»

იმან ხმის ამოუღებლად კიდევ თავი დამიკრა.

«თქვენ, ვეჭოვ, სტავროპოლში მიდიხართ?»

—დიახ, აგრე გახლავსთ. . . . სახელმწიფო ნიგოები მიმაქვს.

«თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რა მიზეზია, რომ თქვენი მძიმე ტელეგკა ორ უღელ ხარს აგრე მსუბუქად მიაქვს და ჩემი ცარიელის ატანა ამდენი ოსების შემწეობით სამ უღელ ხარს უჭირდება?»

იმან ვერაგულად გაიღიმა და მნიშვნელობით შემომხედა მე.—თქვენ, ვეჭოვ, არ არის დიდი ხანი, რაც კავკასიაში ხართ?

«ერთი წელიწადი იქნება.» ვუპასუხე მე.

იმან მეორეთ გაიღიმა.

«რა არი?»

—არა, ისრე! საშინელი ეშმაკები არიან ეს აზიელნი! თქვენ ასრე გგონიათ, რომა ამ ხმაურობით შველიან რასმე ხარებსა? რა ეშმაკი მიხვდება რასა ყვირიან? ხარებს კი ესმით მაგათი ყვირილი, შეაბით თუ გინდ ოცი, ეგენი თუ დაუხმაურებენ თავისებურად,

თვეს ალარ მოიცვლიან. . . . . სამინელი გაქნილები არიან! რას დაკვლებ? უეკვრთ გამლელ-გამოამლელისაგან თეულების გამოცინცვლა. . . გაასებიერეს ეგ ავაზაკები! ნახამთ, თუ არაყის თეულიც არ გამოგართვან. მე კი მაგათ ვიცნობ, ვერ მოამატყუებენ!

«თქვენ დიდი ხანია აქ ემსახურებით?»

—მე ალექსეი პეტროვიჩის (*) დროსაც აქ ვემსახურებოდი, მიპასუხა და წელში გაიმართა. როდესაც ის აქედ მოვიდა, მე ვიყავი მაშინ პოდპორუჩიკი. და მის დროს მივიღე ორი ჩინი ჩაჩანის ომში.

«ახლა?»

—ახლა ვირიცხები მესამე ლინეინის ბატალიონში. თქვენა, თუ თუ უკაცრავად არა ვარ?

მეც უამბე.

ლაპარაკი ამითი გათავდა. ჩვენ მიგდიოდით გაჩუმებულები ერთად. ზედ ქედზედ დაგვხვდა თოვლი. მზე ჩავიდა, ღამე და დღე მსწრაფლად გაიყარნენ; მაგრამ თოვლის შუქზე კარგად ვარჩევდით გზასა, რომელიც მიდიოდა ჯერეთ კიდევ პირშელმა, თუმცა ისრეთი ალმართი ალარ იყო, როგორც ქვემოთ. ჩემოდანი ტელეჟკაში ჩავაგდებინე, ხარების მაგიერად შეკაბმეკინე ცხენები და უკანასკნელად მოვხედე კაკესა; მაგრამ სქელი ნისლი, ჩამოწოლილი ხეობეებიდგან, ჭვარავდა მას სრულიად და არცა მცირედი ხმაურობა და გვესმოდა იქიდგან. ოსები შემოამეხვივნენ გარეშემო და ერთიანლით მთხოვდნენ არაყის თეულსა; მაგრამ შტაბს — კაპიტანმა ისრეთი მძვინვარებით შემოუტია, რომ მასვე ყამს დაითვანტნენ.— «რა ნაირი ხალხია!» სთქვა იმანა: «ჯერ პურის სახელი არ იციან რუსულათა და უსწავლიათ კი: «ათეცარ, დაი ნა ვოტკუ!» ჩემს ჯეუაში თათრები სჯობიან ამათა, იმითი მსმელები მაინც არ არიან. . . . . »

სტანციამდისინ დაგვრჩა კიდევ თითქმის ერთი ვერსტი. გარე-

(*) ერმოლოვი.

შემოიყო ეხმაურობა, იმრეთი უხმაურობა, რომ ბზუილზე შეიძლებოდა კოლოს ზედ მიჭყოლოდი. მარცხნივ ბნელად სჩნდა ხეობა; იმას იქით და ჩვენს წინ ლაჟვარდოვანი მთის წვერები, დახვრელილები, თოვლ გადათვრებულები გამოხატულ იყვნეს თვერ ნაგლულ ცაზე, რომელზედაც აჩნდა უკანასკნელი გარდმოცემული შუქი ბინ-ბუნდისა. ბნელ ცაზე შეჭქმნეს გაშკაში ვარსკვლავებმა, მე მეუცხოვა, რომ აქ ვარსკვლავები უფრო მაღლა მეჩვენენ, ვიდრე ჩვენს ჩრდილოეთის მხარესა გზის. ორივე მხარეზე ამოჭვინტულიყვნენ შავი ტიტვალი ქვები აქა იქა თოვლ ქვეშ ბუჩქებს ამოეყოთ თავები, შაგრამ არც ერთს გამხმარ თეურცელს მოძრაობა არა ჭქონდა; იმ მიჩუმებულ ადგილასა სასიამოვნო იყო ყურთა სმენისათვის თეუსტუნი დაღალული თოჩტის ცხენებისა და ხან გამოშვებითი წკარა-წკური ზარისა,

«ხვალ ჩინებული დარი იქმნება!» ვსთქვი მე. შტაბს—კაპიტანმა ხმა არ გამცა და მიმიშვირა თითი ჭირდაპირ ჩვენს წინ აყუდებული მაღალი მთისაკენ.

«რა არის ეგა?» ვკითხე მე.

—გუდ-გორა.

«რა არის მერე?»

—უეურეთ, როგორა ღრჩის.

მართლაც გუდ-გორას კოშლი ასდიოდა; გვერდებზე მიაცოცდებოდნენ მსუბუქი მღელვარე ღრუბლები, და ზედ თხემზე იდვა შავი ღრუბელი, ისრეთი შავი, რომა ბნელს ცაზე შავ ლაქად აჩნდა.

ჩვენ კიდეც გავარჩიეთ თოშტის სტანცია, მის გარეშე მდგომარე სახლის ერდოები და ჩვენსწინ გაშკაშებდნენ დანთებული საალურსო ცეცხლები. კიდეც წამოუბერა ნესტიანმა ქარმა, ხეობაში მოსცა ხმა და დაიწყო წვრილი წვიმა. ძლივს დავსწარი ნაბდის წამოსხმა, ჩამოყარა თოვლი. მე მოკრძალებით შევხედე შტაბს-კაპიტანსა. . . . .

— ჩვენ აქ დაგრჩებით ამაღამ, ჭსთქა იმან გაჯავრებით: ამისა-

თანა ქარიშხალში ამ მთას ვერ გადვეღით. ჯერ ჯერის გორაზე ზვავი არ ჩამოწოლილა? ჰკითხა ოსსა.

—«არა ყოფილა, ბატონო.» უპასუხა ოსმა იამშჩიგმა; «და გადმოკიდებული კი ბევრია. ბევრი »

რადგანაც ამ ფოშტის სტანციაში ოთახი არ იყო მგზავრებისათვისა, ამის მიზეზით შეგვიყვანეს ერთს კომლიან სახლში, მე სოვიპატიეე ჩემი თანა-მომგზავრე ჩაიზე, ამიტომ რომა მე მქონდა თუჯის ჩაიდანი, ის ჩემიმხოლოობითი ნუგეში კავკასიასა შინა მოგზაურობაში.

სახლი რომელშიაც ჩვენ დავბინავდით, იყო ერთის გვერდით მიტეუპებული კლდეზე; სამი სვეტი თეხ გასასტლომი კიბის საფეხური ჰქონდა ოთახში შესასვლელად. ხელის ტეტებით შევედი სახლში ლა მივეჯახე ძრიხასა: ამ ხალხსა ბოსელი მსახურების საფეხმის მაგივრათა აქვსთ. არ ვიცოდი საით წავსულვიყავი: აქ ბლავიან ცხვრები, იქ ძაღლი იღრიხება. ჩემს ბედზე გაიელვა ტეტხლის ალმა და ივან მაპოვინა რაღაც შესავალი. აქ თვალ წინ წარმოიდგა საკმაოდ შესაქცევარი სანახავი (гартина): გენიერი სახლი, ჯერი რომელისაცა იყო დათუძნილი ორს გამჯვარტნულ ბოძზე, სამსე იყო ხაჯხითა. ზედ შუა ადგილას ტკრციალებდა ტეტხლი მიწაზე; ერდოდგან უბერამდა ქარი, კომლი ზემოდგან ქვეით დაბრუნებული სქლად იყო გაშლილი სახლში ასე რომ ძლივს გავახილე თვალები. ტეტხლა ბირას ისხდნენ ორი ბებერი, ბევრი ბავშვები და ერთი გამხდარი ქართველი, ყველანი დაძონძილი ტანისამოსით. რაღას ვიქმოდით ჩვენც დავბინავდით ტეტხლა ბირასა, გავიგეთეთ ჩიბუხი და ჩაიდანმაც დაიწყო ალერსიანი შიშინი.

«საწყალი ხალხია!» უთხარი მე შტაბს-კაპიტანსა, და ვაჩვენე ჩვენი ტალახიანი ვასპინძლები, რომელნიც ხმა ჩაგმუნდილები ისხდნეა და გაშტერებით გვიყურებდნენ.

—საშინელი სუჯელი ხალხია! მიპასუხა იმანა. არ დაიჯერებთ? არა თვერი არა იციან რა, სრულიად არა რომელისამე განათლების ნიჭი არა აქვსთ! თუმცა ჩვენი ყაბარდოელები, ანუ ჩაჩნები ვაზა-

ბები, ლარტ-ბები არიან, მაგრამ თავ-ცარიელები მაინც არიან კაჟ-კაცობისათვისა; და ამათ იარაღის ხალისიც არა აქვთ: გერაგის, ტანზე ხეირიან ხანჯალს გერა სახამ. მართლაც, რომ ოსები ა-რიან!

«ჩასანშ. დიდი ხანი ბრძანდებოდით თქვენა?»

—დიახ ბარე ათი წელიწადი ვიდექი ერთის როტით ციხეში ქვის ფონთან (каменнаго брода),—ეცით?

«გამიგონია».

—აი მეგობარო ჩემო, თავ-ბედი გვაწყვლინეს იმ დაუდგრა-ებმა! ეხლა ძალობა ლმერთსა, მშვიდობიანად არიან უფრო. იყო ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ასი საბეჯი რომ გადაგვედგა თვრ-გალ გარეთ, უოუოდ იყო სადმე მოდარაჯებული ბანჯგვლიანი ეშ-მაკი: ერთი ბეწვა, რომ ჩაფიქრებულიყავი, მაშინვე ან ქამანდს გად-მოგაგდებდნენ კისერზე, ან ტყვეს მოგდებდენ კეფაში. მაგრამ ეო-ჩალები კი არიან!...

«მაშ, საგულვებელია. რომა ბეკრი შემთხვევა გქონიათ?» უ-თხარი მე გაშინჯვის მოუვარებით შეგულიანებულმა.

—როგორ არ უნდა გვქონოდა! ვგქონია....

აქ დაუწყო მარტკენა ულვაშს ძიძგნა, ჩაქინდრა თავი და ჩაფი-ქრდა. მე საშინლად მინდოდა ამოგეოქმევინებინა რამე ამბავი, ეს ა-რის სურვილი, შეთვისებული ეოველი მოგზაურისა და მწერალი კა-ცისა. აშასობაში ჩაიც ადუღდა; მე ამოვაძრე ორი სამგზავრო სტა-ქანი ჩემადნიდგანა, დავასხი ჩაი და ერთი სტაქანი შტაბს—კაპი-ტანს დაუდგი წინა. იმან მოხვრიტა და სთქვა თითქო თავის თა-ვად: ჭო, იყო ხოლმე!» ამ წამოთქმამ მოამცა დიდი იმედი. მე ვი-ცი რომ კაკასიელ ბერი კაცებს უყვართ მოლაპარაკება, ამბის მო-თხრობა; იმათ ისრე იშვიათად შეხვდებათ ხოლმე დრო დაპარაკი-სა, ამისათვისა, რომ ზოგიერთი ოთხი ხუთი წელიწადი დგას თა-ვის როტითა მიყრუებულ მივარდნილ ადგილასა, და ამ ხუთის წლის განმამავლობაში გამარეკვებასაც არავინ ეტყვის (ამისთვის, რო ფელდფებელი იტყვის: მსუნს თქვენი კარგად ეოფნა). სალაყბო

ბევრია: გარეშემო სულ მხეცი, გამომცდელი ხალხი არტყიათ; ყოველ დღე შიშია შემთხვევა არის ხოლმე საკვირველი, აქ უნებლიეთ შესწუხდება კაცი მასზედ, რაზედაც ჩვენში ასრე ეშვიათად დასწერენ ხოლმე.

«არ გინდათ მიუმატოთ რომი?» ვკითხე ჩემს თანა მესაუბრეს: მე მაქვს თეთრი (რომი), ტფილისიდგან; ეხლა ცივა.

—არა, გმადლობთ, არ გიახლებით.

«რატომ?»

—ისრე. დათვიცებული ვარ, არ უნდა დავლია. ერთხელ, როდესაც ჯერ ისრევ ბოდბორუჩიკი ვიყავი, ჩვენ ცოტა გადავლილიეთ, შევქეიფიანდით, და იმ დღეს შეგვექმნა ალიანქოთი; ჩვენც გამოვედით და დავმწკრივდით გადაღლეულები, ამისათვის მოგვხვდა კიდეცა, ალექსეი პეტროვიჩმა შეგვიტყო: ოჰ, რა ნაირად გაჯავრდა! ცოტა გაწყდა 1 ამართლის ქვეშ არ მიგვცა. მართალიც არის: ხანდა ხან მთელი წელიწადი სცხოვრებ, ვერავის ხედამ და აქ თუ არაფასაც მიჭეევი ხელი დაღუპული კაცი ხარ!

ეს, რო გავიგონე თითქმის იმედი გადვიწყვიტე.

—აი, თუ გინდ ჩერქეზები, სთქვა იმანა, ჩოცა დათვრებიან ბუზათი ქორწილში, ან მკვდრის დასათვლაებაზე, მაშინვე შეექმნებათ ხოლმე ყლეტა.

ერთხელ ძლივს დავახწიე თავი ცოცხალი, შერიგებულ თავადიშვილთან კი ვიყავი სტუმრად.

«ეგ როგორ მოხდა?»

—აი....(გაგვეთა ჩიბუხი, მოსწია ნათვაზითა და დაიწო მოთხრობა), ა ინებეთ მოხსენება, მე მაშინ ვიდექი როტითა ციხეში, თერგს გაღმა, სცალა ხუთიწელი წადი შესრულდება მას უკან. ერთხელ შემოდგომაზე მოვიდა საგზლის ურმები. თან მოზდევდა ათიცერი, უმარწვილი კაცი, ოცდა ხუთის წლისა. ის გამოცხადდა ჩემთან როგორც რიგია და გამომიცხადა, რომ ჭქონდა ბრძანება ჩემთან ციხეში დარჩომისა. ის იყო ისრეთი წკრილი, თეთრი, მუნდირი ეცვა ისრეთი ახალი, რომა მე მაშინვე მიგხვდი, რო ახალი გადმო-

შეკვნილი იყო კავკაზიაში. «თქვენ, ვეჭოვ,» ვკითხე მე იმასა, «რუსეთიდგანა ხართ გადმოყვანილი აქა?»—დიახ აგრე გახლავს, უთვალა შტაბს-კაპიტანო, მიპასუხა იმანა. ჩამოგვართვა ხელი და უთხარი: «დიდად სასიამოვნოა, დიდად. ცოტა მოწყენით კი იქმნებით . . . . მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენ მეგობრებად ვიქმნებით, თუ ღმერთი გწამსთ, დამიძახეთ მარტო მაქსიმ მაქსიმიჩი, ან რა საჭიროა ეგ სრული თორმა (წესი)? მოდით ხოლმე ჩემთან ყოველთვის შინაურულად.» მისცეს სახლი და დაბინავდა ციხეში.

«რა ერქვა იმას სახელად?»

—მას ერქვა . . . . გრიგორი ალექსანდროვიჩ პეჩორინი. კარგი უმარწყვილი კაცი იყო, შემიძლიან დაგარწმუნოთ; მაგრამ ცოტა უცნაური კი. მაგალითებრ, წვიმიან, ცივს დღეში, მთელი დღე იყო ხოლმე სანადიროდ; ყველანი დაიყინვებოდნენ, დაიღალებოდნენ—ის კი არაფერად მიიმჩნევდა. ხარდახან კი იჯდა ხოლმე თავის ოთახში, შემოუბერავდა ქარი, და მარწმუნებდა ხოლმე, რომა გაცივდიო; ფანჯარაზე მოსაფარებელ ფიცარს რომ ქარი მოახეთქებდა, შეხტებოდა და გაუვითლდებოდა; ჩემთან კი ერთხელ სანადირო ოთ ლ მარტო დაუწყო ბრძოლა გარეულ ტახსა. იყო ხოლმე შემთხვევა, რომა მთელი საათი ხმას ვერ ამოალებინებდი, და თუ კი ხანდახან დაიწყობდა ლაპარაკსა სიცილით მუცლები დაგვასკდებოდა ხოლმე . . . . დიახ ბევრი გასაოცარი ხასიათი ჰქონდა; მგონია მდიდარი კაცი უნდა ყოფილიყო: რამდენი წვრილმანი ძვირფასი ნივთები ჰქონდა! . . . .

«დიდხანსაცა სცხოვრებდა თქვენთანა?» ვკითხე კიდევ.

—ოიოქმის ერთი წელიწადი. მაგრამ ის წელიწადი სახსოვარი კი არის ჩემთვისა; ბევრი საცოდვილო საქმეები შემამთხვია მე იმანა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს! ხო საკვირველია, დაიბადება ხოლმე ისეთი კაცი, რომელსაც შუბლზე აწერია, რომა მას უნდა შემემთხვეს სხვა და სხვა გასასტერებელი საქმე!

«გასასტერებელი?» შეკვიცვლე მე გამოცდის მოყვარების სახით, და დაუმატე ჩაი.

— აი, მ ეთქვენ გიამბობთ: ჩვენი ციხიდგან ექვს ვერსტზედ იდგა ერთი შერიგებული თავადიშვილი. მისი შვილი თხუთმეტის წლის ბიჭი, შემოგვეჩვია ჩვენსა და ყოველ დღე მოდიოდა ხოლმე ხან რისთვის ხან რისთვის. მე და გრიგორი ალექსანდროვიჩმა, ის სწორეთ, გავასებიერეთ. რა საშინელი დაუდერგი და მარდი იყო ყოველ საქმეში: გაჭესებული ცხენიდგან ქუდის აღება, თოფის სროლა იმისთვის არავერი იყო. ერთი წუსი ჭქონდა, საშინელი ფუღის მუსუსი იყო. ერთხელ, ხუმრობით, გრიგორი ალექსანდროვიჩი დაჭვირდა ერთს ოქროს მოგცემო, თუ მამიშესის ცხენის ფარიდგან ერთს კარგს თხას მოიპარავო და მოგვერიო. თქვენ როგორ გგონიათ: მეორე ღამესვე ორქებით მოგვითრია. ხანდახან დაცინებით გავაჯავრებდით ხოლმე, თავლებში სისხამი მოუვიდოდა და მაშინვე ხანჯალს წაიკლებდა ხელსა. «აი, აზამატ, შენს თავს გაუფთხილდი,» ვეტყოდი ხოლმე მე: ავმანი იქმნება შენი ბაშკა!»

ერთხელ მოდის თვითონ მოხუცებული თავადი ჩვენს დასავტიუებლათა ქორწილში: უფრაზ ქალს ათხოვებდა, და ჩვენ იმისი მეგობრები ვიყავით; და არ შეიძლებოდა, იცით, უარის თქმა, თუშცა თათარიც იყო, წავედით. სოფელში დიდის ყეფით გამოგვეგებნენ მრავალი ძაღლები. როგორც დაგვინახეს ქალებმა, დაიმალნენ; მათგანს, რომელიც გავშინჯეთ, სილამაზისა არა ეცხოთ რა. «მე უკეთესები მეგონენ ჩერქეზის ქალები,» სთქვა გრიგორი ალექსანდროვიჩმა. — მოითმინეთ! უთხარი მე, სიცილითა. მე სხვა რამე მედო გუნებაში.

იმ თავადიშვილის სახლში მრავალი ხალხი იყო შეგროვებული. ასეთის ხალხს, იცით, ჩვეულებათ აქვთ ვინც შეხვდებათ, ნაცნობისა და უცნობის მოპატიუება ქორწილში იცავან. ჩვენ მიგვიღეს ყოველის პატივისცემით და შეგვიყვანეს სასტუმროში. მაგრამ არ დამვიწყებია დათვარიელება ადგილისა, სადაც ჩვენი ცხენები დაბეს, ვინ იცის? სიფთხილეს თავი არ აჭსტიეავო.

«როგორ დღესასწაულობენ ქორწილსა? ვკითხე მე შტაბსკაპიტანსა.

—ჩვეულებისამებრ. პირველად მოლა წაუკითხამს რაღასაც ყურანიდგანა; შემდგომ მეფე დედოფალ'ა და მათ ნათესავებს მისცემენ საჩუქრსა; ჭამენ, სმენ ბუზასა, შემდგომ დაიწყობა ჯირითი და ყოველთვის ერთი რომელიმე დაგლეჯილი, გაქოანილი, ცუდს, კოჭლს ცხენზე, იმტვრეკა, ოინბაზობს და აცინებს პატრონსან ხალხსა; შემდგომ როცა დაბინდდება, სასტუმროში გაიმართება ლხინი, ჩვენებურად ვსთქვათ, ბალი. საწყალი ბერი კაცი აწკარუნებს სამ სიმიან . . . . . დამავიწყდა რა ჭქვიან იმათებურად . . . . . როგორც ჩვენებური ბალალაიკაა რაღა. ყმაწვილი ბიჭები და გოგოები დამწკრიკდებიან ორ რიგად ერთი ერთმანეთის პირდაპირ, უკვრენ ტაშსა და მღერიან. აი, გამოვლენ ერთი ქალი ჯ ერთი კაცი შუაზე, და ეუბნებიან ერთმანეთს ლექსებსა სიმღერით, რაც მოხვდებათ, და სხვანი გარეშე მდგომარენი ეუბნებიან ბასსა. მე და პეჩორინი ვისხედით უპირველეს ადგილასა, და აი პეჩორინთან მოვიდა მასპინძლის თექვსმეტის წლის უნტროსი ქალი და მოასხენა სიმღერით ლექსი . . . . რაღაც! . . . . . გოამპლიმენტივით.

«რას მღერიდა, ხომ არ გახსოვსთ?»

—ჰო, მგონია, ესრე: «ტანადი არიანო, ჩ ენი ყმარწყვილი მოჯირითენიო და მათი კაბები ბუზმენტით მორთულიო, ყმარწყვილი რესის აფიცერი კი მათზედ უფრო ტანადიაო და ჩათვრიაში ბისი ოქროს ქსოვილიაო. ის როგორათაც ადგისხე არისო მათ შორის, მაგრამ ვერ იხეირებს ჩვენს ბალშიაო.» პეჩორინი წამოდგა, თავი დაუკრა, შუბლზე და გულზე ხელი მიიდო და მთხოვა მე, რომ მიმეცა პასუხი, მე კარგად ვიცი იმათებური, და გადუთარგმნე მისი პასუხი

—როცა ის ქალი განგაშორდა, მაშინ უჩურჩულე გრიგორი ალექსანდროვიჩსა: «აბა, რა გოგორია!» მშვენიერია! მიპასუხა იმანა: სახელად რა ჭქვიან?»

—მაგას ჭქვიან «ბელა» ვიუგე მე.

—და მართლაც, ლამაზი იყო: მალალი, წკრილი, შავი თვალე-

ბი მთის ქურციკივით, ისრე სასიამოვნოდ ჩამოგყურებდნენ გულში ვეჩოჩინი, ჩაფიქრებული თვალს არ აშორებდა, და ბელაც ხშირად გამოხედამდა ხოლმე ქვეშ ქვეშად. მაგრამ მარტო ვეჩოჩინი არ ეტრფოდა ლამაზ კრიალუნასა: სახლის კუთხიდგან მას უჭვრეტდა ორი თვალი, უძრავნი, და ცეცხლებრ აღგზნებულნი. დაცქერილი და ვიცანი ჩემი ძველი ნაცნობი ყაზბიჩი. ის, იცით, არც თუ შერიგებული იყო, არც თუ შეურიგებელი. იმაზედ ეჭვი ბევრი ჰქონდათ, თუმცა არასოვერს აკაზაკობაში არ იყო შესიშნული. ხანდახან მორეკამდა ხოლმე ციხეში ცხვრებსა და ჩყიდდა იათვათა, ძაგრამ არა დრეს არ გვევაჭრებოდა: რასაც ითხოვდა, მიეცი,—ეკალი, რომ გამოგეჭრა აღარ მოუკლებდა. ამბობდნენ იმაზე, რომ უეკარსო ყუბან გალმა აბრეკებთან წოწიალიო, და, სწორეთ მოგახსენოთ, ცხვირ პირიც კი აკაზაკური ჩქონდა; პატარა იყო, ხმალი, მხრებ განიერი . . . . მარდი, სრეთი მარჯი, როგორც ქალი! ახალუხი ყოველთვის დახეული, დაკონკებული ჩქონდა და თოფი ერალი კი ვერცხლით მოჭედილი. იმისი ცხენი გათქმული იყო მთელს ყაბარდოში,—და მართლაც იმ ცხენზე უკეთესი აღარა შეიძლება რა. ტყუილათ კი არა შურდათ ყველა გამარჯვებულ მხედრებსა, რამდენ ჯერ ეცადნენ მოპარვასა, მაგრამ ვერ მოახერხეს. თითქო ეხლაც ვხედავ იმ ცხენსა: შავი იყო თვისებით, თვალები აღუსავებრ. თვალები ბელაზე ნაკლები აღარა ჩქონდა; ჯ რა ნაირი ლონე! თუ გინდ ორმოცდა ათი ვერსტი არბეინე; გაგეშინაირი ლონე—ძალლივით დასდევდა პატრონსა; პატრონის ხმასაც კი იცნობდა! არც კი დაუბაძდა ხოლმე. ისრეთი საკვაზაკო ცხენი იყო!...

—იმ ლამეს ყაზბიჩი უფრო შეჯმუხვნილი იყო, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და მე შევამჩნიე, რომ ახალუხს ქვეშ ჯავშანი ეცვა. «ეს ჯავშანი ტყუილად არ ეცმის მეთქი», ვიფიქრე მე: «ვეჭოფ გახფრახვა აქვს რამე»

—ოთახში დაცხა, მე გამოვედი კარში გასაგრილებლად. მთებზე ჩამოწვა სიბნელე ლამისა და ხეობებში შეჭმნეს ლრუბლებმა წოწიალი.

—მე მოვსგონდა და შევბრუნდი დერეფანში ცხენების სანახავათა, ჭქონდათ საჭმელი თუ არა, და აქაც ერთიც სიოვრთხილეს თავი არ ასტკივა: მეც საქებური ცხენი მყავდა, და ბევრი ყაბარდოელები შეხედავდნენ ხოლმე საამოებებით და იტყოდნენ: იახში ცხენ! ჩოხ იახში!

—გავსწიე ლობე-ლობე. და შემოვესმა ხმა; ერთი ხმამაინვე ვიცანი, ის ხმა დაუდერავი, ჩვენი ბასპინძლის შვილისა აზამატის ხმა იყო. მეორე ლაპარაკობდა ხან გამოშვებით და ხმა დაბალად. «აქ რაზე ებედობენ?» ვითქვიქრე მე: «ჩემ ცხენზე ხო არა?» აი, ჩავჯექი ლობის ძირში და დაუგდე ყური, მეცადინეობით, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოვარჩოდა. ხანდახან სიმღერისა და ლაპარაკის ხმა, რომელიც გამოდიოდა, სახლიდგანა, მიყრუებდა ჩემს გასაგონლად სასურველ ლაპარაკის ხმასა.

—«ყაზბიჩ, ჩინებული ცხენი გყავს!» ეუბნებოდა აზამატი: «მე რომ სახლში უთვრამი ვიყო და სამასი თვაშატი ცხენის ჯოგი მყავდეს, ნახევარს მოგცემდი შენ მარბენალ ცხენში!»

—«ჭო! ყაზბიჩია!» ვითქვიქრე მე და ჯავშანი მოვსგონდა.

—დიახ, უპასუხა ყაზბიჩმა რაოდენისამე ხანის შემდგომ: მოელს ყაბარდოში ვერ იშოვნი ამისთანასა. ერთხელ,—ეს იყო თერგ გალმა, მე წავუყვი აბრეკებსა რუსის ცხენის ჯოგის წასართმევლათა; საქმე საქმეზედ ვერ მოვიდა და დავითვანტენით, ვინც საით მოასწრო. მე გამოვიდგა ოთხი ყაზახი; მე გავურეკის ხმაც გავიგონე და ჩემს წინ იდვა გაუკვალი ტყე. წავწექი უნაგირზედა, მივანდე თავი ღმერთსა და ჩემს სიცოცხლეში იმ დღეს პირველად ვაწყვეინე ჩემს ცხენსა მათრახის დაკვრით. როგორც მფრინველი, ისრე ჩაიყურყუმელავა ხის ტოტებში; წვეტიანმა ეკლებმა ზედ შემოვახიეს ტანისამოსი, შავი ხის (ყარაღაჯის) გამხმარი ტოტები მცემდნენ ცხვირ-პირში. ჩემი ცხენი ხტებოდა ჯირკებზედა და ჭყოფდა მკერდითა სქელ ბუჩქნარსა. უმჯობესი იყო, რომ ტყის პირშივე დამეტოვებინა ცხენი და დავმალულიყავი ტყეში ქვეითი, მაგრამ ცხენი ვერ გამოვიმეტე—და ჩემმა ფელაპარამ გარდამიხადა სამაგიე-

რო. რამდენმამე ტუკიამ გამიბზუილა თავთანა, და მესმოდა კიდეცა, რომა დაქეეიოებული ყაზახები მომდეგდნენ კვალ-და კვალ . . . ამ დროს წავაწყდი ერმა ერანტესა; ჩემი მარბენალი ცხენი ჩათეიქრდა—და გადახტა. უკანა ფეხებით ჩამოახეთქა გალმა ნაპირი ერანტისა და დაეკიდა წინა ფეხებზე. მე მიკანებე სადაკეს ხელი და გადავარდი ხეკში; ამან გადმარჩინა ჩემი ცხენი: შემსუბუქებული ახტა. ყაზახებმა ნახეს ეს ეოველიფერი, მაგრამ არც ერთმა არ დაშიწეო ძებნა: იმათ ეიუოდ მკვდარი კეგონე და მესმოდა, რო გამოუდგნენ ჩემს ცხენსა დასაჭერათა. ბეულმა დამიწეო საკვდავად ძგერა: წავეეორთხდი სქელ ბალახებში ოავდალმა ხეკ ხეკ. — ვხედამ: ტეკ გათავდა, მინდორი დაიწეო, რამდენიმე ყაზახი გამოვიდნენ ტეიდგან მინდორზე. ეი გამოვარდა ჩემი ყარა-გიოზიც. ჯ ბირდაბირ იმათკენ მირბის; ყველანი გამოუდგენ ჭეიანლეთა; დიდხანს, დიდხანს სდიეს. მეტადრე ერთმა ოარეკ კისალამ ქამანდი არ მოსდო კისერზე; მე შევკრთი, ჩავლუნე თავი და დავიწეე ლოცვა: რამდენსამე წამს შემდგომ ავიხედე და ვხედამ: ჩემი ყარა-გიოზი მოეგრინავს ძუა გაშლილი, ლაკი ქარიანეთ და გიაურები დახოტილი ცხენებით გათვინტულები შორი-შორს მინდორში მოსდევენ უკანა. ვალლა! ეს მირთალია, ჭეშმარიტი მართალი! კარგა გვიან, დალამებამდისინ ვიჯექ ჩემს ხეკში. მსწრაფლად, შენ ეს გგონია, ამბამტ? ბნელაში მესმის, რომა ხეკის ბირზე დარბის ცხენი, ფრუსტუებს, ჭიხვინებს, და სცემს ფეხსა მიწაზე; მე მაშინვე ვიცანი ჩემი ყარა-გიოზის ხმა, სწორეთ ის იეო, ჩემი განუშორებელი ამხანაგი! . . . მას შემდგომ ალარ განვშორებიკართ ერთმანეთსა.

—ამ ლაპარაკოთან ისმოდა, რომ ყაზბიჩი თავის ცხენს დაგნოლვილს კისერზე ოდნავ ხელსა სცემდა და ეუბნებოდა სხვა და სხვა ნაზ სახელებსა.

—«მე რომ ფეკანდეს ათასი თავშატის ცხენის ჯოგი,» უთხრა ამბამტმა, «სულ ერთიანად მოგცემდი შენ ყარა-გიოზში.»

—«იოხ, არ მინდა,» უთხრა გულ გრილად ყაზბიჩმა.

—«ყაზბიჩ, გამიგონე», ეუბნებოდა ალერსით ამბამტი: «კეთი-

ლი კაცი ხარ, გულადი მხედარი, მამაჩემს ეშინიან რუსებისა, და არ მაძლევს ნებასა, რომ მთაში წავიდე; მომეცი ეგ შენი ცხენი ჯ რასაც შემოიკვეთ აღგისრულებ, მოგპარავ მაშა ჩემს უპირველეს შაშხანასა, ან ხმალსა, რასაც კი მოინდომებ, — იმისი ხმალი ნამდვილი ხორასანია ოდნავ, რომ ხელს მიაკარო ხმლის პირი თვითონ ჩაიგლის ხორცში; და ჯავშანი—იმისთანა აქვს, რომ იმას შენი წინ ვერ დაუდგება.

ყაზბიჩი ჩუმათ იყო.

—«პირველად, როცა ვნახე შენი ცხენი,» ჩურჩულებდა ყაზბიჩი: «როდესაც შენ ზედ იჯექი, ატრიალებდა, ახტუნებდი ნესტოებ გაშლილსა და კაზუები მის ტერფ ქვეშედგან გრთებოდნენ ნაპერწკალივით, მე გუნება შემექმნა რაღაც გაუგებელი, და მახ შემდგომ ყოველი თვერი მომწყინდა: წარჩინებულ მამიჩემის მარბენალ ცხენებს უყურებდი შეურაცხებით, მრცხვენოდა, რომ გამოგჩენვილიყავი სადმე იმ ცხენებზე, და სევდამ შეიპყრა ჩემი გული; სევდიანი ვიჯექი ხოლმე მთელი დღე თლატოების თავზე, და ყოველს წამს ჩემს გონებას წარმოუდგებოდა ხოლმე შავი მარბენალი ცხენი, ამაყად მავალი, თავისის შვილდისაებრ სწორის და მსუქანის ხერხემლით, ვითამ მიეურებდა თვალებში თავისი გამჭრიახი თვალებით, თითქო უნდოდა წარმოეთქვა სიტყვა. ყაზბიჩ, მე მოგკვდები თუ არ მომიდე ეგ ცხენი!» თრთოლით უთხრა ალამატმა.

მე შემომესმა, რომ იმან ტირილი დაიწყო: და უნდა მოგახსენოთ, რომ ალამატი იყო საშინელი გაუტეხელი ბიჭი, და კერასთვრით ცრემლს ვერ მოჭვრიდი, ასრე გაშინჯეთ, როდესაც უთვრო ემარწყვილი იყო, მაშინაც.

მისს ტირილის პასუხად შემომესმა რაღაც სიცილივითა.

—« გამიგონე! » უთხრა მაგარის ხმით ალამატმა: «ხედავ, მე სუოგველისთვერს გბედამ. გინდა მოგიპარო შენთვის ჩემი და? რა ნაირად თამაშობს! რა ნაირად მღერის! რა რიგათ ჭკვრამს ოქრომკედით — საკვირველებაა! იმისთანა ცოლი ოსმალეთის ფადი-

F10736
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ
Тифлисский Филиал

შაჭსაც არა ჭეოლია . . . . . გინდა? მოამიცადე ხვალ-ლამ ხეობაში, წყალი რომ ჩამოდის: მე ჩემს დას გამოვატარებ მეზობლად მდებარე სოფელში წასაყვანად — შენია და შენი. განა ბელა შენ ცხენად არა ღირს?»

—დიდხანს, დიდხანს იყო ყაზბიჩი ხმა გაკმენდილი; ბოლოს, ჰასუხის მაგიერად, შემოსძახა ძველებური სიმღერა: (*)

ჩვენს სოფლებშია ბევრია ლამაზი ქალი ტანადი,
ვარსკვლავებსავით ანათებს იმათი თვალის მწუვდიადი.
იმათი ტრფობა ტკბილია, ყველასთვის სანატრელია
ვაჟკაცის თავისუფლობა უფრო კი სასურველია.
თუნდა ოთხს ცოლსა იყიდი, თუ ოქროს გამოიმეტებ
მაგრამ მადლიანს ცხენსაკი ვერავერით თვასა ვერ დასდებ.
იგი მინდვრისა ქარსაცა უკან არ ჩამოურჩება
არც გიღალატებს, არც გაგცემს და არცა გაგიმტყუნდება.

—ამაოდ სთხოვდა აზამატი ყაზბიჩსა ნების დართვასა, კიდეც სტირდა, კიდეც ეფერებოდა, ეფიცებოდა; ბოლოს ყაზბიჩმა მოუთმენლობით გააწყვეტინა ლაპარაკი:

—«დაიკარგე, უგუნურო ბავშვო! სად შეგიძლიან ჩემ ცხენზე ჯდომა? პირველსავე ორმს ნაბიჯზე გადმოგაგდებს და კეფას გაიტეხ ქვებზე».

—«მე!» შეუტია გაბრაზებულმა აზამატმა და ბავშვის ხანჯლის რკინამ წკრიალი ამოიღო ჯავშანზე. ძრიელმა მკლავმა გასტყორცნა იქით აზამატი, რომელიც მიეხალა ლობესა ისრე, რომა ლობემ ზანზარი შეჭქმნა. «სეირი იქმნება!» ვიფიქრე მე, გავექანე ბოსლისაკენა, ამოვდე ალვირები ჩვენს ცხენებსა და გამოვიყვანე უკანა ეზოში. ორს წამს შემდგომ ჩვენი მასპინძლის სახლში შეიქმნა საშინელი ალიანქოთი. აი რა მოხდა: აზამატი შეკარდნილიყო

(*) მე ვითხოვ მოტევებას მასზე, რომა ყაზბიჩის სიმღერა გავლექსე, რომელიცა რასაკვირველია ამბად იყო თქმული, მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია.

ლერმონ.

ხალხში დაგლეჯილი ახალუხითა და ეთქვა, რომ ყაზბიჩს დაკვლა უნდოდა ჩემიო, ყველანი გამოცვივდნენ გარეთა, დაავლეს ხელი თოფებსა და შეიქმნა ერთი ალიანქოთი, წივილი, კივილი, თოფების სროლა, მაგრამ ყაზბიჩი იმ დროს ქუჩაში ცხენზე იჯდა და ქაჯიკით ატრიალებდა შიგ შუაგულს და ხმლით ხალხს იგერებდა. «ცუდია სხვის წყეულებაში შებრუშება,» ხელი წავავლე და უთხარი გრიგორი ალექსანდროვიჩსა, «გვიხნებ, რომ სჯობდეს სახქაროდ გავცალოთ ?»

—«მოვიცადოთ, ვნახოთ რით გათავდება».

—უეჭველია, ცუდად გათავდება; მაგ ავზიელებში სულ ეგრეა: ჩაღლიეს ბუზა—და შეექმნათ ყლეტა! —ჩვენ შევსხედით ცხენებზე და გავექანეთ შინისაკენ.

«ყაზბიჩი ?» ვკითხე მოუთმენლად შტაბს-კაპიტანსა.

—იმისთანა ხალხს რამოუვა! გაათავა ჩაის სმა და მიპასუხა: თავი დაამკრინა და წავიდა.

«ვერც დასჯრეს ?» ვკითხე მე.

—ის ღმერთმა იცის! მკვირცხლი, ავაზაკები არიან! მე მინახამს ზოგიერთი იმათგანი ომში ცხრილივით დაჭვრეტილი შტიკებითა, მაგრამ მაინც კიდევ იქნევს ხმალსა.—შტაბს-კაპიტანმა მცირედის გაჩუმების შემდგომ დაამბრაგუნა მიწაზე თვალი და სთქვა:

—არა ოდეს არ ვაპატიებ ჩემს თავს ერთსა: აკი ეშმაკმა მაცდინა და ოდესაც მოვედით ციხეში, პეჩორინს უამბე სულ რაც გავიგე ლობის ძირას, რო ვიჯექი; იმან გაიცინა,—ისრეთი მცბიერი იყო! და თვითონ გუნებაში კი რალაებიც განიზრახა.

«რა ? მიამბეთ თუ ღმერთი გწამსთ.»

—რალა გაეწყობა! თუ დავიწყე უნდა კიდეც შევასრულო.

—ოთხის დღის შემდგომ, მოვიდა ავზამატი ციხეში. ჩვეულებისამებრ შევიდა გრიგორ ალექსანდროვიჩთანა, რომელსაც გასუნაგებული ჰყავდა ტკბილის საჭმელებით. მეც იქ ვიყავი. ჩამოვარდა ლაპარაკი ცხენებზე და პეჩორინმა ძრიელ აქო ყაზბიჩის ცხენი: ამისთანა და ამისთანა თვალი არისო, ლამაზია ქურციგსა ჭაგ-

ხო,—ჭო, მოგლეთ გითხრა, იმისი სიტყვით, იმისთანა ცხენი ცხს ქვეშეთ არსად იყო.

—გაუელა თვალებმა პატარა თითრის ბიჭსა, ეჩოჩინი კი ვითომ ვერასა ხედავდა; მე სხვაზე დავიწყებდი ლაპარაკსა, ის კი დაუბრუნდებოდა ყაზბიჩის ცხენსა. ეს ამბავი იყო ხოლმე, როცა აზამატი ჩვენთან მოვიდოდა. სამის კვირის შემდგომ, შევატყე, რომ აზამატი საშინლად ჩამოხმა, როგორც სიყვარულისაგან მოხდება ხოლმე, რომანებში რო სწერენ. რა გასაოცარია! . .

—აი ხედამთ, შემდგომ გავიგე ეს ორი: გრიგორი ალექსანდროვიჩმა იქამდისინ გაახელა აზამატი, რომ თუ გინდ წყალში გადაგდე. ერთხელ ადგა და უთხრა: «აზამატ, ვხედავ, რომ ძრიელ მოგწონს ყაზბიჩის ცხენი: მაგრამ, როგორც შენს კეთილს ვერა ნახავ თვალითა, ისრე იმასა! აბა მითხარი, რას მისცემდი იმასა, ვინც იმ ცხენს შენ გაჩუქებდა? . . .

—«ყოველისფერს რასაც კი მოინდომებდა მიუგო აზამატმა.

—«მაშ მე იმ ცხენს გიშოვნი, მხოლოდ პირობით. . . . დაიფიცე, რომ ალმისრულებ. . . .»

—«ვფიცავ. . . დაიფიცე შენცა!»

—«კარგი! გეფიცები, რომა იმ ცხენის პატრონი შეიქმნები შენ; მაგრამ იმის მაგიერად, შენ უნდა ძმაცე შენი და ბელა: ყარა-გიოზი იქმნება ყალიმი. მაქვს იმედი, რომა ეს კაჭრობა შენი სასარგებლოა».

—აზამატი ჩუმით იყო.

—«არ გინდა? მაშ შენი ნებაა! მე ისრე მეგონა კაცი ხარ მეთქი, მაგრამ შენ ბავშვი ყოფილხარ: ცხენზე ჯდომა შენთვის ჯერ ადრეა. . . . . .»

—აზამატი ირუჯა. «მამა ჩემი მერე? სთქვა იმანა.

—«განა არსად მიდის ხოლმე?»

—«მართლა. . . .»

—«თანახმა ხარ?»

—«თანახმა ვარ», წაიჩურჩულა სიკვდილის ფერად გაყვითლებულმა: «როდისლა ?»

—«მასვე წამსა, როდესაც ყაზბიჩი მოგვა აქა; ის დაგვპირდა ათიოდ ცხვრის მოყვანასა,—დანაშთენი მე ვიცი. აზამატ, კი არ გამიმტყუნდე ?»

—აი, იმათ ასრე დაეწყოთ საქმე . . . . მართალი მოგახსენოთ, არ იყო კარგი საქმე! შემდგომ კი გუთხარ ეს ჭეჩორინსა, მაგრამ იმან მიპასუხა, რომ მხეცი ჩერქეზის ქალი ბედნიერიც უნდა იყოსო, რომ ჩემისთანა სანდომიანი ქმარი ეყოლებაო, ამისათვისა რომ იმათებურად ჭეჩორინი მაინც ქმარი იყო, და ყაზბიჩი რა—აკაზაკი, რომელიც უნდა დაესაჯათ. თქვენვე იფიქრეთ ამ ჭაპუხზე მე რალა უნდა მეთქვა ? . . . მაგრამ მაშინ იმათ განზრახვისა არა ვიცოდი რა. აი ერთხელ მოვიდა ყაზბიჩი და გვკითხა ცხვრები, ან თავალი ხომ არ გინდათო; მე შეუკვეთე, რომ მეორე დღეს მოეყვანა. «აზამატ!» უთხრა გრიგორი ალექსანდროვიჩმა: «ხვალ ყარა-გიოზი ჩემს ხელთ იქმნება; თუ ამალამ ბელას არ მა. მგვრი აქა, შენ თავალით ველარა ნახამ იმ ცხენსა. . . . »

—«კარგი!» უთხრა აზამატმა და გაეგრინდა სოფლისაკენა. სალამოზე გრიგორი ალექსანდროვიჩმა იარაღი შემოირტყა და გამოვიდა ციხიდგანა: როგორ მოახერხეს ეს საქმე ის კი ალარ ვიცი,—ხოლო ორივენი დაბრუნდნენ, და ციხის კარის გუშაგს ენახა, რომა აზამატს ცხენის წინა, ტახტაზე კარდი კარდმოთ ედვა ქალი ხელ-ფეხ შეკრული და თავზე ჩადრ მოხვეული.

«ცხენი ?» ვკითხე მე შტაბს—კაპიტანსა.

—ეხლავ, ეხლავ. მეორე დღეს დილაზე ადრე მოვიდა ყაზბიჩი და ათიოდე ცხვარი მოიყვანა გასასყიდლად. ცხენი ზღუდეზე გამოაბა და თვითონ ჩემთან შემოვიდა; ჩაი მივართვი, ამისათვისა რომა თუმცა აკაზაკი იყო, მაგრამ მაინც კიდევ ჩემი ყოანალი იყო.

—ზოგი აქეთური ვსთქვით, ზოგი იქითური. . . უცებ შეკვეედე, ყაზბიჩი შეკრთა, სახე შეეცვალა და მიიკრა თანჯარასთანა;

მაგრამ თვანჯარა, მის საუბედუროდ, იყო გაკრილი ეზოს გარეთ მხარეს. — «რა დაგემართა?» ვკითხე მე.

—«ჩემი ცხენი! . . . . ცხენი!» სთქვა ხრულის ტანის კანკალით.

—«მართლაც, შემოამესმა თვეხის ხმა. ეს, ვეჭოთ, ყაზახი მოვიდა ვინმე. . . . »

—«არა! ურუს იამან, იამან! დაიღრიალა და სწრაფად გაკარდა გარეთა ველური ცეცხვიცით. ორის გადახტომით კარებს გადასცილდა, ციხის კარის გუშაგმა გადმოუუდა თოფი, გადახტა ზედ და დაეშვა გზა-გზა. . . შორით მტვერი ასდიოდა—აზამატი, მარჯვე ყარა-გიოზზედ იჯდა და მიაჭენებდა; სირბილში ყაზბიჩმა თოფი ამოიღო ბუდიდგანა და ესროლა. ერთს წამს შედგა, ვიდრე გულს დაავჯერებდა, რომ დაცდინა; მას შემდგომ დაიწივლა, დაარტყა თოფი ქვაზე და ლუკმა ლუკმა აქცია, დაეცა მიწაზე და ბავშვივით დაიწყო ტირილი. . . . გარეშემო შემოეხვივნენ ჩვენი ციხის ხალხი—ყური არავისთვის უგდია; დადგნენ მოიალაპარაკეს და დაბრუნდნენ; მე მაშინვე ცხვრის თვალი გაუგზავნე და თული გვერდით დავუურეკინე—ხელიც არ უხლია, იწვა პირქვე მგვდარივით. არ დაიჯერებთ, იქ იწვა იმ დღეს და იმ ღამეს? . . . ხოლო მეორე დღეს მოვიდა ჩვენთან ციხეში და გვთხოვა, რომ ქურდი დაგვესახელებინა. ციხის კარის გუშაგი, რომელსაც ენახა, როგორც აზამატს აეშვა და გაეჭენებია ცხენი, არა ჭეოებდა საჭიროდ დათვრვასა. იმის სახელზე ყაზბიჩის თვალებმა გაიელვეს. ის წავიდა იმ სოფელში სადაც იდგა აზამატის მამა.

«მერე, მამა?»

—და კიდეც ეგ არის ოინი, რომა ყაზბიჩს ის ვერ ეპოვნა: თურმე სადღაც წასულიყო ექვსის დღის გადითა, თორემა აზამატი დის წამოუვანას განა მოახერხებდა?

—როცა მამა დაბრუნდა, ალარც ქალი და ალარც შვილი შინ ალარ დაუხვდნენ. ის ეშმაკი: მიხვდა რომა თავი მხრებზე ალარ შერ-

ჩებოდა, რო მამის ხელში ჩავარდნილიყო. ასრე მას შემდგომ დაიკარგა: უთუოდ რომელსამე აბრეშუმების კრებას გაუამხანაგდა ? დასტოვა სადმე რეტიანი თავი ან უუბან გალმა, ან თერგ გალმა; იმისი გზაც ის იყო ! . . . .

—უნდა მოგახსენო, რომ მეც საკმაოდ მამხვდა ჩემ წილად. გავიგე თუ არა ჩერქეზის ქალის ბეჩორინთან ყოფნა, მაშინვე გავიკეთე ეპოლეტები, შემოვირტყი ხმალი და წავედი იმასთანა.

—ბეჩორინი იწვა ბირველ მისვალ ოთახში ქვეშ-საგებზე, ერთი ხელი კეფას ქვეშ ამოედვა და მეორეში ჩამქრალი ჩიბუხი ეჭირა: მეორე ოთახის კარები დაკეტილი იყო კლიტითა, და კლიტეში გასაღები ალარ იყო. ეს ყოველივერი მაშინვე შევნიშნე. . . ხან დავახველე, ხან ფეხით დავაბრახუნე,—მაგრამ იმან ყური მოიურუა, ვითომ არ ესმოდა.

—«უფალო ბრაბორშჩიკო !» დაუძახე რაც შეიძლებოდა სასტიკად. «განა ვერა მხედავთ, რომ მე თქვენთან მოვედი ? »

—«ოჰ, გამარჯვება, მაქსიმ მაქსიმიჩ ! ჩიბუხს ხომ არ იწებებთ ? » მიბასუხა მწოლიარემ.

—«უკაცრავად ! მე მაქსიმ მაქსიმიჩი არა ვარ: მე ვარ შტაბსკაპიტანი».

—«სულ ერთია, ჩაის ხომ არ მიირთმევთ ? რო იცოდეთ რა ფიქრი მაწუხებს ! »

—«მე სულ ვიცი», ვუბასუხე და მივედი ახლოს სარეცელთან.

—«ეგ უკეთესი: მე როგორღაც ლაბარაკის გუნებაზედ ვერა ვარ.»

—«უფალო ბრაბორშჩიკო ! თქვენ ისრეთი შეცოდება გიქმნიათ, რომ შესაძლოა მის გამო მეც ბასუხის გებას ქვეშე მივეცე. . . . . .»

—«კარგია თუ ღმერთი გწამსთ ! რა უჭირს ? ჩემსა და თქვენს შორის ხომ დიდი ხანია ყოველისფერი სანახევროა.»

—«რა დროს ხუმრობაა ? აქ მიბოძეთ თქვენი ხმალი ! »

—«მიტკაკ, ხმალი ! . . . »

მიტკამ მოიტანა ხმალი. როდესაც აკასრულე ჩემი კალი, მაშინ მიკედი და დავჯექი საწოლზე და კუთხარი: «გამიგონე გრიგორი ალექსანდროვიჩ, შენვე ალვიარე, რომ არ არის კარგი.

—«რა არ არის კარგი?»

—«ისა, რომა ბელა მოგიტანია. . . . ოჯ, ის ეშმაკი ასაზმატი! . . . ალვიარე შენის პირითა, უთხარი მე იმასა.

—«თუ კი მამწონს? . . .»

—აბა, რა უპასუხო ამაზედა? . . . დაკრჩი გაშტერებული. მაინც კიდევ შემდგომ რომელიმე ხანისა მე უთხარი, რომა თუ მამამ დაიწყო თხოვნა უნდა მისცე მეთქი.

—«სრულებითაც არ უნდა!»

—«და რო გაიგებს?»

—«როგორ გაიგებს?»

—მე კიდევ დაკრჩი გაშტერებული.—«გამიგონეთ მაქსიმ მაქსიმიჩ!» წამოჯდა პეჩორინი და სთქვა: «თქვენ ხომ კეთილი კაცი ხართ,—და რომ მიგსცეთ ბელა იმ მხეცსა, ან დაჭკლამს, ან გაჭყიდის. საქმე გაკეთებულია, მხოლოდ ჩვენის ნებითვე ალარ უნდა გავათუჯოთ; ის ქალი დასტოვეთ ჩემთან, და ჩემი ხმალი თქვენთანიყოს.

—«ერთი მაჩვენეთ მე ის მაინცა. უთხარი მე»

—«ის აი იმ კარებს უკან არის; მეც ამოდ მინდოდა დღეს იმისი ნახვა: ზის კუთხეში, ჩადრში გახვეული, ხმას არ იღებს, არც მიეკარებს: მეფრთხალია ქურციკივითა. მე დავიჭირე ჩვენი მედუქნის ცოლი: თათრული კარგად იცის, მოვა ხოლმე ბელასთანა და ეჩვევს იმ ჭაზრსა, რომ ის ჩემია, ამისათვისა, რომ ჩემს კარდა სხვისი არა ვისი არ იქმნება» სთქვა ესა და დაჭერა მუშტი სტოლზე.—ამაზედაც დავთანხმდი . . . . რა ვქმნა? არიან ისრეთი ხალხნი, რომელთაც უთუოდ თანახმა უნდა შეექმნე.

«რა ჭქმნა?» ვკითხე მაქსიმ მაქსიმიჩსა: «მართლა შეიჩვია, თუ დაჭლექდა ტყვეობაში, სამშობლო ქვეყნის განშორების მწუხარე-

ბით ?»

—თქვენგან არ მიკვირს ! რისთვის შეწუხდებოდა, სამშობლოს ქვეყნისათვის? ციხიდგან სჩანდნენ ისრევ ის მთები, რაც სოფლიდგანა,—და იმ მხეცი ხალხისათვის იმაზე მეტი ადარა არის რა საჭირო. ამასთანავე გრიგორი ალექსანდროვიჩი ყოველ დღე სხვა ტ სხვა რაღაებსაც აჩუქებდა ხოლმე: პირველს დღეებში ბელა ხმის ამოუღებლად, ამაყად, უკან დაუბრუნებდა ხოლმე საჩუქრებსა, რომელნიცა მაშინ ერგებოდა ხოლმე მედუქნის ცოლსა და მით უალრესად აღძრავდა მის მშვენიერ-სიტყვაობასა. ოჰ, საჩუქრები ! რას არ იქმს ქალი ფერადი მჩვრებისათვისა ! . . . . ესეც იქით იყოს . . . . ბევრი ეწვალა გრიგორი ალექსანდროვიჩი; ამასობაში სწავლობდა თათრულსა და ბელაც მიხვდა ჩვენებურსა. ცოტ-ცოტობით თვალი შეაჩვია, ჯერეთ ქვეშ-ქვეშ გამოხედამდა ხოლმე, ისე ბრუნდეთ, და სულ სწუხდა, მღეროდა ხოლმე მდაბალის ხმითა, ასრე რომ როცა კი გვერდით ოთახში გავიგონებდი იმის ხმასა მეც შევსწუხდებოდი ხოლმე. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი სცენა: ახლო მოვდიოდი და შევიხედე ფანჯარაში: ბელა იჯდა ფეჩის ზემო საწოლზე თავ ჩამოქინდრული და იმის წინ იდგა გრიგორი ალექსანდროვიჩი: «გამიგონე ჩემო ანგელოზო,» ეუბნებოდა ჰეჩორინი: «შენ ხომ იცი, რომა ადრე იქმნება თუ გვიანა, შენ ჩემი უნდაიყო — რიღასათვის ღა მაწვალებ ? განა გიყვარს ვინმე ჩაჩანთაგანი ? თუ ეს მართალია ამ საათში დაგითხოვ შინა.»—ის ოდნავ შეკრთა და თავი გაიქნია.—«ანუ» კიდევ უთხრა, «მე სრულიად გძულვარ?» ბელამ ამოიოხრა.—«ანუ საწყმუნოებაა გიკრძალავს ჩემს სიყვარულსა?»—ის გაყვითლდა და გაჩუმებული იყო.—«მეწყმუნე, რომა ალლაჰი ყოველთა კაცთა შთამამავლობისათვის ერთი და იგივეა, და თუ კი ის ალლაჰი მე მაძლევს შენი შეყვარების ნებასა, შენ რაღად დაგიშლის გარდამიხადო სამაგიერო ?»—ბელამ შეხედა ჰეჩორინსა პირზე თვალ დაცეცებით, თითქო დამარცხებულმა ამ ახალის ჭაზრისაგან;მის თვალებში გამოიხატა მიუნდობელობა და სურ-

გილი დარწმუნებისა. რა თვალები ჰქონდა? ორი ნაკვერცხლივით უელამდნენ!

—«გამიგონე, საყვარელო, ჩემო კარგო ბელა!» კიდევ ეუბნებოდა ვეჩინი: «შენ ხედამ, მე როგორ მიყვარხარ, ყოველისფერს დავთმობ შენს გასამხიარულებლათა: მე მინდა, რომ შენ იყო ბედნიერი; და თუ შენ ხელ ახლა იწუხებ მე მოვკვდები. მითხარი უმეტესად გამხიარულდები?»—ბელა დათიქრდა, მაგრამ შავი თვალები კი არ მოუშორებია ვეჩინისათვის, შემდგომ ალექსანდროვიჩმა ჩამოართვა ხელი და ცდილობდა, რომ ბელას ეკოცნა იმისათვის; ის იცავდა თავსა და მხოლოდ იმახდა: (поджалуста не нада, не нада), დამესხენ, გეთაყვა დამესხენ. იმან ძალა დაატანა; ბელამ კანკალი დაიწყო, მოჭყვა ტირილსა.—მე შენი ტყვე ვარ, ამბობდა ბელა: შენი მონა ვარ; რასაკვირველია, შენ შეგიძლიან ძალა დამატანო,—ესა თქვა და კიდევ ცრემლი წამოდვარა.

გრიგორი ალექსანდროვიჩმა შემოიგრა შუბლში მუშტი და გამოვარდა მეორე ოთახში. მე შევედი იმასთანა; გულ ხელ დაკრეფილი, განძეინებული დასეირნობდა ოთახში. «რა ამბავია?» უთხარი მე.—ქალი კი არა, ეშმაკია სწორეთ!—მიპასუხა იმანა; მაგრამ მე თქვენ გაძლევთ პატიოსან სიტყვასა, რომა დავიყოლიებ... მე თავი გავიქნიე, «გნებავსთ დავნაძლევდეთ?» მითხრა იმანა: «ერთს. კვირაში!»—ბატონი ბრძანდებით!—ხელი ხელს დავკარით და მე წამოვედი.

მეორეს დღეს იმან მაშინვე გაგზავნა საგანგებოთ ყიზლარში ხვა და ხვა საკვერცხეებისათვისა; და მოატანინა ხვა და ხვა სპარსული ფარჩები, ყველას ვერ მოვთვლი.

—«როგორა გგონიათ, მაქსიმ მაქსიმიჩ?» მითხრა მე და მაჩვენა საჩუქრები: «შეუძლიან ამბიერს შშვენიერს ქალს ამისთანა პატნეზს გაუმაგრდეს?»

—«თქვენ ჩერქეზის ქალებს ვერ იცნობთ, უპასუხე მე: ეგენი სრულიად არა ჰგვანან ქართველ ქალებსა ანუ გადაღმა კავკაზიის

თათრის ქალებსა,—სრულიად ისინი არ არიან. მაგათ თავიანთი განრონები აქვსთ, სხვა გვარად აბრიან ალზრდილნი.—გრიგორი ალექსანდროვიჩმა გაიღიმა და დაიწყო მარშის სტვენა.

—ბოლოს კი მაინც მე გამოვედი მართალი: სიჩუქრებმა მოიქმედეს მხოლოდ ნახევრად; ბელა შეიქმნა უფრო თავაზიანი, უფრო მიმნდობი,—მეტი არა თვერი, ასრე, რომა ეჩოერინმა უკანასკნელ ლონის-ძიებას მიმართა. ერთხელ დილაზე შეაგმაზვინა ცხენი, ჩაიცვა ჩერქეზულათა, შემოირტყა იარაღი და შევიდა იმასთანა. «ბელა!» უთხრა ეჩოერინმა: «შენ იცი, როგორ მიყვარხარ. მე გავბედე შენი მოტაცება, იმ ჭაზრით, რომა მეგონა, რომ გამიცნობდი შეგიყვარდებოდი; მე შევსცდი:—მშვიდობით! დარჩი სრულად პატრონად, რაც რომა მაქვს; თუ გინდა მამაშენთან დაბრუნდი,—თავისუფალი ხარ. მე დანაშაული მაქვს შენთანა და ჩემი თავი უნდა დავსაჯო; მშვიდობით, მე მიგდიგარ—სადით? მეც არ ვიცი! იქმნება, დიდ ხანს არ დამჭირდეს ტყვიისა ან მჭრელი ხმლის ქნა მაშინ მამიგონე და მაპატიე ჩემი დანაშაული».—ეჩოერინი გაბრუნდა და გამოსათხოვებლად გაუშვირა ხელი. ბელამ ხელი არ ჩამოართვა და იყო გაჩუმებული. მხოლოდ მე კარებს უკან ვიდექი და შემეძლო სახის გაშინჯვა ჭიჭიტანაში: მე შემეცოდა—ისრეთი სიკვდილის თვერი დასდებოდა იმ მშვენიერ პატარა პირზე! ეჩოერინმა ვერ გაიგონა პასუხი და გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი კარებისაკენა; ის განგალობდა—მოგახსენოთ თუ არა? მე მგონია, იმას შეეძლო გაემართლებინა ის, რასაც ხუმრობით ამბობდა. იმისთანა კაცი იყო, ვინ იცის! მხოლოდ ოდნავ შეეხო კარებსა, რო ბელა წამოხტა, დაიღრიალა და შემოეხვია ყელზე.—დაიჯერებთ თუ არა? მე კარებს უკან მდგომარემ, ეგრეთვე ტირილი დავიწყე, ე. ი. იცით, არამც თუ ვიტირე, ისრე—სულელობა მოგმიკიდა!

შტაბს—კაპიტანი გაჩუმდა.

—ჰო, უნდა მოგახსენოთ, სთქვა შემდგომ, ულვაშის ძიძგნითა: მე შემშურდა, რომა არა დრეს არც ერთს ქალს არა ვუვარები კარ ისრე.

«დიდის ხნით იყვნენ ბედნიერნი?» ვკითხე მე,

—დიახ, თითონ ბელა გაგვიტყდა, რომა მას დღეს შემდგომ როდესაც ეჩოლრინი ენახა, თურმე სიზმარში ხშირად ეჩვენებოდა ხოლმე, და არც ერთი კაცი არა დრეს არ ჩარჩენია გუნებაში ისრე როგორც ეჩოლრინი. დიახ ბედნიერად იყვნენ!

«ეგ ვერათვრად მიამა!» წამოვიძახე მე უნებურად. მართლაც, მე მოველოდი ტრაგიკურ დაბოლოებასა, და უცეთ, ასრე მოულოდნელად გამიმტყუნდა იმედი! . . . .

«განა მამა ვერ მიხვდა, რომა ბელა თქვენა გყვანდათ ცოლში?» ვკითხე მე.

—ესე იგი, მგონია, იმას ეჯვი ჭქონდა. რამდენსამე დღის შემდგომ, შეკიტყეთ ჩვენა, ბერი კაცის სიკვდილი. აი ეს როგორ მოხდა . . . .

ხელ ახლათ გამაღვიძა ამ ამბავმა და მიუგდე ყური.

—უნდა მოგახსენოთ, რომა ყაზბიჩმა წარმოიდგინა, ვითამც აზამატმა მამის ნების დართვით მოჭვარა იმას ცხენი, მე მაინც ასრე ვფიქრობ. აი ის ერთხელ თურმე სოფლის სიახლოვეს, სამს ვერსტზე, ჩაუსაფრდა გზაში; ბერი კაცი დაბრუნებულიყო ამა ქალის ძებნისაგან; მსახურები უკან დარჩენოდნენ—ეს იყო ბინდისა,—ის მოდიოდა ნაბიჯით ჩაფიქრებული, როდესაც უცეთ ყაზბიჩი კატასავით, გამოვარდა ბუჩქიდგანა, შემოუხტა ცხენს უკან, ერთის ხანჯლის დაკვრით გადმოაგდო ძირსა, მოავლო სადავეს ხელი და თავლიდამ დაიკარგა; ზოგიერთმა მსახურებმა ეს სუოოველისფერი დაინახეს მაღლობიდგანა; გაექანენ მდევრად, მაგრამ ვერ მოეწიენენ.

«იმას ცხენის სამაგიერო აუღია და სისხლიც გადაუხდია,» უთხარი მე, რომ გამოთქმეინებია ჩვენი, ჩემი თანა-მოსაუბრესთვისაცა.

—რასაკვირველია, იმათებურად, სთქვა შტაბს-კაპიტანმა; იმას სრული სიმართლე მიუძღვის.

მე უცებ გამაკვირვა რუსეთის კაცის ნიჭიერებამა, რომა შეუ-

ძლიან შეფერება იმ ხალხის წესისა, რომელთა შორისაც შეხვდება ცხოვრება: არ ვიცი დაძრახვის ღირსია, თუ ქებისა ეს ჯგუის თვისება, მხოლოდ ის ამტკიცებს დიდს მიხვედრასა და იმა ცხადი კეთილ გამსჯელობის ყოფნასა, რომელიცა მიუტევებს ბოროტებასა ყველგან, სადაც ხედავს მიუცილებლობასა ანუ მისი მოსპობის შეუძლებელობასა.

ამასობაში ჩაი დალეული გვქონდა; კარგა ხნის შებმულ ცხენებს აყრყოლებდათ სიცივე; მთვარე ფერ-მკრთალობდა დასავლეთით და განმზადებული იყო ჩასასვლელად თავის შავ ღრუბლებში, რომელნიცა შორს მდებარე მთის წვერებზე იყვნენ ჩამოკიდებულნი დაფლეთილი ფარდასავით. ჩვენ გამოვედით სახლიდგანა. ჩემი მგზავრის წინასწარ თქმის წინააღმდეგად, გამოიდარა და იმედი იყო რომ დილა მშვიდი იქნებოდა. მრავალნი ვარსკვლავნი საკვირველის სახის ყვავილებით იყვნენ გადახლართულნი შორის ცის სიმრგვლეზე და თითო-თითოთ ჭქრებოდნენ, რავდენადაც განთიადის მქრალი სხივი იფანტებოდა ბნელ—ლილის ფერ ცაზედა და ტოტტოტათი ანათლებდა მთის თოვლით გარდაფარებულ თავდაღმართებსა. მარჯვნივ და მარცხნივ შავად სჩანდნენ ბნელი, საიდუმლოებითი სავსე ნაბრალნი, და ღრუბლები ხვევით და გრეხით როგორათაც გველი, ცურვით ჩადიოდნენ შიგა მეზობლად მდებარე დაღრეღნილს კლდეებიდან, თითქო დღის მოახლოვებასა ჭგრძნობენ და შიშობენო.

დამშვიდებული იყო ყოველისფერი ცასა და მიწაზედაცა, როგორათაც კაცის გულში დიდის ლოცვისა ყამსა; მხოლოდ ხან ღ ხან გადმოირბენდა გრილი ქარი ალმოსავლეთით, ალძვრიდა ცხენების დათრთვილულ ფაფარსა. ჩვენ გავემგზავრენით; დიდის ჯავითი ხუთი გამხდარი ჯაგლაგი ცხენი მითრევდა ჩვენს ბავოსკებსა მიხვეულ-მოხვეულ გუტ გორის გზაზე; ჩვენ მივდიოდით ქვეითათ, ღ ულაგებდით თოვლებს ქვეშა ქვებსა, როდესაც ცხენებს ოლაჯი გაუწყდებოდათ ხოლმე; გეგონებოდა, გზა მიდიოდა ზეცაში, ამისათვისა, რომა სადამდისინაც თვალი მიგვიწვდებოდა, გზა სულ ალმართ-

თზედ იყო შეყოლებული და ბოლოს იკარგებოდა ღრუბელში, რომელიცა მწუხრიდგანვე იყო დასვენებული გუტ—გორის წვერზე, რომგორათაც ქორი თავისი საშოვარისა მოამლოდინე; თოგლი გვიხრწყიალებდა თვეხ-ქვეშა: ნაერი შეიქმნა ისრედ თხელი, რომა შესუნთქვას გვიშლიდა; სისხლი ყოველს წამს გვაწვებოდა თავში, მაგრამ ამასთანავე რაღაც სასიამოვნო გრძნობამ დამიარა მე ყოველს ძარღვში, და როგორღაც სიმხიარულე მოამეცა, რომა ისრე მალლა ვიყავი ქვეყანაზედა—ეს გრძნობა ბავშურია, ამაში ვერ გაგამტყუნებთ, მაგრამა როდესაც განვშორდებით საზოგადოების წესსა და მიუახლოებით ბუნებასა, ჩვენ უნებურად შევიქმნებით ბავშვებად: ყოველივე, რაც მიგვიღია განშორდება სულსა, და სული შეიქმნება ხელ-ახლად ისრევ ისა, რაიცა ყოფილა ოდესმე და ვეჭოფ, იმადვე კიდევაც იქნება. იმას, ვისაც ჩემსავით შემთხვევია ტანტალი უდაბურ მთებზე და დიდხანს დაკვირვებით განუხილავს მათი უხიანი სახენი, ვისაც შეუსუნთქავს ეს განმაცოცხლებელი ნაერი, განთავსებული მთების ხეობეებშია, ის მიხვდება, რასაკვირველია, რა რიგათაც მინდა გიამბოთ, გადმოქცეთ, დაგიხატოთ ის მალხენი სანცარი სურათები. ბოლოს დროს, ავალწიეთ გუტ-გორაზე, დავდექით, ჯ მიგიხედ-მოგიხედეთ: იმაზე ეკიდა მოლურჯო ღრუბელი და მისი ტივი თუშვინვა გვიქადდა ქარიშხალის მოახლოებასა; მაგრამ ადმოსავლეთისაკენ სულ ისრე იყო მოწმენდილი და ოქროს თვერი, რომა ჩვენ, ე. ი. მე და შტაბს-კაპიტანსა სრულებით დაგვაწყდა ქარიშხალი . . . . დიახ, შტაბს-კაპიტანსაცა: ლიტონი ვაცის გულში გრძნობა ბუნების მშვენიერებისა და დიდებისა, უმეტრო უალრესია, ცოცხალია ეს წილად ვიდრე ჩვენში, აღტაცებულ მთქმელებში სიტყვით და ქალაღდზედაცა.

«თქვენ, მე მგონია, დაჩვეული ხართ ამ დიდ-მშვენიერ სანახავის ყურებასა?» უთხარი მე იმასა.

—დიად, ტყვიის ბზუილსაც შეიძლება შეეჩვიოს კაცი, ე. ი. შეეჩვიოს უნებურად გულის ძგერის დათვარვასა.

«მე გამიგონია, მაგის წინააღმდეგად, რომა ზოგიერთთა ძველ-

თა მებრძოლეთათვის ტფილისის ზუზუნი სასიამოვნოც არისო.»

—რასაკვირველია, თუ გნებავთ, ის სასიამოვნოც არის; მხოლოდ მაინც ამისათვისა, რომ გული უფრო მოამტკბუნად ფანცქალებს. შეხედეთ, სიქვა შტაბს-კაპიტანმა, და მანიშნა ადმოსავლეთისაკენა: რა ქვეყანაა!

მართლაც, ამისთანა პანორამის ნახვა არა მგონია კიდევ შემემთხვეს სადმე: ჩვენს ქვემოთ იდვა კაიშაურის მინდორი, რომელზედაც ჩამოდიოდა არაგვი და მეორე წყალი, როგორათაც ორი ოქრომკედი. მასზედა, ახლოდ მდებარე ვიწროებში, დილის თეთილი სხივებისაგან გაქცეული, ტრედის თეთრი ნისლი მოცურაკდა; მარჯვნივ და მარცხნივ მთის ზურგულები, ერთი მეორეზე მაღალი, ერთმანეთს გადაბმოდნენ, და თოვლითა, ბუჩქნარითა დაბურვილი გაწოლილიყვნენ გძლად. მათ მოშორებით ისევ იგივე მთები, მაგრამ აბა თუ ორი კლდე მაინც ერთმანეთს ჰგავნდეს,—და ეს თოვლი სულ გამოსჭვიოდა მწითური სხივით ასრე მხიარულად, ისრე კაშკაშით, რომ, მგონია, აქ დარჩენილიყავი სამარადისო საცხოვრებლად არ ინანებდი. მზე ოდნავ გამოჩნდა ბნელ ლაჟვარდოვან მთის უკან, რომელისაც მხოლოდ შეჩვეულ თვალს თუ შეეძლო გამორჩევა წვიმის დრუბელში; მაგრამ მზის ზემოთ იყო სისხლის ფერი ზოლი, რომელსაცა ჩემმა ამხანაგმა განსაკუთრებით მიუგდო თვალ-ყური. «მე გითხარით თქვენა» წამოიძახა იმან, «რომ დღეს ცუდი დარი იქმნება მეთქი; უნდა გაგეშუროთ თორემ ჯვრის გორაზე მოგვასწრებს. დაიძარით!» დაუყვირა იამშჩიკებსა.

ლიხს მაგიერად თოვლებს მოგდეთ ჯაჭვები, რომ არ დაგორებულიყვნენ, მოჭიდეს სადავეში ცხენებს ხელი და დაგეშვით თავქვე; მარჯვნივ იყო კლდე, მარცხნივ ნაპრალი ისეთი, რომა მის ძირზედ მცხოვრებლები ოსების მთელი სოფელი, მერცხლის ბუდესავითა სჩანდა; მე შევკრთი, როცა მოვიფიქრე, რომა აქ ხშირად წყვდიად ღამეში, ამ გზაზე, საცა ორი პაკოზკა ერთმანეთს გზას ვერ აუქცევს, რომელიმე შიკრიკი (курьеръ) ბარე ათ ჯერაც წელიწადში ჩამოირბენს ისე, რომ თავისი მრუმეველი ეკიპაჟიდგან არც კი გად-

მოვა. ერთი ჩვენი ამშჩიგთაგანი იყო რუსი ანრიოსლაველი გლეხი კაცი, მეორე, ოსი. ოხს შუა ცხენი მოჭყვანდა სადავითა, ყოველ გვარი სიფრთხილითა, წინადვე ნაპირის ცხენებ ახსნილი,—და ჩვენი დაუდევარი რუსი ასრე გაშინჯე კოფიდგანაც არ ჩამოშხტარა! როდესაც მე შევნიშნე და უთხარი, რომ ჩემი ჩემოდნისთვის მაინც გათხილებულიყო, რომელი სრულიად არ მსურდა ხეში ჩაბძანებულიყო, იმან მიპასუხა: «ეჭ, ბატონო! ღმერთი მოწყალეა, იმათზე კარგად ჩაგვლთ: პირველი ხომ არ არის ჩვენთვისა,»—არცა სტეუოდა: ჩვენ მართალია შეგვეძლო კისერი მოგვემტვრია, მაგრამ მაინც კიდევ არ მოვიმტვრიეთ, ჩემის თვიქრით ყველა ადამიანნი, რომ მომატებულს სჯიდნენ, მაშინ დაერწმუნებოდნენ, რომა სიცოცხლე იმად არა ღირს, რომ იმისთვის კაცმა იმდენი იზრუნოს . . . . . .

მაგრამ, იქმნება თქვენა გსურდესთ გაიგოთ დასასრული ბელას ამბავისა?—პირველი ესა, რომა მე ვსწერ მგზავრობის აღწერიდებსა და არა მოთხრობასა: მაშა სადამე, არ შეძიძლიან შტაბს-კაპიტანი ვალაპარაკო წინად, ვიდრე თვითონ არ ილაპარაკებს. და ესრედ, მოითმინეთ, ანუ, თუ გსურსთ, რამდენიმე გვერდი გადმოშალეთ, მხოლოდ მე ამას კი არ გირჩევთ, ამისთვის რომა, გარდასვლა ჯვრის გორაზე (крестовую гору) ანუ როგორც უწოდებს მას მსწავლული გამბა წმინდა ქრისტოფორის მთაზე, ღირსია თქვენის ცნობისა. ესრეთ ჩამოვეშვით გუტ-გორიდგან სამძღვრის მინდორში (*). ეს მინდორი ამოქოლვილი იყო თოვლის ზვავითა, რომელმაც მამაგონა მწვრთველ სარატოვი, ტამბოვი და სხვა ადგილები ჩვენი სამშობლოსი.

«ესეც ჯვრის გორა!» მითხრა მე შტაბს-კაპიტანმა როდესაც ჩამოვედით სამძღვრის მინდორში, და მაჩვენა ბორცვი მო-

(*). აქ ავტორი ათამაშებს სიტყვებს **чертовая** ს **чортовая**, რომელნიც ქართულ ენაზედ არა ვპოებ საჭიროდ რომ გადმოითარგმნონ.

მთარგ.

ფიფქული თოვლითა; იმის წვერზედ შავად მოჩნდა ქვის კვარი, ს მისს გვერდზედ მიდიოდა ვიტარა გზა, რომელზედაც გაიგლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც გვერდის გზა არის ჩათოვლილი: ჩვენმა ავმშჩიგებმა გამოგვიცხადეს, რომა კერ ზვავი არ ჩამოწოლილიყო ს ცხენების დასაცველად, შემოგვატარეს ჩვენა სიმრგვლივ. გზის შემოსაბრუნებელზე შემოგვხვდნენ ხუთიოდე ოსი, რომელთაც შემოგვიკვეთეს თავიანთი საშსახური, თვლებს ჩაჭიდეს ხელი, და ყვირილით დაუწყეს წევა და ხმარება ჩვენ ტელეჟკებსა. და მართლაც საშიშარი გზა არის: მარჯვნივ ზეიდგან ჩამოკიდებული იყო ზვავი, გამზადებული, თითქო, ვირველსავე ქარის შემობერვაზე ხეობაში ჩამოსაქცევათ, ვიწრო გზა ზოგან თოვლ წათვრებული, რომელიც ზოგიერთის ადგილას გვენგრეოდა თვეს ქვეშა, ზოგან გადაქცეული იყო ყინულად მზის სხივის მოქმედებით და ღამის ყინვით ასრე რომ დიდის ჯათვით თვითონ ჩვენ ძლივს მივდიოდით: ცხენები იქცეოდნენ; — მარცხნივ იყო ვირდაღებული ღრმა ნაბრალი, სადაც ჩამოწანწკარებდა ღვარი, ხან ყინულს ქვეშ მალვით, ხან აქათებული შავ ქვებზე. ორი საათის განმავლობაში ძლივს შემოუარეთ ჯვრის გორასა, — ორი ვერსტი ორ საათში! ამასაობაში ნისლი დაეშვა დაბლა, დაუშვა სეტყვა, თოვლი; ხეობეებში შეკარდნილი ქარი გრიალებდა, უსტვენდა, და მსწრათვლ ქვის ჯვარი დაიმალა ნისლში, რომლის ზვირთები ერთი ერთმანეთზედ სქელი, მჭიდრო, მორბოდნენ ალმოსავლეთიით . . . , კარგად მოამგონდა, ამ ჯვარზე არის გასაკვირველი, მაგრამ საზოგადო გარდამოცემა, ვითამ ეს ჯვარი დასმული იყოს იმპერატორი პეტრე ვირველისაგან, ოდეს კავკაზიის მთაზე გადმოუვლია; მაგრამ, ვირველი ესა, რომა პეტრე იყო მხოლოდ დალისტანში, და, მეორე, რომა ჯვარზედ იყო წაწერილი მსხვილის ასოებითა, რომა ის იყო დასმული უფ. ერმოლოგის ბრძანებითა, სახელდობრ 1824. წელსა. თუმცა დაწერილია, მაგრამ გარდამოცემას ისრე ფესვი გაუდგამს, რომა, სწორეთ, არ ვიცით რომელს დაუჯეროთ, მით უმეტესად, რომა ჩვენ დაჩვეულები არა ვართ ზედა-წარწერილების რწმუნებასა.

ჩვენ უნდა ჩამოგვეკლო კიდევ ხუთი ვერსტი გაყინულ კლდეებზე და თოვლ—ზეკაზში კობის სტანციამდისინ. ცხენები მოიქანცნენ, ჩვენ ვცასცასებდით; ქარიშხალი უფრო და უფრო გრიალებდა, სწორეთ ჩვენებური, ჩრდილოეთისა; მხოლოდ ამისი მოძახილი უფრო დაღონებული იყო, უფრო მწუხარე. «და შენცა განდევნილო,» ფიქრობდი მე, «სტირი შენს თავრთო, ხალვათ მინდვრებისათვის! იქ არის, სადაც შეგიძლიან გაშალო გაცივებული ფრთები და აქ კი სული გიგუბდება, შეკიწროებულსა, ორბიკით, რომელიც წივილით ეხლება მავთულებით გახიდულ — გამოხიდულ რკინის ყათაზის გვერდებსა.»

—ცუდია! ამბობდა შტაბს-კაპიტანი: შეხედეთ გარეშემო ალარა სჩანს რა, მხოლოდ ნისლი და თოვლი: ან ნაბრალში ჩავცვივით ან ხვრელში ჩავემწყვდევით სადმე, და ქვეით, ვინ იცის ბაიდარა რა საირად ალეულებულა, მკონია ველარც კი გავიდეთ. ოჰ ეს აზია! რა ხალხია, რა წყლებია"— კაცი ვერათვერს ენდობა!—იამშჩიკები ყვირილითა და გინებით სცემდნენ ცხენებსა, რომელნიცა თრუსტუნებდნენ, წაებჯინათ თვეხები და სულაც არ უნდოდათ დაძვრა ადგილიდგანა, თუმცა შოლტის ტკაცა ტკუცი გაჭქონდათ. «თქვენო კეთილ შობილებავ,» თქვა ბოლოს ერთმა: «ჩვენ ხომ დღეს კობაშდისინ ვერ მივალთ; ხომ არ გვიბძანებთ, ვიდრე შესაძლისია, გავბრუნდეთ მარცხნივ! აიგერ აქ შავად რალაცა მოჩანს გვერდაზედა,—ალბათ სახლებია; იქ ყოველთვის მგზავრები დადგებიან ხოლმე ცუდს ამიდში; ეს ოსები ამბობენ, რომ იქ მიგიყვანთო, თუ არაყის თუდს გვაჩუქებენო.»

—ვიცი, ძმობილო, ვიცი უშენოთაცა! სთქვა შტაბს-კაპიტანმა: ოჰ, ეგ ეშმაკები! სიხარულით ეძებენ მიზეზს, რომ ააგლეჯონ ვისმე ოდის თუდი.

«სწორეთა თქვით,» უთხარი მე, «რომ ეგენი არ იყვნენ უფრო ცუდი დაგვემართებოდა.»

—სულ აგრეა, სულ აგრეა, ბუტუტუნობდა მაქსიმ მაქსიმიჩი: ოჰ, ეგ ბელადები! სულით შეიტეობენ ს

რამე, თითქო უმაგათოთ გზას ვერ ვიპოვნიდით.

გავბრუნდით ჩვენ მარცხნივ, და როგორც იყო, დიდი წვალების შემდგომ მივახწიეთ საცოდავ ბინამდისინ, რომელიც იყო შერდგენილი ორის ოთახითა, აშენებული თიქალითა და სიბი ქვითა, ამისავე ზღუდეთი. დაძონძვილმა სახლის პატრონებმა მიგვიღეს კეთილის გულითა. შემდგომ გავიგე, რომა მთავრობა მათ ჯამაგირსა და საზდოს აძლევს იმ პირობით, რომა მიიღონ ხოლმე მგზავრები, როცა ქარიშხალი მოასწრობსთ.—«ეს უკეთესი!» ვსთქვი მე, და მიუკაქი ცეცხლსა: «ახლა თქვენ შემისრულებთ ბელას ამბავსა; მე დარწმუნებული ვარ, რ მა იმითი არ გათავებულა რითაც თქვენ გათავეთ.»

—და რისათვისა ხართ ეგრე დარწმუნებული? მიპასუხა შტაბს-კაპიტანმა, თვალის ხამხამით და მცბიერული ღიმილით.

«ამისათვის, რომა ეგ რიგი არარის; რაც დაიწყო საკვირველად ის ისრევე უნდა გათავდეს.»

—სწორედ უნდა ვსთქვა, მართალი ბძანეთ . . .

«ძალიან სასიამოვნოა ეგ ჩემთვის.»

—თქვენთვის კი სასიამოვნოა, და მე კი ვსწუხვარ, როცა მამაგონდება ხოლმე. ჩინებული გოგონა იყო ის ბელა! მე იმას ისრე შეკეჩვიე ბოლოს დროს, როგორც შვილსა, და იმასაც უყვარდი. უნდა მოგახსენოთ, რომა მე ცოდ შვილი არა მყავს: მამისა და დედისა ამბავი მე 12- წელიწადია არა ვიცი რა, და ცოლის შერთვა ადრე ვერ მოვასწარ,—ეხლა კი, მოგეხსენებათ, ჩემს შეხედულობას ალარ მოუხდება; და მეც მოსიხარულე ვიყავი, რომ ვიპოვე გასანებიერებელი. ბელა, ზოგჯერ გვეტეოდა ხოლმე სიმღერასა, ან ლეკურს თამაშობდა . . . . და როგორ თამაშობდა! მინახავს მე ჩვენი გუბერნიის უმაწვილი ქალები, და ერთხელ მოსკოვშიაც ვიყავი, კეთილშობილთა-კრებაში, ოცის წლის წინად, — მაგრამ სად მოვლენ იმასთანა! სულ ვერ მიამსგავსებენ!. . . გრიგორი ალექსანდროვიჩი მორთამდა ხოლმე თოჯასავითა, ულალავებდა, უყვავებდა და ისრე გალამაზდა ჩვენთანა, რომ საკვირველია; პირისსახიდ-

გან და ხელებიდგან მზის ლაქები გადუიდა, თვერი მოუიდა ლოყებზე . . . . რა მხიარულად იყო ხოლმე, და სულ მე დამცინოდა გულიანი . . . . ღმერთმა მიუტეოს ! . . .

«როცა გაუმყოვნეთ მაშის სიკვდილი, მაშინ ?»

—ჩვენ კარგა ხანი უმალავდით იმასა, ვიდრე არ შეეჩვია თავის მდგომარეობასა; და როცა უთხარით, ისრე ორიოდე დღე მოიტირა, და შემდგომ დაუიწყდა.

—ოთხიოდე თვე საქმე მოდიოდა ისრე, რომ უკეთესი ალარ შეიძლებოდა. გრიგორი ალექსანდროვიჩსა, მგონია, კიდეცა ესთქვი, საშინლად უყვარდა ნადირობა: ზოგჯერ ისრე გული უწყდა ხოლმე ტყისაგენ, გარეული ლორისა, ან თხების სანადიროთა,—და ამას ცოხის გალავანს გარეთ გასვლის მეტიკი არა უნდოდა რა. ვხედავ, აი კიდევ დათიქრიანდა, დადის ოთახში ხელებ-უკან შემოწყობილი; ერთხელ, ყველას უჩუმრად, წავიდა სანადიროთ,—მთელი დილა დაკარგული იყო; ერთხელ ორჯელ ლ მერე უფრო ლ უფრო მოუხშირა . . . . «არ არის კარგი,» ვიფიქრე მე: «ალბათ, იმათ შუა შაკაცს გაურბენია !»

—ერთს დილაზე შეკედი იმათსა—თითქო ეხლაც თვალ წინ მიდგია: ბელა იჯდა სარეცელზე შავი აბრაშუმის ახალუხითა, თვერმგრთალი, ისრეთი მწუხარე, რომა შემეშინდა.

—«ბეჩოვანი სადა არის ? ვკითხე მე.

—«სანადიროთა.»

—«დღეს წავიდა ?»—ბელა ხმა გაკმენდილი იკადა, თითქო ეძნელებოდა გამოთქმა.

—«არა, წუხელისკე წავიდა, ბოლოს სთქვა და მძიმეთ ამოიოხრა.

—«ხომ არაფერი შემთხვევია რა ?»

—«მე გუშინ მთელი დღე ვიფიქრე, მიბასუხა იმან ცრემლის ღვრითა: მოვიფიქრე სხვა და სხვა უბედურება: ხან მეჩვენა, რომა გარეულ ტახს დაეჭრა, ხან ჩაჩანს წარეტაცნა მთაში . . . . და დღეს მე მგონია, რომა მე იმას ალარ უეკარგარ.

—«სწორეთ, ჩემო სიყვარულო, მაგაზე ცუდს ველარასოდეს ვერ მოიგონებდი!»—იმან ტირილი დაიწყო, შემდგომ ამბარტავნულად თავი აღლა აიღო, მოიწმინდა ცრემლები და კიდევ სთქვა:

—«თუ მე არ ეყვარვარ, ვინ უშლის, რომ შინ გამგზავნოს? მე ხომ ძალას არ ვატან. და თუ ეს ასრე იქმნება შემდგომაცა მე თვითონ წავალ; მე მონა არა ვარ,—მე ვარ თავადიშვილის ქალი!...

—მე დაუწყე რჩევის ძლევა.—«გამიგონე, ბელა, ხომ არ შეიძლება, რომ ყოველთვის შენთან იყოს, როგორც შენ კაბის კალთაზედ მიკერებული რამ: ის არის უმაწვილი კაცი, უყვარს ნადირის დევნა, — მიიკლ-მოიკლის და მოკვა; და თუ შენ ინადვლებ, უფრო მალე მოსწყინდები.»

—«მართალია, მართალი!» მიპასუხა იმანა: «მე გავმხიარულდები.»—და კასკასით წამოავლო ხელი თავის დაირასა, დაიწყო მღერა, თამაშობა და ხტომა ჩემს გარეშემო; მხოლოდ არც ეს იყო დიდხანს: ის ისრევ დაეცა ქვეშაგებზე და პირის სახეზე ხელები მიიფარა.

—რა უნდა მექმნა? მე, მოგეხსენებათ, არას დროს ქალები არ შემიქცევია; ვიფიქრე, ვიფიქრე, რით ვანუგეშო შეთქი, და ვერა მოვიგონერა; რამდენიმე ხანს ჩვენ ორივენი ჩუმათ ვიყავით... ძალიან უსიამოვნო მდგომარეობა იყო!

—ბოლოს უთხარი: «გინდა წავიდეთ ციხის გალავანზე გავისეირნოთ? ჩინებული დარია!»—ეს იყო ენგენის თვეში. და მართლაც, მშვენიერი დღე იყო, ნათელი გრილი; მთები სულა სჩანდნენ როგორც ლამბაქზე. ჩვენ წავედით, გავიარ გამოვიარეთ ციხის გალავანზე, ხმის ამოუღებლად; ბოლოს ბელა დაჯდა ბელტზე, მეც გვერდით მოუჯექი. სწორეთ სასაცილო მოსაგონარია: ძიძასავით დავსდევდი ხოლმე უკანა.

—ჩვენი ციხე იდგა მაღლობ ადგილზე, და მისახედ მოსახედი იქიდგან იყო მშვენიერი; ერთს მხარეს განიერი მინდორი, რამდენიმე ხევ გადაკვლებული, თავდებოდა ტყით, რომელიც ასუდი იყო მთების ქედებამდისინ; აქა-იქა იმაზედ ხრეოდნენ სოფლები, დაღი-

ოდნენ ჯოგები; მეორე მხარეს ჩაწასწვარებდა პატარა ღელე, ამას ზედ მიჰკრიდა ხშირი ბუჩქნარი, რომელიც გადაპარტყნილი იყო კაჟიან ბორცვებზე, გადეკნებულზე უმთავრეს კაკვაზის მთის წვერამდინა. ჩვენ ვისხედით პატნეზის კუთხეში, ისრე, რომ ორივე მხარეს შეგვეძლო დაგვენახა ყოველისთვერი. ეი ვუყურებ: ტყიდგან გამოვიდა ვილაც ლურჯი ცხენითა, უფრო და უფრო ახლო მოვიდა, და ბოლოს დადგა წყალ გაღმა ეს საყენზე ჩვენიდგან, და დაწყებინა ცხენს ტრიალი გიჟივითა. ეს რა განსაცდელია!... «აბა შეხედე ბელა,» უთხარი მე: «შენ ემაწვილი თვალები გაქვს, ვინ არის ეს რაინდი: ვის შესაქცევლად მოსულა?...

—იმან შეხედა, და შეჭვიეღა: ეს ყაზბიჩია!...

—«ოჭ, ის ავაზაკი! ჩვენ დასაცინებლად მოსულა, თუ როგორ არი?» — დავაცქერდი, მართლა ყაზბიჩია: იმისი შავგვრემანი ცხვირბერი, დაფლეთილი, ტალახიანი როგორც ყოველთვის.—«ეს მამიჩემის ცხენია,» მითხრა ბელამ და ხელი წამავლო; როგორათაც ფოთოლი ისრე კანკალებდა, და თვალები უბრიალებდა.—აჭა! ვიფიქრე მე: შენშიაც, ჩემო საყვარელო, ავაზაკური სისხლი დამშვიდებული არ არის.

—«მოდექ აქეთა,» უთხარი მე მოდარაჯესა: «გაშინჯე თოფი, და ჩამოაგდე ძირსა ის ჩათუქსანი,—მიიღებ მანათ თეთრ ფულსა.—«ვემორჩილები თქვენს მალალ-კეთილშობილებასა! ერთს ადგილს რომ არა დგას....» უბრძანე! უთხარი მე სიცილითა....—«ეი, ძამიავ!» დაუძახა მოდარაჯემ, ხელის ქნევითა: «მოიცა ცოტაოდენი, რას ტრიალობ ბზრიალასავითა?»—ყაზბიჩი გაჩერდა მართლა, და დაუგდო ყური: ალბათ, ეგონა რომა მორიგებაზე მელაპარაკებიანო,—როგორ არა!... ჩემმა გარნადერმა გამოუნიშნა.... ლაწან!... დაეცდინა;—როგორც, რომ თვალიაზე წამალმა იფეთქა. ყაზბიჩმა შემოჭვრა ცხენსა და გვერდზედ გატაცტუნა. ადგა უზანგებზედა, შემოგვჭყიალა რაღაც თავისებურათა, დაგვემუქარა მათრახითა,—და გადიკარგა.

—«როგორ არა გრცხვენია!» უთხარი მე მოდარაჯესა.

«თქვენო მაღალ კეთილშობილებავ! მოსაკდომად წავიდა,» მიპასუხა იმანა: «ისრეთი წყეული ხალხია, რომ ერთბაშად კერ მოკვდება.»

—ერთ რუბ შემდგომ, პეჩორინი დაბრუნდა ნადირობიდგანა; ბელა მივარდა მოეხვია ყელზე, და არც ერთი სიჩუარი, არც ერთი საუკედური დიდიხნის სხვაგან ყოფნისათვის არ წაჰსცდენია . . . ასრე გაშინჯე მე გაუჯავრდი. «შემიწყალეთ,» უთხარი მე: ამ წამს ხომ აქ იყო წყალ გალმა ყაზბიჩი, და ჩვენ თოფი გვსროლეთ: აბა რო წაეწყდე სადმე იმასა? ეს მთის ხალხი შურის-მგებელნი არიან: თქვენ ასრე გგონიათ, რომ კერ მიხვდა, რომ ერთის მხრით თქვენც შემწეობა მიეცით ავსამტესა? და თუ გინდ დაგენაძლევები, რომ დღეს იმან ბელა იცნო. მე ვიცი, რომ ერთის წლის წინად იმას ბელა საშინლად მოსწონდა—თვითონ მითხრა მე,—და იმედი რომ ჰქონოდა კარგი ყალიმის შეგრეგებისა, ალბათ, დანიშნამდა» აქ პეჩორინი ჩაფიქრდა. — «დიახ,» მიპასუხა იმანა: სიფრთხილე მმართებს . . . . ბელა! დღეის შემდგომ შენ ამის მეტად არ უნდა გამოხვიდე ციხის გალავნის გარედ.»

—სალამოზე მე დიდი ბაასი მქონდა იმასთანა: მე ჯავრი მოდიოდა, რომ იმ საწყალ ქალზე გუნება გამოეცვალა; იმის გარდა, რომ ნახევარს დღეს ატარებდა ნადირობაში, იმისი ქვეცა შეიქმნა ცივი, იშვიათად ლა უალერსებდა, და ბელაც აშკარად ხმებოდა, პირის სახე დაუგრძელდა, დიდრეკანი თვალები ჩაუცვიენენ. ზოგჯერ ვკითხამდი ხოლმე: რაზე ამოიოხრე, ბელა? სწუხარ? «არა!» გინდა რამე? «არა'» ნათესავებზე ნაღვლობ? «მე არა მყავან ნათესავები.» ზოგჯერ, მთელი დღე, ჭო და არას მეტს ვერაფერს ვათქმევინებდით ხოლმე.

—ი ამაზედ დაუწყე ლაპარაკი მე იმასა. «გამიგონეთ, მაქსიმ მაქსიმიჩ,» მიპასუხა იმანა; «მე უბედური ხასიათი მაქვს; გამოზრდამ შემქმნა ესრეთი, თუ ღმერთმა ესრე დამბადა, არ ვიცი; მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ თუ მე ვარ მიზეზი სხვის უბედურებისა, მაშინ მეც ნაკლებად არა ვარ იმაზე უბედური. რასაკვირველია, ი-

მათთვის ეს არაფერი ნუგეშია—მხოლოდ ეს არის, რომ ეს ასეა. ბიჭველს ჩემს ყმაწვილობაში, იმ წამს შემდგომ, როდესაც დედ-მამის მეუფრჩეობიდგან გამოვედი, მე მივუეი სიშმაგით ყოველს შექცევასა, და სიამოვნებასა, რომლისაც თვალით შოვნა შესაძლებელია, და, რასაკვირველია, ეს შექცევანი მომწყინდნენ. შემდგომ შევრიე დიდს საზოგადოებაში, და საზოგადოებაც მალე მამწყინდა; ვეტრფოდი გამოჩენილთა ლამაზთა ქალთა, და იმათაც უყვარდი,—მაგრამ იმათმა სიყვარულმა მხოლოდ გაამწარა ჩემი გონება და თავის-მოყვარება, და გული კი დამრჩა ცარიელი . . . . მე დავიწყე კითხვა, სწავლა,—სწავლაც მომწყინდა; მე ვხედავდი, რომ არც დიდება, არც ბედი სწავლაზედ სრულიად არ არის დამოკიდებული, ამისათვის რომ უბრალესი ბედნიერნი უსწავლელნი არიან, დიდებაც კიდევ მოსავალია, და მისს მოსაპოებლად სიმარჯვის მეტი არა ყოფნდა რა. მაშინ შევიქმენ მოწყენილი . . . . იმ ცოტას ხანში გადმომიყვანეს კავკასიაში: ეს არის უბრალოეს ბედნიერების ყამი ჩემის სიცოცხლისა. მე იმედი მქონდა, რომ კაეშანი არა სცხოვრებდა ჩაჩნის ტყვიას ქვეშა--ამაოდ: ერთის თვის განვამალობაში მე ისრე შევეჩვიე ტყვიის წუწუნსა და სიკვდილთან ბრძოლას ყოფნასა, რომ, მერწმუნეთ, კოლოებს უფრო მოგერიებოდი მინამ ტყვიას, და უწინდელზე უმეტესად მოვიცვა კაეშანმა, ამისათვის, რომ დავკარგე თითქმის უკანასკნელი იმედი. როდესაც ბელა განხე ჩემს სახლში, მიეცა კალთაში და ეკოცნიდი მის შავ კაკებსა, მე სულმა, ვითვიქრე, რომ ის იყო ანგელოზი, წარმოგზავნილი გულის შემატკივარის ბედის-წერისაგანა . . . . ამაშიაც მოგვსტუვდი: სიყვარული ველური ქალისა მტირედით არის უკეოესი წარჩინებულის ქალბატონის სიყვარულზედა. რეგვენობა და გულწრფელობა ერთისა ისრე მოსაწყენია, როგორათაც ბრანჯაობა მეორესი. თუ მკითხავთ, მე ბელა კიდევ მიყვარს, მე მისი მადლობელი ვარ რამდენისამე წამის სიტკბოებისათვის, სიცოცხლეს შეგსწირავ მას,—მხოლოდ მე მომწყინდა იმასთან . . . . . სულელი ვარ მე, თუ ბოროტი, მე არ ვიცი; მაგრამ ეს კი ჭეშმარიტია,

რომ მეც ეგრეთვე ძალიან შესაბრალისი ვარ როგორც ის, იქმნება იმაზედაც მომატებულათა: ჩემში სული წარეკვნილია ქვეყნისაგან, გონება დაუცხრომელია, გული გაუმაძღარია; ჩემთვის სულ ცოტაა; მწუხარებასაც ისრე ადვილად შევეჩვევი ხოლმე, როგორათაც სიამოვნებასა, და ჩემი სიცოცხლე ცარიელდება დღე და დღე; მე დაშრჩენია ერთი ლონის ძიება: მოგზაურობა. რას წამსაც შესაძლო იქმნება, წავალ,—მხოლოდ ევროპაში არა, ღმერთმა დამიფაროს!—წავალ ამერიკაში, არაბეთში, ინდოეთში,—იქმნება მოვკვდე სადმე გზაზე! ამაზე ხომ დარწმუნებული ვარ, რომ ეს უკანასკნელი ნუგეში გვიან არ გათავდება, ქარიშხალისა და ცუდის გზების შემწეობით.»—ესრედ ლაპარაკობდა დიდხანს და იმის სიტყვები ალიბეჯდნენ ჩემს მეხსიერებაში, ამისათვისა, რომ პირველად მესმოდა ამისთანა ლაპარაკი ოცდა ხუთის წლის კაცისაგანა, და, ღვთით უკანასკნელადაც . . . . გასაოცარია! თუ ღმერთი გწამსთ, მიბრძანეთ,—მოშიბრუნდა და სთქვა კიდევ შტაბს კაპიტანმა,—ი, მგონია თქვენ ყოფილხარ დედა-ქალაქში, და ამ ცოტას ხანშიაცა: განა იქაური უმაწვილი კაცები ამისთანანი არიან?

მე უპასუხე, რომ ბევრნი არიან მეთქი მაგისი მთქმელნი; ვეჭოფ არიან მეთქი ისეთნიცა, რომელნიცა ამბობენ მართალსა; და სხვა ფრიგ მოხიბლვა, როგორათაც ყოველი ახალი შემოღება, უმაღლესის ხარისხის საზოგადოებიდგან დაწყობილი გარდმოვა ხოლმე მდაბალ ხარისხის ხალხამდინ, რომელნიცა შემდგომ ხმარობენ, და ამ ყამად ისინი, რომელნიც ყველაზედ მომატებულად მართლაც მოწყენით არიან, ცდილობენ დაფარონ ეს უბედურება, როგორათაც ბოროტება.—შტაბს-კაპიტანი ვერ მიხვდა ამ წვლილად განმხილველობასა, გაიქნია თავი და მზაკვრებით გაიღიმა:

—მგონია სულ ფრანცუზებმა შემოიღეს მოწყენა?

«არა, ინგლიჩნებმა.»

—ოჰო, დახე! . . . მიბასუხა იმანა,—ისინი ხომ ყოველთვის

გამოცხადებული ლოთები იყვნენ? . . .

მე უნებლად მოამაგონდა ერთი მოსკოველი ქალი, რომელიც მომტკიცებდა, რომ ბაირონი იყო ლოთი, მეტი არაფერი. მაგრამ, შტაბს-კაპიტანის შენიშვნა უფრო მისატევებელი იყო: ლვინის სმისაგან ხელადებული რომ იყო, ის რასაკვირველია, ცდილობდა დაეფარა უნებია თავისი თავი, რომ ყოველი უბედურება ქვეყანაზე დაიბადებოდა ლოთობისაგან.

ამასობაში შემდგომი ამბავი სთქვა ამ გვარად:

ყაზბიჩი მეორედ ალარ გამოჩენილა. მაგრამ არ ვიცი რისთვის გონებიდგან ვერ განვიშორე ჭაზრი, რომ ის ტყეილად არ მოვიდა და ეწადა რამე ცუდი.

—აი ერთხელ ბეჩორინი ჩამაცივდა, რომ წავყოლოდი ტახტაზედ სასადილოთ; მე დიდხანს ვიდექი უარზე: ბა, რა გასაკვირველი იყო ჩემთვის გარეული ტახი! მაინც და მაინც წამათრია თანა. — წავიყვანეთ ხუთიოდე ალდათი და წავედით დილაზე ადრე. ათ საათამდისინ ვიცოდვილეთ ველწმებში და ტყეში,—სადილი ვერ ვნახეთ. «აი, ნუ დაგბრუნდებით?» ვეუბნებოდი მე. «რისთვის ახირებულხარ? ჩანს ისრეთი უბედური დღე დაგვიდგა!» თუმცა ცხელოდა, დაღალულებიც ვიყავით, მაგრამ გრიგორი ალექსანდროვიჩს არ უნდოდა უსაშოვროდ დაბრუნება . . . . ისრეთი კაცი იყო: რასაც კი მოიფიქრებდა, მიართვით; ალბათ, ყმაწვილობისას დედისაგან იყო განებიერებული . . . . ბოლოს შუადღისას მივაგენით დაწყევლილს ტახსა:—დავახალეთ თოფები!.. არ იქნა: შეძვრა ველწმიანში . . . . ისრეთი უბედური დღე იყო! . . . დავისვენეთ ცოტა, და წამოვედით შინა.

—ჩვენ მოვდიოდით ერთს რიგზედ, ჩუმათ, სადაც მიშვებულები, და თითქმის ცხენთან ვიყავით: მხოლოდ ბუჩქნარს ეფარა ცხე. უცეფ თოფი გავარდა . . . . ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ: ჩვენ ორივეს ერთ ნაირმა ეჭვმა გაგვიარა გუნებაში . . . . სახქარეთ გავაჭენეთ ცხენები იქით საითკენაც თოფი გავარდა,—ვხე-

დამთ: გალავანზე შეკრებილან სალდათები და ანიშნებენ მინდვრისაკენ; იქ კი მიფრინამს სწრაფად ცხენიანი კაცი და უჭირამს რაღაც თეთრი ტახტაზე. გრიგორი ალექსანდროვიჩმა დაჭსჭყიტა ზოგიერთ ჩაჩანზე უკეთესად, დაიძრო თოფი ბუდიდგანა და გაქანა იქით: მეც გავუეკი.

—ჩვენს ბედზედ, უხერხული ნადირობისაგან ცხენები არა გვეკანდნენ დალალულები: საშინლად გარბოდნენ და ყოველ თვალის დახამხამებაზედ უფრო ახლო და ახლო ვეწეოდით . . . . ბოლოს მე ვიცანი ყაზბიჩი, მხოლოდ ვერ გავარჩიე რა ეჭირა წინა. მაშინ მე დაუპირდაპირდი ბეჩორინსა და უყვირი: «ყაზბიჩია ეგა! . . » იმან მოამხედა მე, დამიქნია თავი, და გადაჭრა მათრახი ცხენსა.

—ყაზბიჩს თოფის მანძილზედ დავეწიენით. დალალული ჩვენი და ცხენი, თუ ჩვენ ცხენებზე ცუდი იყო, მხოლოდ, თუმცა ცდილობდა, მაგრამ ველარ წადგა წინა. მე მგონია იმ დროს მოაგონდა თავისი ყარა-გიოზი . . . .

—უყურებ: ბეჩორინმა გაუნიშნა თოფი ცხენ-ს ცხენ . . . . «ნუ ესვრით! . . ყოვიროდი მე: «ტყვია შეინახეთ; ჩვენ ისეც მოვეწევით.»—ოჰ, ეს ყმაწვილი ხალხი! ყოველთვის უადგილოდ თვიცხობენ . . . . მაგრამ, თოფი გავარდა, და ტყვიამ მოსტეხა ცხენს უკანა ფეხი; სიმწარით გადახტა კიდევ ათიოდე ნაბიჯი, წაიფორთხიალდა და დაეცა მუხლზე. ყაზბიჩი ჩამოხტა, და მაშინ დავინახეთ ჩვენ, რომ იმას ეჭირა ხელში ქალი, ჩადრში გახვეული . . . . ის იყო ბელა . . . . საწყალი ბელა!—ყაზბიჩმა რაღაც დაგვიძახა თავისებურათა და მოუღერა ხანჯალი . . . . დაგვიანების დრო ალარ იყო: ვესროლე მე ჩემს კვალად, ალალბედზედ; ალბათ, ტყვია მოხვდა მხარში, ამისათვის, რომ უცეთ მგლავი დაუშვა ძირსა. როცა კომლი გაითვანტა მიწაზე იდვა დაჭრილი ცხენი, და მის გვერდზედ ბელა; ყაზბიჩმა კი გადაგდო თოფი, და როგორც კატა ისრე შეძვრა ჯაგებში და აცოცდა კლდეზე: მინდოდა ჩამომეგდო იქიდგანა — და თოფი არა მქონდა გატენილი! ჩვენ ჩამოვხტით ცხენებიდგანა და მივსცვივდით ბელასა. საწყალი, იდვა უძრავათა: სის-

ხელი წყაროსაკით გადაშალიოდა დაჭრილიდგანა . . . იმ ბოროტ-
სა: გულში მაინც ჩაეკრა,—მაშინ სულ ერთბაშად გათავდებოდა მა-
ინცა, თუ არა ზურგში ჩაეცა . . . . სწორეთ ავაზაკური დაკვრაა!
გონება ალარა ჭქონდა. დაგხეთ ჩადრი, და შეუხვიეთ დაჭრილი რაც
შეიძლებოდა მაგრათა; ტუალად ჭკოცნიდა ბეჩორინი იმის ცივ ტუ-
ჩებსა—ვერა თვერმა ვერ მოიყვანა გრძნობაში.

—ბეჩორინი შეჯდა ცხენზე; მე ავსწიე ბელა და როგორც ი-
ყო შემოუსვი უნაგირზე; იმან მოხვია ხელი და დაგბრუნდით ში-
ნისაკენ. რამდენამე წამის ჩუმად ყოფნის შემდგომ, გრიგორი ა-
ლექსანდროვიჩმა მ. თხრა მე: «გამიგონეთ მაქსიმ მაქსიმიჩ, ჩვენ ა-
მას ესრე ვერარ მივიყვანთ ციხესა.»

—მართალია! უთხარი მე, და ჩვენ გამოვაქროლეთ ცხენები
რაც შეგვეძლო.— ციხის კარებში მოგვეღოდა ჯგუფად შეგროვილი
ჩვენი ხალხი; თრთხიალად მივიყვანეთ დაჭრილი ბეჩორინის სახლში
და გავგზავნეთ ექიმთან. ექიმი თუმცა მთვრალი იყო, მაგრამ მო-
ვიდა; გაშინჯა ავრა და გამოაცხადა, რომ ერთის დღის მეტს კე-
ლარ იცოცხლებსო; მაგრამ შეცდა . . . .

«მორჩა?» ვკითხე უნებელად გახარებულმა შტაბს—კაპიტა-
ნა ს ჯ წავაკვლე ხელი.

—არა, მიპასუხა იმანა: შესცდა ექიმი მით, რომ ორი დღე
კიდევ იცოცხლა.

«გამაგებინეთ ერთი, როგორ მოიტაცა ყაზბიჩმა?»

—აი, როგორ: ბელას თუმცა ალგრძალული ჭქონდა ბეჩორინი-
საგან, მაგრამ გამოასულიეო წყალზე. მოგეხსენებათ, ძრიელ ცხელოდა;
ის დამჯდარიეო ქვაზედა, და თვეები წყალში ჩაეშვა. აი ყაზბიჩი მიჭ-
ვარდა,—ეტაცნა ხელი, მეორე ხელი ბირზე მიეთვარა, და შეეთრია
ბუჩქებში; იქ მოახტა თურმე ცხენსა, და ამოიძუა კუდი და გასა-
წია! ამასობაში ბელამ მოასწრო და დაიყვირა; მოდარაჯეები ა-
რეგენენ, ესროლეს და დაცდინეს, ამ დროს ჩვენც მოგესწარითო.

«ყაზბიჩს რისთვის უნდოდა იმის მოტაცება?»

—«რას ბრძანებთ თუ ღმერთი გწამსთ! ეს ჩერქეზის ხალხი გამოცხადებული ქურდი ხალხნი არიან: რაც კი ცუდათა სძევს, არ შეუძლიანთ რომ არ მიითრიონ; ზოგი ერთი იმათთვის საჭირო-ც არ არის, მაგრამ მაინც მოიპარვეს. . . ამისთანაობაში გთხოვთ მიუტევოთ! თუნდ ეს არ იყოს ბელა დიდი ხანია იმას მოსწონდა.

«მაშ, ბელა მოკვდა?

—მოკვდა; მხოლოდ დიდხანს ეწვალა, და ჩვენც იმასთან კარგა წვალება გამოვიარეთ. სალამოს ათ საათზე მოვიდა გრძნობაში; ჩვენ ლოგინთან უსხედით; თვალები გაახილა თუ არა, დაუძახა პეჩორინსა.—მე აქა ვარ შენთან, ჩემო გვრიტო, მიუგო პეჩორინმა და ჩამოართვა ხელი. — «მე მოვკვდები!» უთხრა ბელამ. ჩვენ ნუგეშის ძლევა დაუწყეთ, უთხარით, რომ ექიმი დაგვიბერდა, რომ უთუოთ მოარჩენს. იმან თავი გაიქნია და კედლისაკენ მიბრუნდა: არ უნდოდა სიკვდილი! . . .

—ღამით დაიწყო ბოდვა; თავი ცეცხლივითა ჰქონდა გახურებული: მთელს ტანში დაუვლიდა ხოლმე ხან და ხან ციების თრთოლა: ლაპარაკობდა დარღვეულის ჭაზრით მამაზე, ძმაზე; უნდოდა მთაში წასვლა, შინა . . . . შემდგომ პეჩორინზედაც ილაპარაკა, ექახდა ხხვა და სხვა ნებიერ სახელებსა, ანუ ემდურებოდა, რომ მოიძულა თავისი გვრიტი . . . .

პეჩორინი ყურს უგდებდა გაჩუმებული, თავ ხელზედ დაბჯენილი; მაგრამ მხოლოდ არც ერთხელ არ შემიმჩნევია იმის წამწამზე ცრემლი: მართლა ტირილი არ შეეძლო, თუ მოთმინების ლოსე ჰქონდა—არ ვიცი; რაც კი მე შემეხება, მე კი იმაზედ შესაბრალისი ალარათვერი არ მინახავს რა.

—განთიადისას ბოდვა გადუვარდა; ერთი საათამდისინ იდვა უძრავად, თვერ-მგრთალი, და ისრედ უღონოდ, რომ ძლივსღა შეატყობდი სუნთქვდა თუ არა; მერმე უკეთ შეიქმნა, და დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ როგორ გგონიათ რაზე? . . . იმისთანა ჭაზრი, მო-

ეს მხოლოდ სულთა-მბრძოლსა! . . . დაიწყო წუხილი იმაზე, რომ ქრისტიანი არ იყო, და საიქიოს იმისი სული გრიგორი ალექსანდროვიჩის სულს ვერ შეხვდებოდა, და სხვა ქალი გაუმეგობრდებოდა იმას სამოთხეში. მე ჯკუაში მომივიდა სიკვდილ წინად იმის მონათვლა: მე უთხარი ეს ბელასა; იმან შემომხედა მე გაუბედავად, და დიდხანს ხმა ვერ ამოიღო; ბოლოს მიპასუხა, რომ, რომელ სარწმუნოებაშიაც დაბადებულვარ, იმ სარწმუნოებაში მოკვდებიო. ასრე განვლო მთელმა დღემ. რა ნაირად გამოიცვალა იმ დღესა! ყვითელი ლოყები ჩაუცვივდნენ, თვალები შეექმნა დიდროვანი, დიდროვანი; ტუჩები ეწოდა. ის გრძნობდა შიგნით სიცხესა, თითქო გულში ედვა გახურებული რკინა.

—დადგა მეორე ღამე; ჩვენ თვალი არ მოგვიხუჭამს, არც ლოგინს მოვშორებივართ. ის საშინლად იტანჯებოდა, კვნესოდა, ბირკვლად, და როგორც ტკივილი გადუვლიდა, ის ცდილობდა დაერწმუნებია გრიგორი ალექსანდროვიჩი, რომ უკეთ შეეიქენიო, და ეხვეწებოდა მოესვენებია, ჭკოცნიდა ხელებზედ, და განუშორებლივ ეჭირა ხელი ხელში. განთიადისას იგრძნო კაეშანი სიკვდილისა, დაიწყო შფოთვა, მოეხსნა იარის შესაკრავი, და ხელ-მეორეთ წასკდა სისხლი. — რაცა შეუხვიეთ იარა, ერთს წამს მოისვენა, და სთხოვა ბეჩარისა, რომ ეკოცნა მისთვის. ის დადგა საწოლთან მუხლზე, აუწია ბალიშიდგან თავი და მიაკრა თავისი ტუჩები, იმის გაცივებულ ტუჩებსა: ბელამ მაგრად მოხვია მთრთოლვარე ხელები კისერზე, თითქო ამ კოცნით უნდოდა მიეცა მისთვის თავისი სული . . . . არა, ბელამ კარგათ ჩქმნა, რომ მოკვდა! აბა, რა დაემართებოდა იმასა, რომ გრიგორი ალექსანდროვიჩს თავი დაენებებია? და ეს მალე იქნებოდა თუ გვიანა მოხდებოდა კი . . . .

—მეორე დღეს შუა დღემდისინ იყო მშვიდობიანად, ჩუმად ჯ დამჯერობდ, თუმცა ჩვენი ექიმი აწვალებდა თოფილი შემოსადებლებით და მიკსტურათი. «ბატონს, !» ვეუბნებოდი მე იმასა: «ხომ თქვენვე სთქვით. უთუოთ მოვკდებაო, მაშ რაღა საჭირო მაგდო-

ნი რაგინდარაები ?»—მაინც ასრე სჯობია, მაქსიმ მაქსიმიჩ, მიპასუხა ექიმმა, რომ სვინიდისი უშფოთველად მქონდეს.» — კარგი სვინიდისია !

—შუა დღის შემდგომ, ბელა შეაწუხა წყურვილმა. ჩვენ გავადეთ თვანჯრები, მაგრამ გარეთ უფრო ცხელოდა, ვიდრე ოთახში; დავსდგით სარეცელთან ყინული—ვერაფვერმა უშველა. მე ვიცოდი, რომ ის იყო მოუთმენელი წყურვილი—ნიშანი ალსრულების მოახლოვებისა, ეს უთხარი მე პეჩორინსა. — «წყალი, წყალი !. . .» ამბობდა ბელა ამოხრანწულის ხმითა, ლოგინში წამოწეული.

—პეჩორინი ფარნაშოსავით გაუვითლდა, დაავლო ხელი სტაქანსა, დაასხა და მისცა. მე ხელები მივიფარე თვალებზედა, და დავიწყე ლოცვა, არ მოხსოვს რომელი . . . . დიას, ბევრი მინახავს გაცის სიკვდილი სასნეულოებში და ომში, მხოლოდ ეს სრულიად იმას არა ჭვავს, სრულიად !. . . სწორეთ მოგახსენო, აი კიდევ რა მაწუხებს მე: სიკვდილს წინად არც ერთხელ არ მომიგონია მე; ხომ მე შვილივითა მიყვარდა . . . . ეჭ. ღმერთმა შენდობა მისცეს !. . . და სწორეთ რომ გსთქვა: ან კი რა ვარ, რომ სიკვდილს წინად მე მომიგონოს ? . . .

—როგორც რომ წყალი დალია, უკეთ შეიქმნა, და სამს წამს შემდგომ გარდაიცვალა. დავადეთ ტუჩებზე სარკე—სადად დარჩა!... გამოვიყვანე პეჩორინი ოთახიდგან გარეთა, და წავედით ციხის გალავანზე; დიდხანს ვიარეთ ხმის ამოუღებლად, ერთს რიგზე, ხელებ უკან შემოწყობილებმა; იმის სახეზედ არა იყო რა გამოხატული განსაკუთრებით, და ეს მე მეწყინა: მე რომ იმის მაგიერად ვყოფილვიყავი მწუხარებისაგან მოგვვდებოდი. — ბოლოს ის დაჯდა მიწაზე ჩრდილ ქვეშა, და დაუწყო ჩხირით ხაზვა რალასაც ქვიშაზე. მე, მოგეხსენებათ, მომატებულად შესაბამოებისათვის, მინდოდა ნუგეში მეცა, და დაუწყე ლაპარაკი; იმან აიხედა და გაიცინა . . . . მე ურუანტელმა დამიარა ტანში, იმ სიცილისაგან . . . . მე წავედი კუბოს შესაგვეთად.

—მე, სწორეთ მოგახსენოთ, თითქმის გასართობლად მიგვყავ ხელი ამ საქმესა. მე მქონდა თირმალამის ნაჭერი, ის გუბოს გადავკარი, და მოგრთე ჩერქეზული ოქროგედით ნაქსოვი ჩოგარიშითა, რომელიც გრიგორი ალექსანდროვიჩმა იმისთვისვე იყიდა.

—მეორეს დღეს დილაზე ადრე, ჩვენ ის დავმარხეთ, ციხის ბეერდზე, წყალთან იმ ადგილის მახლობლად, სადაც უკანასკნელად იჯდა; იმის სათვალეს გარეშემო ეხლა ამოიხეთქა თეთრი აკაციისა და დიდგულის ბუჩქებმა. მე მინდოდა, რომ იქ ჯვარი დამეწერა, მაგრამ, მოგეხსენებათ რიგი არ იყო: მაინც იმის ქრისტიანობა არ ეთქმოდა". . . .

«ბეჩორინი?» ვკითხე მე.

—ბეჩორინი დიდხანს იყო შეუძლოთა, გახდა საწყალი; მხოლოდ მას შემდგომ ბელაზედ ალარ გვილაპარაკია: მე გხედამდი, რომ იმისთვის საამური არ იქმნებოდა, და რისთვის? — სამს თვეს უკან, ე . . . . ის ბოლგში გადაიყვანეს, და ის წავიდა საქართველოში. მას შემდგომ ჩვენ ერთმანეთს ალარ შეგხვედრივართ . . . . მახსომს, ვილაცა მითხრა, რომ ის რუსეთში დაბრუნებულა, მხოლოდ კორპუსის ბრძანებაებში არა იყო რა. მაგრამ ჩვენისთანა ხალხათან ამბავი გვიან მოდის.

აქ მაქსიმ მაქსიმიჩმა დაიწყო ვრცელი განსაჯვა იმაზე ,რომ არ საწუხარია ახალი ამბავის შეტყობა ერთის წლით გვიან, უთუოთ იმისთვისა, რომ მით დაეურუებია საშწუხარო მოგონებანი.

მე არც სიტყვა გამიშვებინებია და ალარც ყური მიგდია.

ერთს საათს შემდგომ მოგვიხერხდა წასვლა; ქარიშხალი დადგა, ცამ მოიწმინდა და ჩვენც გავსწიეთ. გზა-გზა უნებლიეთ ჩამოუგდე ამბავი ბელაზე და ბეჩორინზე.

«ხომ არ გაგიგონიათ, რა დაემართა ყაზბიჩსა? ვკითხე მე.

—ყაზბიჩსა? ღმერთმანი არ ვიცი . . . გავიგონე, რომ მარჯვენა თვალანგზე შავსუგებში არის ვილაც ყაზბიჩი, გულადი, რომელიც წითელი ახალუხით დასეირნობს, როცა ჩვენები თოფს ეს-

ერიან და დიდის თავაზით თავს უკრავს, როცა ტუკია ახლოს გა-
ეწეწენებს; და არა მგონია ის იუკეს! . . .

კობში მე და მაქსიმ მაქსიმიჩი განგშორდით ერთმანეთსა; მე
წავედი ფოშტის ცხენებით და იმას რადგანაც მძიმე ბარგი ჰქონ-
და, მე ვერ მოვეკვ. ჩვენ იმედი ალარა გვქონდა, რომ ამის მეტად
კიდევ შეგხვედრიუკვით ოდესმე ერთმანეთსა, მაგრამ შეგხვდით. ტ
თუ გსურთ, მე გიამბობთ: ეს მთელი ამბავია . . . . დამეთანხმეთ,
ამაზე რომა მაქსიმ მაქსიმიჩი ღირსია პატივის-ცემისა? . . . თუ
დამეთანხმებით ამაზე, მე სრულიად დაკმაყოფილებული ვიქმნები ჩე-
მის, იქმნება, ძალიან გრძელი მოთხრობისათვის.

მ. ყიფიანი.

ერთი მოთხრობის დასაწყისი.

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

(**შოთა რუსთაველი**).

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,—
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ლამის გუშაგი მუდამ მჯმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაგვეთი თავი
იმის სხვებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენ
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდენ,
მდუმარს ქვეყანას ვით საყვარელნი
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდენ,—
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩაჰსძინებოდა
მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთ ან ლაყლანდარობდა,
და ალაზანი შეუპოვარი
ჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა:

ზის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დათქრებული უურს მიუბურობდა.
უველას ეძინა, დღით თეთქვს რაცა,
თითქო დალლილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას ალვიძებდა
და ნალვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჭღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს
მწუხარე არის ვით გლოვის ზარი
მაგრამ თუ ნალველს მოჭბერს დაჩაგრულს
უკუ ჭერის კიდეც ვით ღრუბელს ქარი.
მიდის ურემი და უეცრათა
ვილაცამ ტყიდამ ასკუბა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მედგრათა
მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი.
«—ვერ მიმაჭსწავლებ კუდი-გორის გზას?»
ჭკითხა თამამად მან მეურმესა.
«—რატომ ვერ, ძამო! აგერ აიმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა
ერთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადეგ, წადი,—და როცა
ცხვირ წამოწვდილი მთა შეგეურება,
ის მთა იქნება კუდი-გორაცა.
იქ რა გინდა შენ?—ჭკითხა მან ბიჭსა,
რომ გაათავა გზისა სწავლება—:
იქ საფთხე, ძამო არ დაგემართოს.
ბლაჭია შვილი იქ იმყოფება.
მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც თუ გებრალების ოაგი

ბლაჭია შვილს ნუ დაენახვები;
ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალია, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი მართებს, ისა ჭსჯობია
შეარჩინო და აიღო ხელი.»
—«შენ თქვენი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებ, ძამო, მილრინავს გული,
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდგან თავზედ ხელ აღებული.»
და რა თქვა ესა მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა,
გაფრინდა ცხენიც ვით შავარდენი
და მის თვეხის ხმას ხმა მოჭსცა მთამ.
თითქო შეჭნატრდა იმას მეურმე,
«ახ, ნეტავი შენ!» წაიდუდუნა
და გაიქნივა რა თავი მერმე
შურით, ხარს მოლტი გაუტყლაშუნა
და მერე ისევ უთვრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუღუნა.
კუდი-გორასთან ერთი ტყე არი,
უწინ ეახალის იყო სათვარი;
საშიში, ბნელი, გულდახურული
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრებდა ბლაჭია შვილი
კაკო ეახალად გამოვარდნილი.
მთვარე ჩასული იყო დიდ-ხნისა,
როცა იმ ტყეში ერთ ხის ძირასა
თოხილად ეძინა ბლაჭია-შვილსა,
ბედისგან მწარედ განაწირალსა.

მის შორი-ახლო ლამაზი ცხენი
კაზმ-მოუხდელი ჭსძოვდა ბალახსა,
და მას თოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფთხობდნენ მოსვენებასა:
უეცრად შეკრთა, აცქვიტა ყურნი
თავი აიღო და გაიხედა;
მერმე ტრიალით მოჭყვა ფრუტუნი
და ერთს ალაგს ზედ დააცქერდა.
დიდხანს უცქერდა და, რა მოესმა
თავისი მოძმის ცხენის ფეხის ხმა,
ვერ მოითმინა, დაიხვიხვინა
და პატრონს ძილი დააფთხობინა.
წამოხდა კაკო ლომიკით ზეზე
თოფი მოზიდა და შეაყენა.
და რა იხილა მხედარი ველზე
შეჭკივლა: «მითხარ ვინა ხარ შენა?
რისთვის მოსულხარ,—მოყვრად თუ მტრათა?»

მ ხ ე დ ა რ ი.

—მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდათა.

კ ა კ ო.

თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა!
კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

მ ხ ე დ ა რ ი.

ამინ!.. შენ არ ხარ ბლაჭია შვილი?

კ ა კ ო.

დიახ, გახლავარ!.. რა გნებავს შენა?

მ ხ ე დ ა რ ი.

შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.

კაკო.

მომწონს ეგ სიტყვა!.. შენც მოგეწონე
და ამისთვისაც გენდობი შენა;

მხედარი.

გულს გული იცნობს და ღონეს—ღონე,
შენდე: გაგიუო ჭირი და ლხენა.

კაკო.

ხოშ გელდი, ძამო!.. მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეთვობა,
გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.
ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია,
სადაც ღამდება, იქ მითენდება,
თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება.
უსახლ-კარობა, შიში, შიმშილი
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
გურდღელსავითა ფეხიზელი ძილი
და იარაღი დღე და ღამ ხელში
მართალია, ძმაო, კაცს მოჭსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!..
მე თანა მყვანან რვაინისა ძმები:
ჩემი სითა, დამბახა ხმალი.
არც მიმტყუნებენ, არ ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი.
ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზდილა,
მოუდრეკია, როგორც რომ ყინი;
ჩემთან სათეთხეში ბევრჯელ ყოფილა

გამოუვლია ჭირი და ლხინი.
ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!
არა იურიან გულსა ჩემზედა,
და კაკოც ისე არ გაძუნწდება
რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა
ჩემი სიმდიდრე ეი ეს არი!..
ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმცა ორგულთან კარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მე ვიცი ძმობა.
ჩამოხედ, ბინას გაჩვენებ, წამო!
ლარიბულათა მე დაგიხვდები
და ნუ დამძრახავ ყაჩაღსა, ძამო,
თუ მასწინძლად ვერ მოგეწონები.»

მხედარი მეისვე გადმოხტა მარდად
და წამოჭყარა ალვირი ცხენსა;
ჩამოუჭიმა ყურები მაგრად
და თვალზედ მზრუნველს უსვა ხელსა.
მოხსნა ნაბადი ჩაგრული უკან,
ხურჯინიც სავსე გადმოიღო მან,
მერე გადაჭრა ხელი გავაზედ,
და მეის გაიგდო ცხენი ბალახზედ.
შემდეგ ზოვიდა იგი სტუმარი,
კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი.
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,—
და მოეწონნენ ორნივ ერთმანეთს.
მივიდნენ წყნარათ და ხის ძირს დასხდნენ,
მდუმარედ იყვნენ ორნივ დიდხანად,
ერთმანეთს თითქო კიდევ სინჯავდნენ;
ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად:
«—ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები

და არ დამშრახვამ მეტ კითხვისთვინა:
მითხარ, სიდამ გემცნაურები?
ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?

მ ხ ე დ ა რ ი.

«—შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაზედ რაღა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბავშმაც კი იცის ვინ არის: კაკო!
შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენ შვილი შვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჭქცევიხარ უსამართლობას;
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხ-კაცი,
ბარაქალა მაგ გულ კეთილობას!...
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის კაცს ის უყვარდეს
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხ-კაცი როგორც ძმა ჭყვარებია,
გლეხ-კაცის ბედი, ჭირი და ლხენა
შვილსავით კალთით უტარებია.
აბა კაცია ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმაო, ხურებია;
ნეტა იმ დედას, ვისგანც გაზდილა
და ვისაც ძუძუ უწოებია!...
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ეხლანდელ დედამ ვერარ გაზარდოს...

. . . .

ბელინსკის ასრი შვილების აღზდასზედ.

მისთვის, რომ არ გასვიმეორონ ერთი და იგივე, ჩვენ შეუდგეთ ბავშვების წიგნებსა,—უმთავრეს საგანს ჩვენი სტატიისას, ჯ მათი თვისებს გაშინჯვით შევასრულებთ ჩვენს შენიშვნას ბავშვების აღზრდაზე საზოგადოთ.

ბავშვების აღზრდას,რაც უნდა იყოს,კიდევ მოამატებულად ყურს უგდებენ, ვიდრე ბავშვების საკითხავ წიგნებსა. წიგნები,ერთის სიტყვით, ეჯავრებათ კიდეცა, და თუ ყიდულობენ ხოლმე, ისიც სურათების გულისათვის. ისრეთი ხალხნიც არიან ზოგიერთნი, რომელთაც ბავშვებისათვის წიგნის კითხვა უფრო საკნებელად მიჩნიათ, ვიდრე სასარგებლოდ. ეს უგლიმი შეცდომა არის, ბარბაროზული წინადგანსჯა. წიგნი არის საფუძველი ჩვენის დროებისა. ის ყველასთვის საჭიროა—მოხუცებულებისათვისაც, ყმაწვილებისათვისაცა, საქმიანებისათვისაცა და უსაქმოებისათვისაცა; ბავშვებისათვისაც—ეგრეთვე. საქმე წიგნის ამორჩევა არის, და ჩვენ პირველნი იმას თანახმანი ვართ, რომ ცუდათ ამორჩეული წიგნის კითხვა უფრო ცუდიც არის და საკნებელიცა,სრულიად უკითხველობაზედა:ბავშვს პატარაობითვე, უნდა აუხსნა გრძნობა მშვენიერებისა (чувство изящнаго); რადგანაც ეგ ერთი პირველთაგანი ელემენტია კაცობრიობისა; მაგრამ აქედგან სრულიად ისარა სჩანს, რომ შეიძლებოდეს მათთვის რამანისა,ლექსთ თხზულებისა და სხვა თხზულებისა რისამე ხელში მიცემა. არა თვერი არა არის

რა ისრე საგნებელი და საშიში, როგორათაც უდრეოდ დრეოთა და ბუნების წინააღმდეგად გახსნა გულის-ყურისა. ბავშვი უნდა იყავს ბავშვი და არა ჭაბუკი და კაჟ-კაცი. ბირველი გულში ჩაჩნეული ძლიერია,—და დაბოლოება უდრეოთ კითხვისა იქმნება ოცნებიანობა (мечтательность), ცარიელი და ცრუ ფიქრობა, შეძულება მხნეობით ის და გამსჭვალობითი მოქმედებისა, მიდრეკილება ისრეთი გრძნობისა და მდგომარეობისა სიცოცხლეში, რომელიც არ შეშვენის ყმაწვილსა. ჭაბუკი, რომელსაც არ გამოუვლია შუა-კაცობა და შექმნილა მოხუცებული, ისრეთი საძაგელია, როგორათაც მოხუცებული, რომელიცა ჩემობს ჭაბუკობასა. სუეოველის ფერი კარგია ჯ ჩინებული თავის დრეს ჯ თავის თავის შესაფერად. ყოველისფერს თაკისი რიგი აქვს. ბუნების წინააღმდეგად და უდრეოდ დრეთ გონება გახსნილი ბავშვი არის—ზნეობით მახინჯი. ყოველი უდრეოთ ასაკში მოსული (დამწიფებული) ჭკვა სიყმაწვილის ხრწნილებასა (გაფუჭებასა). ხელოვნება (искусство) იმ ზომიერებამდინ არის ჭეშმარიტი ყოველი ადამიანისათვის, რამდენსაც ის ეოუოობს ხელოვნებაში მის ახსნასა, რაც თითონ იმაში ცხოვრებს როგორც გრძნობა, — რაც იმისათვის მისახვედრია, როგორათაც საჭირეება მისი სულისა. როდესაც იმას ვერა ჭეოებს ხელოვნებაში, მაშინ ხედამს მხოლოდ ფერაზებსა, გაჭყვება იმასა, და ეატიოსანი, კეთილი გაცისაგან შეიქმნება მალალ-ფარდებში-მსჯელი ყბედი, ცარიელი და მომაბეზრებელი მეფერაზე (фразеръ). რალა ვსთქვათ ბავშვებზე, რომელნიცა, თავის ხნის შესაფერად, ვერა ეოუოობენ ეოეზიაში თავისი სულის შიგნიერ ცხოვრების გარდაცემას (отраженіе)? რაც ხელოვნებასაც ვერ მისწვდებიან ბავშვები, იქიდგან უნდა გამოვრიცხოთ, ხელოვნება მუზიკისა. ეს ხელოვნება, რომელიც არ ამბობს ცხადად არაფერს ჭკვრსა, არის რალაც მოციქებული ბუნებისა, თანხმობა (гармонія) ბუნებისა, გრძნობა დაუსრულებელისა, გაარსებული ხმად, რომელიც განაგვიძებს ადამიანის გულში ძალოვან გვეთებასა (ადეგრთოვანებასა) და ლტოლვას დაუსრულებელისადმი, ადიეგანს იმ ზესთა-ზენას, ვარსკვლავთ უძაღლესს მყოფ ცაში, მა-

მატებით რა. და ეს ადგილი ასახსნელია: ბავშვებისათვის მწერალი უნდა დ ა ი ბ ა დ ო ს და არა შ ე ი ქ მ ნ ა ს მწერლად. ეს თავის და გვარი ნიჭია. აქ საჭიროა თავის და გვარი გენიაც, არამც თუ მხოლოდ ნიჭი . . . . დიახ, ბევრი, ბევრი პირობა უნდა, რომ შეიქმნას ბავშვებისათვის მწერალი: აქ საჭიროანი არიან,—სულელი კეთილ-ლმობიერი, მოუკვრელი, მშვიდი, უწყინარი, ბავშვური—გულწრფელობა, ჭკუა ალმატებული, განათლებული, საგანის შინაგვის შეხედულობა (взглядъ) ცხადი, და არამც თუ მხოლოდ მახვილი მოაზრება, არამედ ცოცხალი, პოეტიური ფანტაზიაცა, რომელიც არის მინიჭებული და შეუძლიან წარმოადგინოს ყოველისფერი განსულიერებულად და მრავალფერ სურათებად. რასაკვირველია' რომ ბავშვების სიყვარული, ლრმად ცოდნა მათის საჭიროებისა, განსაკუთრებით და შესაფერად მათის ხნიერებისა, არის ერთი უმთავრესთაგანი პირობა.

პირდაპირი და განუშორებელი მოქმედება ბავშვის წიგნებისა უნდა იყოს მიმართული ბავშვების გრძნობაზე, და არა მათ გონებაზე. გრძნობა წინა მძღოლია ცოდნისა; გისაც არ უგრძვნია ჭეშმარიტება, ის არც მიხვედრია ჭეშმარიტებასა და ვერც გაუგია. ყმაწვილობის ხანში გრძნობა და გონება სრულიად წინააღმდეგნი არიან ერთმანეთისა, ერთმანეთის მტრობაში არიან, ერთი ჭკვამს მეორესა: უმეტესი განვრცელება გრძნობისა აძლევს იმათ სისრულეს, თანხმობასა და სიცოცხლის პოეზიასა; უმეტესი განვრცელება გონებისა დაღუპავს იმათს გულში მდიდარ ყვავილს გრძნობისასა და ალზრდის მათში ლენცოფას უსათუოდ ლაპარაკისასა. ბავშვის ჭკუა, რომელიც მარტო გონებით საგანში გაკვრჯიშებულა, ბუნების და სიცოცხლის ცოცხალ გამოჩინებაში (явленіяхъ) ხედავს მხოლოდ მკვდარ ფორმებსა, რომელთაც არა აქვსთ სული და საგანი, და ლოგიკური განმარტება მათთვის—ჭიანი თხილის ნაჭუჭია, რომელიც მხოლოდ კბილებს გაუფუჭებს. რასაკვირველია, ცალ-პირობა (односторонность) საგნებელია ალზრდაშიაცა, და ბავშვის გონებისათვისაც საჭიროა გახსნა როგორათაც გრძნობისათვის; მაგრამ გონების გახ-

სნა ეკუთვნის მეორე აღზრდის მხარესა—სწავლასა. შკოლასა. რო-ცა ხელში აიღებს გრამმატიკასა, მაშინ ბავშვი შევა წარტოლვილისა (отвлеч.), ლოგიკური დაწყობისა და განწესებულების სწავლაში. ყოველ-ლისთვერს თავისი ადგილი აქვს, და არც ერთი მხარე სულისა რა უნ-და უშლიდეს მეორესა: დეესხენ კლასსში ბავშვს გონება გაეხსნეს და შეეჩვიოს ნელ-ნელა ლოგიკურ სასტიკ დისციპლინასა; დეესხენ ბავ-შვმა საჯოს სასწავლებელი წიგნით ხელში, როდესაც ემზადება კლას-სში წასასვლელად; როდესაც კი კლასსიდგან გამოვიდა და გამოიხუ-რა კარები, დეესხენ შევიდეს ნამდვილ პოეტიურ ქვეყანაში, სიტყ-ხლის საგულის-ხმებელ გამოჩენებაში (явленіе), «სრულს სადიდე-ბელ ქმნილებაში»! დეესხენ წიგნი წიგნათა ჰქონდეს, და სიტყვა სიტყვად, ერთი მეორეს ნუ დაუშლის! კაი! მოვა დროება— და მოშორდება იმასა ეს პოეტიური სიტყვის გვარი, ვარდის მზგავსი ბაგეები, სიმხიარულით ბრწყინავდე თვალები ტუჩების დი-შილი: ამას ყველაფერს ეჯვიანი და მიუნდობელი გონება დაშლის ძარ-ღვებად, სისხლად, ნერვებად და ძვლებად, და უწინდელ სახიამოვნო სურათის მაგიერად დახვდება საძაგელი სკელეთი. სული იკითხამს— როგორ, რისთვის, რის მიზეზით, რითა? ცოცხალი გამოჩენება-ნი სინამდვილისა გარდაიქცევა წარტოლვილ საგნებად . . . . მაგრამ ვიდრე ბავშვია ჯერ მიესტეო ნება დასტკბეს პირველ—ყო-ფილ სამოთხეში ყოფნით, ის ბავშური სრული მხიარულების სი-ცოცხლით, წყარო რომელისაც არის გულწრფელობით და უბიწო-ებით დაახლოვება ბუნებისა და ჭეშმარიტებისა.

და ესრედ, თუ გინდოდესთ წერა ბავშვებისათვის, ნუ დაიგვწ-ყებთ, რომა იმათ არ შეუძლიანთ თვიქრი, მაგრამ შეუძლიანთ მხო-ლოდ სჯა, ანუ უსათუოდ ლაპარაკი, და ეს ძრიელ ცუდია? თუ მოუთმენელად საზიზღარია მოზდილი ადამიანი, რომელიც სუფო-ველისთვერ უალრესსა სიცოცხლეში ზომამს თავის ჭკუის პატარა ადლითა, და სარწმუნოებაზე, ხელოვნებაზე და ცოდნაზე ლაპარა-კობს ისრე, როგორათაც პურის დათესაზე, ოთქლის მაშინებზე, ანუ მზითვიან ცოლის შერთვაზედა, მაშა უარესად საზიზღარია ბავ-

შვი უსათუოდ ოდესმეცა (резонерт), რომელიცა «სჯის», ამისათვის, რომა ჯერ არ შეუძლიან «მოთვიქრება». უსათუოდ ლაპარაკი აშრობს ბავშვში სიცოცხლის წყაროსა, სიყვარულსა, სათნოებასა; ის შეჰქმნის იმასა ყმარწვილ-მოხუცებულად, შეაყენებს მალად თვეებზე. ბავშვების წიგნები ხშირად აუღხსნიან ხოლმე ამ უბედურ უსათუოდ ლაპარაკის ნიჭსა, მაშინ როდესაც, რომა უნდა სცდილობდნენ ალმოთხვრან როდესაც იხსნება და ვრცელდება ეს ნიჭი. რითი არიან თითქმის ყოველთვის განსხვავებულნი, მაგალითებრ, მოთხრობები ბავშვებისათვის?—ცუდად მიწებებული ლაპარაკითა, რომელშიაც მარილსავით დარიგება არის მოყრილი. ამისთანა მოთხრობების საგანი არის, ბავშვების მოტყუება, ნამდვილის მიგრეხ მოგრეხილად შეტყობინება. აქ თითქმის ყოველთვის ყოველი ძალითა და ღონით სცდილობენ რომ მოუგლან ბავშვებს ყოველი სიცქვიტე, სიცელქე და ანცობა, რომელნიც შეარდგენენ მიუცილებელ საჭიროებას ყმარწვილის ხანისასა, იმ მოწადინეობის მაგიერად, რომა დაუყენონ კარგს გზაზე და მითვისებინონ ხასიათი გეთილი, დაუთვარავი და ტურთა. შემდგომ სცდილობენ დაუჩვიონ ბავშვები, რომ მოითვიქრონ და ასწონონ ყოველი თავისი ყოთვა-ქცევა, ერთის სიტყვით, უნდათ რომ შეიქმნენ გეთილ-გონიერი უსათუოდ-მოლაპარაკენი (резонерами), რომელნიც გამოდგებიან მხოლოდ კლასსიკური კამედიისათვის ან ტრაგედიისათვის; და იმაზედ კი არა თვიქრობენ, რომა ბირველი საქმე სულის შინაგანი წყარო არის, და თუ რომ ის არის სავსე სიყვარულით და სათნოებით, მაშინ გარეგანიც კარგი იქმნება, და ამას და გარდა არათვერი არ არის რა საზიზღარი ისრე, როგორათაც ბავშვი-უსათუოდ მოლაპარაკე, რომელიც მალა სჯის ზნეობაზედ, ჯიბეში ხელებ ჩაწყობილი. და შემდგომ, კიდევ რა?—შემდგომ სცდილობენ დაარწმუნონ ბავშვები, რომა ყოველი დანაშაული დაისჯება და ყოველი კარგი მოქმედება დასახუქრდება. წმინდა ჭეშმარიტებაა, ჩვენ არ ვართ ამის წინააღმდეგი; მაგრამ დასჯისა და დასახუქრების ჩაგონება ბავშვებისა სიტყვის მნიშვნელობით, გარეგანად, და მაშასადა-

მე შემოხვევითი ჭაზრით, ეს მოტეუებასა ნიშნავს. მომატებული ნაწილი ბავშვების წიგნების ჭაზრით, და შეგნებით საჩუქარი კეთილისათვის არის დანიშნული: მაგ. დიდხანს სიცოცხლე, სიმდიდრე, და სასარგებლო ცოლის შერთვა . . . . წაიკითხეთ თუ გინდ, მაგალითებრ, კოტეტუს მოთხრობები, რომელიც დაწერა საკუთრად თავის შვილებისათვის. ბავშვები მხოლოდ გამოცდელი და გულ-წრფელები არიან, მაგრამ სულელები კი არა—გულით და სულით დასტიანიან ხოლმე თავის დამრიგებლებსა. ეს ჯერ კიდევ ბედნიერება არის ბავშვებისათვის თუ ასრე უხიაკად არ მოსტეუვდნენ; მაგრამ ვაი იმათი ბრალი თუ დაიჯერეს: იმათ ამის წინააღმდეგზე დაარწმუნებს გამოცდის სიმწარე და შავი სახურავი გადაეფარება ღვთის გაჩენილ მშვენიერ ქვეყანასა. ყველა მათგანი თავისი საკუთარი გამოცდით გაიგებს, რომ უსვინდისო ზარმაცი ხშირად მიიღებს ხოლ მე ქებასა მომჭირნის მაგიერად ⁄ საძაგელი ცელქობის ამშლელი ხშირათ გადარჩება ხოლმე დასჯასა, თავისი ურის თქმითა და წრფელი გულით თავისი გიჟობის ამღვიარებელი შეუბრალებლად დაისაჯება ხოლმე; ხშირად პატიოსნურად და სიმართლით მოქცევა არამც თუ გამდიდრებს ადამიანსა, უკანასკნელ სიგლახეშიაც ჩააგდებს ხოლმე. დიახ, მათ საუბედურად, ყველა მათგანი გაიგებს ოგვეჯისოვერსა; მაგრამ ყველა მათგანი ვერ გაიგებს ამასა, რომ სასჯელი ცუდის-საქმის მოქმედებისათვის, გამოდის ისრეკ იმ საქმიდგანვე ⁄ იმით განშორდება სულსა სათნო სიყვარული, მშვიდობა და თანხმობა,—რომელნიც არიან მხოლოდი წყარონი ჯეშმარიტი ბედნიერებისა; და ჯილდო კეთილი საქმისათვის მაინც კიდევ გამოშდინარეობს თვითონ იმავე საქმიდგანა, რომელიცა აძლევს ადამიანს შეგნებას თავისთავის ღირსებისასა, მითვისებს იმის სულს მშვიდობასა, თანხმობას, წმინდა სიხარულსა, და იმის გამო შეჭქმნის იმას ღვთის ტაძრად, ამისათვის რომა ღმერთი არის იქ, სადაც არის აღუშფოთებელი, წმინდა სიხარული და სიყვარული. და ამა სუ ოგვეჯისოვერზე ბავშვებს უნდა ეუბნებოდნენ ბავშვის წიგნები! იმათ უნდა ჩააგონონ, რომ ბედნიერება არ არის გარეგანსა და მოჩჩენებულს შემოხვევაში, ის არის სულის სიღრმეში. — ბრწყინ-

ვალე, მდიდარი, და მაღალი ხარისხის კაცი კი არ არის ღვთის საყვარელი, არამედ «კაცი სიდუმლო გულისა, უხრწნელად შეკოსებული უწყინარი და მშვიდი სულითა, რომელიცა უმაღლესი არს წინაშე ღვთისა», როგორც ამბობს წმ. მოციქული პეტრე. ბავშვების წიგნები უნდა უჩვენებდნენ იმათ ე. ი. ბავშვებსა, რომა ქვეყანა და ცხოვრება მშვენიერია ისრე, როგორც არის, რომ ცხოვრება დამოკიდებული არ არი ზღაბარზედ, არამედ სულის თავისუფლებაზედ, რომელიცა ღვთიური ქრისტიანული სიყვარულის ძალით არის გამარჯვებული სიცოცხლეში შემთხვეულ უბედურობაზე, რომ მხნეობით გაუმაგრდეს ყველა ჭირსა, იმავე სიყვარულისაგან ანთებულის ძალითა. წიგნები უნდა აცნობებდნენ ტანჯვის სიდუმლოსა, რომელსაც უნდა უჩვენებდნენ, როგორათაც მეორე მხარეს იმავე სიყვარულისასა, როგორათაც თავის და გვარად ნეტარებასა, ანმოგონ შემთხვევასაგით კი არა, ისრე რომ მიუცილებელი მდგომარეობა სულისა, რომელსაც თუ ადამიანი არ გამოსცდის, ვერ შეიძლებს ჭეშმარიტის სიყვარულის გამოცდას, ჯ მაშასადამე ვერც ჭეშმარიტის სეტარებისასა. წიგნებმა უნდა აჩვენონ იმათ, რომ თავის სებად და თავისუფალ ტანჯვაში, რომელიც გამომდინარეობს თავის თვისის უარის ყოფიდგანა და თავის სიყვარულის ხელის აღებიდგანა, არის მკვიდრი ნუგეში ბედის-წერის უსამართლობის წინააღმდეგი და მისი ჯილდო. ამას სუფოველისაგერს უნდა ატყობინებდნენ ბავშვების წიგნები, თავის პატარა მკითხველებსა, გაცვეთილი დარიგებაებით კი არა, არცა ცივი ზნეობითი სწავლებითა, არც მშრალი ამბითა, მხოლოდ მოთხრობებებით, რომელნიც სრულნი არიან სიცოცხლითა და სავსე არიან სურათების მოძრაობით, რომელიც უნდა იყვეს მხნეობის მქონებელი და გამთბარი გრძნობის სიმხურვალითა, დაწერილი მსუბუქი, თავისუფალი, ცოცხალი, მარტივი ესითა,—და მაშინ ისინი იქმნებიან თვით უპირველესი საფუძველი და თვით უპირველესი ღონის-ძიება ბავშვების აღზრდისათვის. დასწერეთ ბავშვებისათვის, მაგრამ მხოლოდ ისრე, რომ თქვენი წიგნი სიამოვნებით წაიკითხოს დიდმაცა, დაშემსგ ან წაკით-

დგომ მცირედის ოცნებით დაუბრუნდეს თავის სათელ სიყმაწვილის დროებასა. პირველი საქმე ის არის, რომა რაც შეიძლება ცოტა იყვეს დარიგება (сентенціи), ზნეობითი — სწავლა და უსაფუძვლოლაპარაკი (резонерство): ესენი არ უყვართ არც დიდრონებსა, და ბავშვებს საშინლად ეჯავრებათ, როგორათაც სუეოველისფერი, თავის მომაბეზრებელი და ყოველისფერი მშრალი და მგვდარი. ბავშვებს უნდათ, რომა თქვენ იყვეთ იმათი მეგობარი, რომელიც შეაქცევს იმათა; თქვენ უნდა შეიქმნეთ თვითონვე ბავშვი, და არა პირქუში დამრიგებელი; გთხოვენ თქვენა შექცევასა და არა თავის-მობეზრებასა,—ამბის თქმასა, და არა დარიგებასა. ბავშვი მხიარული, კეთილი, ცოცხალი, ცელქი, რომელსაც ხარბად უყვარს ყოველივე ის, რაც გონებაში ჩასარჩენია, გულის-ვნებით უყვარს ამბავი, იმდენს ვერ მიხვდება, რამდენსაც იგრძნობს,—ამისთანა ბავშვი არის, შვილი ღვთისა; მასში თამაშობს ყმარწვილური, კეთილ-ღმობიერი სიცოცხლე, და მასზედ სუფევს კურთხევა ღვთისა. დეესხენ ბავშვმა იცელქოს და იცულლუტოს, ოღონც კი მისი სიცელქე და ცულლუტობა არ იყვეს მავნებელი და არა ჰქონდესთ ნიშანი სიბოროტისა და ზნეობის . . . . გარეგნილებისა; დეესხენ განუსჯელი იყვეს, წინ-დაუხედავი—ოღონც ნუ იქმნება სულელი და უგუნური; დაგვემილი და მოდუნებული კი, ყველაზე უსაძაგელესია. მაგრამ ბავშვი მსჯელი, ბავშვი კეთილ-გონიერი. ბავშვი უსაფუძვლოდ მოლაპარაკე (резонеръ), ბავშვი მუდამ ყამს გათვრთხილებული, რომელიც არას დროს არ იცელქებს, ყველას ეალერსება, ზრდილობით ექცევა, ყველას წინ ასწრობს,—და ამას ყოველისფერს სჩადის ანგარიშით . . . . ვაი თქვენი ბრალი, თუ თქვენ შეჭქმენით ესრეთი! . . . თქვენ მოგიგლამთ იმაში გრძნობა და აღგიხსნიათ გონება; თქვენ დაგიურეებიათ იმაში კეთილ ღმობიერი თესლი შეუგნებელი სიყვარულისა და გაგიზრდიათ — ენა ტარტალობა . . . საწყალო ბავშვებო, ღმერთმა დაგიფაროთ ყვავილისა ს წითელისაგან, და ბერკენის, ყანლისის და ბულის თხზულებისაგან.

უმაღლესი სიცოცხლის საფუძველს, საგანს, ელემენტს ადამიანში შეარდგენს მისი შინაგანი გრძნობა დაუსრულებელისა (безконечнаго), რომელიც, როგორც გრძნობა, სძევს მის აგებულებაში. გრძნობა დაუსრულებელისა არის ნაპერწკალი ღვთისა, მარცვალი სიყვარულისა და გეთილ-სიანოებისა, ცოცხალი წინამძღვარი კაცისა ღმერთამდე. ხარისხი ამ გრძნობისა სხვა და სხვა არის, იესო ქრისტის მეტყველებით: «და მისცა ერთს ხუთი ტალანტი, მეორეს ორი, მესამეს ერთი, ყველას სათითოთ შეძლების გვარად»; მაგრამ ამ გრძნობის სიღრმის ზომით გაიზომება ღირსება ადამიანისა და სიახლოვე მისი სიცოცხლის წყაროსაკენ—ღმერთამდე. ყოველი ადამიანური ცოდნა უნდა იყვეს გამოთქმა, გადმოღება საცნობელად, ახსნად, მოკლედ ვსთქვათ—შეგნებად იმ გრძნობის სიღრმე გამოჩინებულებისა, უამისოდ, ყოველი ჩვენი მცნება და ალბნა იქმნებიან უაზრო სიტყვები, უსაგნო თეორმა, ხმელი, უნამუოფო და მკვდარი წარტოლვილება (отвлеченность). თუ ის დაუსრულებელის გრძნობა არ არის ადამიანში არ იქმნება იყოს შინაგანი, სულის შეგნება ჭეშმარიტებისა, ამისათვის, რომა პირდაპირი შეგნება ჭეშმარიტებისა, როგორათაც საძირკველზე, არის დამყარებული დაუსრულებელის გრძნობაზე. ეს გრძნობა არის ნიჭი მოცემული ბუნებისაგან, ბედნიერი აგებულებისაგან, ამისათვის ისიც თვისება არის ბავშვებისა, რომელშიაც არის გამოსახული,—და ამ გამოსახულის გაშლასა და განვრცელებას ვთხოვთ ალზრდასა და ბავშვების ლიტერატურასა.

ჩვენა ვსთქვით, რომა ცოცხალი პოეტიური თვანტაზია არის მიუცილებელი საჭირო პირობა, სხვა საჭირო პირობეებთა შორის, რომ კაცი ბავშვების მწერლად შეიქმნეს, თვანტაზიით და თვანტაზიის გამო უნდა მოქმედებდეს მწერალი ბავშვებზე. ბავშვობისას თვანტაზია არის მეფლობელი ნიჭი და ძალი სულისა, უმთავრესი სულის მოქმედება და პირველი შუამავალი ბავშვის სულისა და მის გარეშე მყოფ ქვეყანისა. ბავშვი არ ითხოვს დიალექტიურ გამოგანასა (вывод) და საბუთებსა, ლოგიკურ წეს-დებულებასა: იმას

უნდა სურათები (образы), ფერი (краски) და ხმა. ბავშვს არ უყვარს წარტოლვილი (отвл.) აზრი: იმას უნდა ვაცარა ისტორიები, მოთხრობები, ზღაპრები, ამბები,—და გაშინჯეთ, რა ძრიელ მისდევენ ისინი ყოველისფერს ფანტაზიურსა, რა სიხარბით უგდებენ ყურსა მკვდრებზე, მოჩვენებებზე და გრძნეულებზედ (волшебникъ). რას ამტკიცებს ესა?—დაუსრულებელის წადილსა, სიცოცხლის საიდუმლოების წინად-გრძნობასა, დასაწყისს ბოეზიის გრძნობისასა. . . . . ბავშვებთან, რომ გინდოდეს ლაპარაკი სურათებითა, უნდა იცნობდე ბავშვებსა, უნდა თვითონ იყო დიდი ბავშვი, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით კი არა, მხოლოდ უნდა დაიბადო ბავშური-გულწრფელი ხასიათითა. არის ზოგიერთი ადამიანი, რომელთაც უყვართ ბავშვების საზოგადოება, და იციან იმათი გართობა ლაპარაკითაც, ამბის-თქმითაც, და თამაშობითაცა, გეერეკვიან იმათში; ბავშვები თავის მხრით, მიეგებებიან ხოლმე იმათ მხიარულის ხმაურობითა, დაუგდებენ ყურსა და უყურებენ გულღია ნდობითა, როგორითაც თავის მეგობრებსა. აი სწორეთ ამისთანა ადამიანი უნდა, ბავშვების ლიტერატურისათვის. დიახ,—ბევრი, ძრიელ ბევრი პირობა: ამისთანა მწერლები, პოეტების მზგავსად, იბადებიან, და ვერ შეიქმნებიან კი . . . .

მაგრამ უსათუოდ ლაპარაკებს . . . . საშინლად ეჯავრებათ ამისთანა პირობების მოთხოვნა. მართლაც, ვის ესიამოვნება მოისმინოს თავისი სასიკვდილო განაჩენის გაგონება, თავისი გამორიცხვა ცოცხლების სიიდგანა? ალბათ, ამავე მიზეზით, უხეირო ლექსთ-მთხზველებსაც საშინლად ეჯავრებათ ლაპარაკი ხელოვნების (искусство) უმაღლეს კანონებზე: იმაში ხედვენ თავიანთს გაქრობასა. აღუკრძალეთ უსათუოდ ლაპარაკს (რეზონიორსა) უფლება, რომ ალარ ილაპარაკოს ტყუილები («изъ пустаго въ порожнее.) რალა უნდა გააკეთოს ქვეყანაზე? სიცოცხლეს, სიყვარულს, სულდგმულობას, ნიჭსა ხომ ვერ იპოვნი ქუჩაში, ვერც იყიდი ფულითა, თუ ბუნებამ არ მოგცა, უსათუოდ ლაპარაკი ისეთი ადვილია;

უნდა იშოვნო ქალაღდი, კალამი და მელანი, და დაჯდე — და ის მაშინ თვითონ აღმოჩნდება! რომელ ბახუსის თაყვანის მცემელს არ შეუძლიან გრძლად სჯა, იმაზედ რომა მცხარე სასმელები დამღუპავები არიან სულისაცა და ხორცისაცა, და თავის შოგება და ეგზიზლად ყოფნა სასარგებლოა? რომელი გარეკვნილი არ იტყვის ბარე სამ ზანდუკ მაღალ ფრაზებს პატიოსნებაზე? რომელს უსულუგულო და ცივ ადამიანს არ შეუძლიან ყოველ ნაირად განსჯა სიყვარულზე, ღვთის-მსახურებაზე, კეთილ-მოქმედებაზე, თვის-მსხვერპლად შეწირვაზე, და სხვა წმინდა გრძნობეებზე, რომელნიცა იმას არა აქვს გულში? სიცოცხლე, სითბო, მიმზიდველობა და პოეზია— არის იმის ნიშანი, რომა ადამიანი ლაპარაკობს სულით, დარწმუნებით, სიყვარულით, სარწმუნოებით ჯ სწორეთ ეს ელეკტრონსაგებრ მოხვდება მეორე სულსა. მოდუნება, სიცივე, და კაეშანი ნიშნამს იმასა, რომ ადამიანი ლაპარაკობს იმაზე რაც თავში აქვს და არა გულში, რომელიცა არ შეადგენს უკეთეს ნაწილს იმისი სიცოცხლისასა, და არ არის იმაზე დარწმუნებული. განვიმეორებთ—ზოგიერთი ხალხისათვის სჯა ადვილია გრძნობაზე, და გატკბილებული წყალი უსაფუძვლოთ ლაპარაკისა . . . . რომელიც ბლომათ აქვსთ, იმათთვის უკეთესია და გემოიანი, ვიდრე უკვდავების-წყარო პოეზიისა, რომელიცა—საწყლებს!—იმათ არც კი უგემნიათ თავის დღეში. და აი ერთს უნდა დაარწმუნოს ბავშვები, რომა ადრე ადგომა ძრიელ სასარგებლოა, ამისათვის, რომა ერთს ბავშვსა, რომელსაც ჭქონდა ჩვეულება მზის ამოსვლის დროს ადგომისა, ეპოვნა მინდორში ქისა ფულითა; და მეორეს უნდა, რომ დაარწმუნოს ბავშვები იმაზე, რომა უნდა გვიან ადგენ, ამის მიზეზით, რომა ერთი პატარა ქალი, რომელსაც ადრე დგომა ჭეკარებოდა წასულიყო ბალში სასეირნოთა, გაცივებულიყო და მოამკვდარიყო. ერთი ეუბნება ბავშვებს—დაეჩქარეთ, მეორე—ნუ ჩქარობთ, მესამე—იყავით დაუფარავი, ნურავფერს ნუ დამალავთ, მეოთხე—სუფოველისფერს ნუ იტყვით, რაც იცით. ვის უნდა დაუჯერონ, ვის მიჭვენენ? . . . საუცხოოდ ეს არის ყველაზე, რომა ეს ლრმა ჭაზრები ალმოჩნდე-

ბიან ხოლმე შემთხვევითი მაგალითებით, რომელნიც სრულიად არაფერს არ ამტკიცებენ. არა, ზნეობითი დარიგებაები, არამც თუ საძაგლები და უნამეოფოზანი არიან თავის თავად, კიდეც ეფუჭებენ მშვენიერსა და სიცოცხლით სავსე თხზულებეებსა ბავშვებისათვის, თუ გამოერევიან! თქვენ უამბობთ ბავშვებს ზღაპარსა ანუ მოთხრობასა: მიეფარეთ ისრე, რომ არ გაპოხირდეთ, დეე ყოველისფერმა თვითონ ილაპარაკოს თავთავის მაგიერად, განუშორებელი აღბეჭდით. თქვენა გაქვსთ ზნეობითი ჭაზრი,—ჩინებულია; ნუ ეტყვით იმას ბავშვებსა, მხოლოდ აგრძნობინეთ, ნუ გამოიყვანთ თქვენს მოთხრობის დასასრულში, მხოლოდ მიანებეთ, რომა თვითონ იმათ გამოიყვანონ: თუ ამბავი მოეწონათ ან სიხარბითა და სიამოვნებით კითხულობენ,—თქვენ შეგისრულებიათ თქვენი საქმე. ჩვენ აქ განვიმეორეთ ჭაზრი, უწინაც ნათქვამი ჩვენს ჟურნალში, რომელმაც აღძრა სამდურავი და თავ-ზარი დასცა უსათუოდ მოლაპარაკეებსა: «არ არის საჭირო არა გვარი ტიტველი ცარიელი ჭაზრები, და ჭირივით მოერიდეთ ზნეობითს დარიგებასა. დეესხენით სათუოდ თქვენი ამბისა საქმიანად იყოს მოძრაობაში, ნუ მისცემთ ნებასა, რომა გარეთ გამოჩნდეს, თვითონ სათუოის სასარგებლოდვე, და ნუ გამოიყვანთ ბავშვის სულსა სავსე სიცოცხლიდგან, გერძობითი ბრძოლიდგანა და შემთხვევიდგანა, წარტოლვილ (отвл.) სიმაღლეზე, სადაც ჭაერი თხელია და სულის შემაგუბებელია ჯერ ჩჩვილი ადამიანის უღონო გულისათვის; დეესხენ ჭაზრი მითვრებული იყოს შიგნით, მიუწოლელ ლაბორატორიაში, და იქ გარდააქციოს თვისი საგანი სიცოცხლის სინოყიერედ, რომელიცა გაუგებლად და შეუნიშვნელად გაითვანტება თქვენს ამბავში.» ნუ ეტყვით ბავშვებს იმასა, რაც არ შეუძლიანთ თავისი ჭკუით მიხვდნენ, შეასმინეთ მცირე კატიხისმურად ღმერთი, როგორათაც ასწავლის მართლმადიდებელი ეკკლესია, მაგრამ ნუ გაჭყვებით დიალექტიურად ფილოსოფიურ ახსნასა, ეცადეთ რომა ბავშვებს შეაყვარონ ღმერთი, რომელიც გამოუცხადებათ იმათ ლია ლურჯ ცაშიაცა, თვალის მამჭრელ მზის სხივშიაცა, დიდად მშვენიერს და დიდად ჩინე-

ბულს დღის გათენებაშიაცა, ღამის მომავალს დაჩუმებულ მშვენიერებაშიაცა, ღელვის ხმაშიაცა, ქუხილის ჭექაშიაცა, ცის-სარტყელას ფერად-ფერადშიაცა, ტყის სიმწვანეშიაცა, წყლის ჩხრიალშიაცა, ზღვის ხმაურობაშიაცა, და ყოველისფერში, რაც არის ქვეყანაზე ცოცხალი, და ისრე უხმოდ, მაგრამ ისრე მშვენიერად ელაპარაკება ყმაწვილსა და მის უმანკო სულსა.—ნუ ელაპარაკებით ბავშვებს მხოლოდ იმაზე, რომ რა სასჯელს აძლევს ღმერთი ამა და ამ შეცოდებისათვის; ასწავლეთ, რომ უეურონ ღმერთსა, როგორათაც მამასა, რომელსაც დაუსრულებლად უყვარს თავისი შვილები, რომელნიც იმან შეჰქმნა ნეტარებისათვის, რომელთა ნეტარებაც იმან დაიხსნა ტანჯვითა და ჯვარ-ცმით. შეასმინეთ ბავშვებს შიში ღვთისა, როგორათაც სიბრძნისა დასაწყისი, მაგრამ მოიქმედეთ ისრე, რომ ეს შიში გამოამდინარეობდეს სიყვარულიდგანვე, და ჰქონდესთ შვილური მოკრძალული შიში გეთილი და მოსიყვარულე მამის წყეგინებისა და არა მრისხანესი და შურის-მძიებელისა, და არც მონური შიში; სასჯელად მიაჩნდეთ ღვთის ჰირის მორიდება ცოდვისათვის და არა ამ სოფლად გეთილის გამოკლება. იმდენად ნუ უგდებთ ყურსა ბავშვების ნაკლულევანებისა და ბოროტების ამოფხვრასა, რამდენადაც მათს ავსებას განმაცხოველებელი სიყვარულითა: თუ დაუმკვიდრებთ გულში სიყვარულსა—ბოროტება დაუტოვებს თავისს ადგილსა. ალმოფხვრა ცუდისა, რომ კარგით არ შეავსოთ—უნამოფოა; ეს დაცარიელებს, და ცარიელი შეუწყვეტლად ივსება—სიცარიელითვე: გამოაგდებთ ერთსა, გამოჩნდება მეორე, სიყვარული, დაუსრულებელი სიყვარული, სუეოველისფერი დანაშთენი ფუჭია! «ღმერთი არს სიყვარული, და მეოფი სიყვარულში არს მეოფი ღმერთში და ღმერთი მასში.» აგრეთვე ნუ დაჭერეხთ ნამდვილსა, ნურც მასზედ ცილის წამებით, ნურც შეამკობთ, თქვენის გონებიდგან, და აჩვენეთ ისრე, როგორიც არის ნამდვილად, ყოველის თავისი მშვენიერებითა და თავისის შეუბრალებელი მოჯმუხვნილობითა, რომ ბავშვის გული, შეჩვეული მისს სიყვარულსა, დაეჩვიოს, მისი შემთხვევების ბრძოლასაცა, რომ იპოვნოს იმე-

დი თავის გულშივე. მხოლოდ ჭეშმარიტებაშია სიცოცხლეცა და კეთილიცა: ჭეშმარიტებისათვის საჭირო არ არის, რომ იშვლიოს სიცრუე. და ამისათვის, თქვენგან დაწერილი მოთხრობა შეიძლება დაბოლოვდეს უბედურებითაცა, რომელშიაცა კეთილ მოქმედება იტანჯება და ბოროტება გამარჯვებულა; მაგრამ თქვენ სრულიად მისწვდებით თქვენს ზნეობითს საგანსა, თუ რომა ყმაწვილნი გულნი თქვენის ბატარა წამკითხველებისა მიუდგებიან დატანჯულებსა და არ შეშურდებათ გამარჯვებულები, თუ თქვენს კითხვაზედ: ვის ადგილას გსურო, რომ იყვნეთ?—თუ იმათ დაუყოვნებლივ გიპასუხეს, რომა ტანჯულებისა, მაგრამ კეთილების ადგილასაო. ნუ დასტოებთ ნურც ერთს აღზრდის მსარესა: შესმინეთ ბავშვებს სისუფთავეცა, გარეგანი სიწმინდეცა. კეთილ შობილებაცა და მიხრამოხრილსა და ყოფა ქცევის ღირსებაცა ხალხში; გამოიყვანეთ სუფოველი ამათი მიუცილებელი საჭიროება საზოგადო, უმაღლესი წყარდგანა—ადამიანის უმაღლესის წოდებიდგანა და ადამიანის სამარადისო ღირსებიდგანა, და არა საზოგადოების დებულების პირობიდგან. ჩაგონეთ, რომა გარეგანი სიწმიდავე და სიმშვენიერე უნდა იყვნენ გამომხატველნი შინაგანი სიწმიდავისა და სილამაზისა, რომა ჩვენი სხეული უნდა იყვეს ღირსეული ჭურჭელი ღვთის სულისა . . . . ადამიანისა პატივის-ცემა ჯ დაუსრულებელი სიყვარული უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმისათვის, რომა ადამიანი არის, გაურჩევლად რომელი მილეთისაც უნდა იყვეს, რომელი სარწმუნოებისაც და წოდებისაც, სრე გაშინჯე სრულიად გაურჩევლად ღირსია თუ ულირსი,—უნდა უყვარდეს, ერთის სიტყვით, დაუსრულებელი სიყვარული და დაუსრულებელი პატივის-ცემა უნდა ჰქონდეს ადამიანობისა (человѣчество), თუ გინდ სულ უკანასკნელი მისი წევრი იყვეს და ეს უმაღლესი ნათქვამი პოეტისა—

При мысли великой, что я человѣкъ
Всегда возвышаюсь душою (*)

უნდა იყოს დრო შა მთელის მისის სიცოცხლისა.

1863 ს წელს ფებერვლის 12 დღესა.

მაქსიმ ლალანიძე.

(*) იმ უმაღლესი ჭაზრით, რომ მე ვარ კაცი ყოველთვის აღმაღლები ხოლმე სულითა.

სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი.

(პრუდონის სტატია).

ჩვენის ხელ-გაშლილის და უხვის ცხოვრების თავ-მოწონება და ჩვენის სიამოვნების აღტაცება არ უნდა გვიბრალებდეს ჩვენს თვალებსა: სისწყლე, უილაჯობა ისეთი ძლიერია განათლებულს ხალხშიაცა, როგორც ბარბაროზების დროებში, და იქნება უფრო მეტადაც. რომელიმე ხალხის კეთილ-მდგომარეობა, რასაკვირველია, სარჩოს სიმრავლეზედ არის დამოკიდებული, მაგრამ იმოდენად კი არა, რამოდენათაც იმაზედ, რომ ხალხს რაც უნდება, ის მოჭყავს თუ არა და უფრო იმაზედ რომ ის მოუკანილი ყველასათვის მისწდომია და თანასწორად განწილული თუ არა. ეხლა რადგანაც არა ხალხს რაც უნდება, ის არ მოჭყავს და რაც მოუკანია ისიც ყველასათვის თანასწორად არა არის განწილული, ამის გამო კეთილ მდგომარეობას ყველანი ყველგან მოკლებულნი არიან. საზოგადოება თვალად მდიდარი, ნამდვილად ღარიბი არის; ერთის სიტყვით უილაჯობისაგან ყველანი იტანჯებიან: მიწის მფლობელიც, რომელიც ღალითა ცხოვრებს და პროლეტარიც, რომელსაც არა აქვს რა და მარტო თავის ხელის ნამუშავარით იოლად მიდის.

ეს ჩემი სიტყვა იქნება შეცდომად ეჩვენოს ვისმეს, ამისათვისაც ნებას ვითხოვ, რომ ამ საგანზედ მცირეს ხანს კიდევ შევჩერდეგ.

ჩვენის ბუნების ყველაზედ დიდი საჭიროება—საზღოს საჭიროება არის ე. ი. უნდა ვჭამოთ და უნდა ვჭამოთ. ამბობენ, რომ არის ზოგიერთი გვარი პეპელა, რომელიცა უჭმელად ცხოვრობს,

მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ის საკმაოდ ძლება ჯერ კიდევ მაშინ, როცა პარეტია და, თუნდ ეგ არ იყოს, იმისი სიცოცხლე დღეგრძელი არ არის. ღირს განა, რომ ის პეპელა ცხოვრების სიმბოლოდ ავიღოთ? დაე ეს, თუ ნებავს, იმან გადაჭსწყვიტოს, ვინც შედარების მოუკარეა.

რაც უნდა იყოს კაცსა ცხოველის საზოგადო მხვედრი აწევს კისერზედ: კაცმა უნდა ჭსჯამოს და სვას ე. ი. უნდა იხმაროს როგორც ეკონომისტები ამბობენ.

აი ეკონომიის სფერაში ჩვენი პირველი და საშინელი კანონი, რომელიც როგორც სულთამხუთავი გვდევნის ჩვენ, თუ გონიერად იგი არ აღვასრულეთ და თავის მონად გვხდის, თუ ყოველს ჩვენს ღირსებას და მოვალეობას მას შევჭსწირავთ ხოლმე. ამ ჯამა-სმის აუცილებლობით, ჩვენ უფრო მომატებულად პირუტყვებსა ვგავართ. მაგ აუცილებლობის ზედ მოქმედებით პირუტყვებზედ უარესებიცა ვხდებით, როცა გულარძნილების და გარეკვნილების მორევში ჩავცვივით, ან, შიმშილით შემწყვდეულნი, ჩვენის თავის გასაძღომად მოტეუებას, ძალადობას, კაცის კვლასაც არ მოკერიდებით ხოლმე. გარნა შემოქმედსა, რომელმაც ეს სახე ცხოვრებისა ამოგვირჩია, თავისი განძრახვა ჭქონია: ეგ ჯამა-სმის აუცილებლობა ძალას გვატანს ჩვენ, რომ ვიმოქმედოთ და ვიშრომოთ. აი ჩვენი მეორე კანონი, მაგრამ ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: რა არის მოქმედება და შრომა? ეგ არის იმისთანა არსების ფიზიკური და გონებითი წარმოება, რომელიც შედგენილია სულისა და ხორცისაგან. შრომა და მოქმედება მარტო ჩვენის ხორცის დაცვისათვის კი არ არის, იგი საჭირო კიდევ ჩვენის სულის გაშლისათვის, აღზვავებისათვის. ყოველი ფერი რასაც კი ჩვენა ჭვფლობთ, რაც კი ჩვენ ვიცით სულ შრომისაგან არის გამოსული; შრომის მეოხებითა გვაქვს ჩვენ ყოველი მეცნიერება, ყოველი ხელოვნება, ყოველი სიმდიდრე. ფილოსოფია მარტო ლონისძიება არის, რომელიც განაზოგადებს, მცნებათა ჭქმნის ჩვენის გამოცდილების ე. ი, შრომის ნაყოფსა, გამოსავალსა (რეზულტატსა).

რამოდენათაც—როგორც ვნახეთ—გვამდაბლებდა ჩვენ საჭიროების კანონი, იმოდენად გვამაღლებს ჩვენ კანონი შრომისა. ჩვენ მარტო სულიერის ცხოვრებით არა ვჭსცხოვრებთ, იმიტომ რომ ჩვენ მარტო სულისაგან არა ვართ შედგენილები, მაგრამ შრომით ჩვენს ცხოვრებას უფრო და უფრო ვასულიერებთ.

აქ ერთი საქმე გვიჩნდება ჩვენ—საქმე, რომელიც ყველაზედ უდიდესია და რომლის გადაწყვეტაზედაც დამოკიდებულია ჩვენი ეხლანდელი კეთილ მდგომარეობა და, თუ ძველს მითებს დაუჯერეთ—მომავალი კეთილ მდგომარეობაცა.

რა უნდა კაცსა მოსახმარებლად? მაშასადამე რამდენი უნდა გაკეთოს, და რამდენის გაკეთება შეუძლიან? რამდენი შრომა შეხვდება?

ამის პასუხი ჩვენი მესამე კანონი იქნება.

ჯერ ეს უნდა ვჭსთქვათ, რომ მოხმარების (потребленія) ნიჭსა კაცისას საზღვარი არ უდევს; რაც კაცს უნდა, იმას ბოლო არა აქვს, მაშინ, როდესაც კეთების (производство) ნიჭსა საზღვარი აქვს. ესეა ამ ქვეყანაში და მართალიც არის: მოხმარება, შეთქვლეთვა, შემუსვრა იმისთანა ნიჭია, რომელსაც არც რიცხვი და არც ზომა არ მოეკიდება და რომელიც არეულია და განუსაზღვრელი; ხოლო გაკეთება, შექმნა, განწესიერება, თორმის მიცემა იმისთანა ნიჭია, რომლის კანონიც რიცხვი და ზომაა, ე. ი. რომელიც საზღვარ დადებულია.

გარს რომ თვალი გადავავლოდ ვნახამთ, რომ შექმნილს ბუნებაში ყველას თავისი საზღვარი აქვს—მე მინდა ვჭსთქვა—სახის მქონებელს ბუნებაში. ჩვენგან დასახლებულს ქვეყანას სიმგრგვლივ სამოცდა შვიდი ათასი ვერსტი აქვს; დედა-მიწა ოცდა ოთხს საათში ერთხელ თავის ღერძს გარს შემოუვლის და მზის გარსა კი საამს საზღვარ ხუთს დღეს და ექვს საათში. დედა-მიწა როცა თავის ღერძის გარსა ტრიალებს ხან ერთისა და ხან მეორეს პოლიუსით შუაგულის მნათობისაკენ მიიქცევა ხოლმე. დედამიწის ატმოსფერა ს ორმოცი ვერსტს ზევით ალარ არის; ოკეანი, რომელიც ხმელეთის

ოთხს მეხუთედსა ჭეარავს, სამი ათასს მეტრზედ ღრმა ადარ არის საშუალო რიცხვითა; სინათლე, სითბო, ჭაერი, წყალი იმოდენად გვეძლევა სწორედ, რამოდენათაც ჩვენთვის საჭიროა, არც მეტად, არც ნაკლებად, თითქმის რაღაც გამოზოგებით და ხელმოჭერითაც. დედამიწის მთელს ეკონომიაში ერთი მცირედი გადაცდენა ან იქით, ან აქეთ არეულობას მოახდენს. ცხოველთა და მცენარეთაც ამისთანა კანონი ჭმართავს. კაცის ჩვეულებრივი დღეგრძელობა საჭიროდა ათს წელიწადს არ აჭსტიღდება ხოლმე; ხარი ექვს წელიწადში იზდება, ცხვარი.

ორში, ლოკოკინა — სამში; ვერხვი ოცდა ხუთმეტის სენტიმეტრის სისქისა ოცდა ხუთს წელიწადში ხდება, მუხა მაგვვე სისქისა—ასს წელიწადში. პური და უფრო ნაწილი მცენარეთა, რომელიც ჩვენ მოგვყავს და რომელიც საჭმელად ვხმარობთ წლის ერთ ჯ იგივე დროს მოდის. ყველგან ს

შეუდრკალის კაცთა შეიძლებს და ამოჭგლეჯს დედა-მიწის გულიდამ, in sudore vultus tui vesceris pane tuo (ოფლითა პირისა შენისათა ჭამდე პურსა შენსა). ეი კაცი ამას ეძახის სიმდიდრის შექმნას, იმიტომ რომ სიმდიდრეს ის ნივთი შეადგენს რასაც თვისი ადგეს ე.. ი. რაც გამოსაყენია და საჭიროა და რაზედაც შრომა წასულა: ასე, რომ სიიეფეს (изобилие) (ბუნებისაგან უშრომელად მოცემულს სარჩოს) და სიმდიდრეს ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი მნიშვნელობა აქვსთ, იმიტომ-რომ სიიეფე შეიძლება მაშინაც იყოს, როცა სიმდიდრე არ არის და სიმდიდრე მაშინ, როცა სიიეფე,—და კიდევ იმიტომ რომ ეს ორივ სიტყვა სწორედ იმის წინააღმდეგნი არიან, რასაც თვალად იგინი ნიშნენ.

ჭსჩანს კაცს ცივილიზაციის დროსა შრომით მარტო ის ეძლევა, რაც საჭიროა ხორცის დაცვისათვის და სულის აღუვაკებისათვის, «არც მეტი და არც ნაკლები.» ეს უმეტუნაკლებობა არის ის, რასაც მე «სილარიბეს» ვეძახი, მესამე ჩვენი კანონი, ბუნებისაგან მოცემული, რომელიც სისაწყლეში და უილაჯობაში არ უნდა გაერიოს.

აქ—მე არ უნდა დავმალო—წინააღმიდგება საზოგადო ამად წუმუნება.

ბუნება—მეტყვიან—გამოუღეველია; შრომა დღე და დღე უფრო ბევრს აკეთებს. დედა-მიწის გული, ამ ჩვენი ძველი ძუძუმწოველისა, ისეთნაირად საკსეა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლიან ის გამოვრთოთ, რის მოცემაც შეუძლიან მიწასა. მოვა დღე რომ სიიეფეს ფასი დაედება და სიმდიდრის სახელი დაერქმევა, მაშასადამე სიმდიდრე გაიეფდება (*). მაშინ კეთილი ზღვასავით მოვრდება და ვიცხოვრებთო მშვიდობითა და სიხარულითა.

ჭსჩანს, მეტყვიან, თქვენი სილარიბის კანონი ტყუილია.

კაცს ძალიან უყვარს სიტყვით თავის თავის მოტყუება. კაცის

(*) ის კი არ იციან, რომ «ოდეს ფურფა გაიეფდეს არა ლირდეს არცაჩირად.»

ბ. გ.

თეოლოსოფიაში ყველაზედ ძნელი თავის საკუთარი სიტყვის გაგება არის. ბუნება გამოულეველია იმ აზრით, რომ განუწყვეტლად ჩვენ მასში ახალს სასარგებლო საგნებსა ვპოულობთ, მაგრამ იმ პირობით კი რომ განუწყვეტლად ჩვენი შრომა უნდა მატულობდეს,—ეს იმ კანონის წინააღმდეგი არ არის. ხალხი ყველაზედ უფრო გამოსავლიანი, ყველაზედ უფრო მდიდარი ის არის, რომელიც ყველაზედ ბევრსა მუშაობს. ამავე დროს იმ ხალხშივე, იმ მიზეზით, რომელსაც ქვევით ვიხსენიებ, სისწყლე გაძლიერებულია. იმ ხალხის მაგალითი არამც თუ არღვევს, არამედ ამტკიცებს ჩემს კანონსა. მოსავლის წარმატება იმ საგნებში და ნივთებში ჭსჩანს, რომელნიც პირველ საჭიროებისათვის არ არიან და რომელთაც ყველაზედ უფრო ცოტა ბუნების დახმარება უნდება. მაგრამ ამისთანა ნივთების მოსავალმა თუ ერთი იოტის ოდენა მაინც გადამეტა იმათვის დანიშნულს უღუფასა, მაშინვე ფასი აგლდება, მთელი გადამეტებული რიცხვი არათერად ალარა ღირს. მრთელი ჭკვა, რომელიც ამ წამს თითქმის ეტრფიალებოდა სიმდიდრეს, ეხლა ეწინააღმდეგება, მას, რომ შრომის გამოსავალი სიღარიბის წრეს გარედ გავიდეს.

რაცა ვჭსთქვით ამისაგან ის გამოდის, რომ ჩვენ უნდა დიდი ეკონომია ვაქონიოთ, იმიტომ—რომ რაც ჩვენ გვიჭირს, ამას დასასრული არა აქვს ⁄ გაჭირებისაგან დახსნისათვის შრომას კი თავისი საზღვარი აქვს. ზომიერება, ბედოვლათობაზედ ხელის აღება, არსებითი ბური, არსებითისვე შრომით მოპოებული, ლუკმის გაწყვეტა, რომელიც თვიცხლავ დაჭსჯის ხოლმე უზომობას და მცონარობას—ა ჩვენი პირველი ზნეობითი კანონი.

ამისათვის შემოქმედმა, რომელმაც დაგვინიშნა ჯამა და სმა რომ ვიცხოვროთ, ავ-მუცლობის ნება არ მოგვცა და ამით მოინდომა, რომ ჩვენ განდეგილის და სულიერის ცხოვრებამდინ თან და თან მივეუვანეო. შემოქმედი ზომიერებას და რიგიანობას გვასწავლის ⁄ სურს რომ იგინი გვიყვარდეს. რაც უნდა თქვას არისტიპმა, მაინც ჩვენი მხვედრი დატკბობა არ არის: ჩვენ ბუნება არა თვერს არ

გვაძლევს, რომ დავტკბეთ და ჩვენ თითონაც არც შრომით, არც ხელოვნებით იმოდენას ვერ შევძლებთ, რომ ყველანი დავატკბოთ ისე, როგორც უნდა ეპიკურების ფილოსოფიას, რომელიცა სიტკბოებაში ჩვენს უმაღლეს მადლსა და ბედნიერების ბოლოსა ხედავს. ჩვენ ჯკუისა და გულის აღუვაების მეტი სხვა დანიშნულება არა გვაქვს; რომ ამაში გვიშველოს ჩვენ და თუ საჯირო ძალაც დაგვატანოს, განგებამ დაგვიწერა ჩვენ «სიღარიბის კანონი»: Beati pauperes spiritu (ნეტარ არიან ღარიბნი სულითა). ეი რისგამო, უწინდელების აზრით ზომიერება ოთხს სათნოებათა შორის პირველი არის; ეი რის გამო აგუსტის კეისრის დროს, პოეტები და ფილოსოფოსები, გორაცი, ვირგილია და სენეკა ადიდებდნენ ზომიერებას და ბედოვლათობის შეძულებას ჭქადაგობდნენ; ეი რისგამო იესო ქრისტე 'ეფრო გულმტკივნეულის სიტყვით გვასწავლის ჩვენ, რომ ღმერთსა, ყოველი სიმდიდრის მაგიერად, «პური ჩვენი არსებითი» ვჭსთხოვოთ.

ყველას ამათგანს ესმოდა, რომ სიღარიბე დასაწყისია საზოგადოების წესისა და ჩვენი მხოლოობითი სოფლის ბედნიერება.

თვქტი, რომელიც ხშირად მოჭყავთ და რომელის ნამდვილი მსიშვნელობა—როგორცა ჩანს—არ ესმით—შუათანა შემოსავლია დღეში ერთს კაცზედ ქვეყანაში, ვჭსთქვათ, როგორც თვრანცია რომელიც ბუნებისაგან კარგად არის დაჯილდოებული. ოცდა ათის წლის წინად ეგ შემოსავალი დღეში ერთს კაცზედ ზოგიერთის სიტყვით ოცდა რვა გროში იყო, სხვების სიტყვით,ოცდა თოთხმეტ ნახევარი.ეხლანან რჯულის მდებელის კრების მწევრმა—ავგ. შევალიემ თქვა, რომ ხალხის შემოსავალი იმოდენა არისო, რომ დღეში ერთს კაცზედ ორმოცდა ცხრა გროში მოდისო, მაგრამ ამ ანგარიშში შეცდომა და დიდი გადამეტება იპოვეს, ასე რომ კაცზედ ორმოცდა სამნახევარი გროში მოდის დღეში და ოჯახზედ ს�ა ოთხი სულია შვიდმეტ შაურნახევარი (3 თვრანკი და 50 სანტიმი).

ვჭსთქვათ, რომ ეს ანგარიში მართალია. ოჯახი ოთხი სულისაგან შედგენილი დღეში შვიდმეტ შაურ ნახევრად იოლად წა-

ვა ერთს დღეს. მაგრამ. აშკარაა, ბრწყინვალება არ ექნება: დედა და მისი ქალები აბრაშუმის კაბებს არ ჩაიცმენ, მამა საქეიფოდ არ იკლიის; თუ ვინიცობაა სამუშაოდ შემოაკლდეს, ან სნეულება დაეცეს, ან უბედური შემთხვევა რამ მიეცეს, ან კიდევ ბიწიერება რამ ოჯახში შეუვარდეთ სახარჯოც შემოაკლდებათ და მალე ლუკმაც გაუწყდებათ. ამისთანაა ეს კანონი—კანონი სასტიკი, რომელსაც ვერავინ ვერ წაუვა, თუ არის, ვინც სხვის ხარჯზედ ცხოვრობს,—კანონი, რომელმაც ჩვენ ის გაგხვადა, რაცა ვართ და რათაც ვლირვართ. კაცობრიობის ჯეშმარიტი განგება სიღარიბე არის.

ჩვენს სტატისტიკით დამტკიცებულია, რომ ხალხს თერანცუზებსაკით, უკეთეს გარემოებაში მყოფსა, იმოდენა მოჭყავს მოსავალი, რამოდენაც უჭირს და უნდება. სხვა ქვეყნებშიაც ამასვე ვპოულობთ: ყველგან იმ რეზულტატსა ვნახავთ (რომელიც სასურველია ყველამ გულში ჩაირჩინოს), რომ კაცის ცხოვრების წყარო—შრომა და სიღარიბეა; მისი დანიშნულება—მეცნიერება და სიმართლეა; პირველი მისი კეთილ მოქმედება — ზომიერებაა. ცოტადი ცხოვრებდე, ბევრს მუშაობდე და გაუწყვეტლად სწავლობდე — აი წესი, რომლის მაგალითსაც სახელმწიფო თავის ხალხს უნდა უჩვენებდეს,

იტყვიან:—ეგ შვიდმეტ-შაურ ნახევარი დღეში ოთხს კაცზედ შრომის უკანასკნელი საყოფი ხომ არ არისო? შეიძლება შრომამ მოიმატოს, შემოსავალი ერთიორად გახადოსო? მეც ვიტყვი რომ თუ მოსავალი ერთიორად გახდება, ხალხიც ერთიორად მოიმატებს და გამრავლდება, გამოკვ ისევ ის, რაც უწინ იყო. ჩვენებია საქმე უფრო ახლო გავსინჯოთ.

მოყვანა რისამე დამოკიდებულია საჭიროებაზედ. თუ ერთი რამ არავისთვის საჭირო არ არის, ვინ იქნებ რომ იმაზე შრომა გასწიოს. მაშასადამე რამდენიც საჭიროა, იმდენი უნდა მოიყვანო. საჭიროებამ რომ ერთი ბეწო დაიკლოს—შრომაც დაიკლებს, და ჩვენ ვნახამთ, რომ დაიკლებს თითონ სიმდიდრეცა: ეს აუცილებელია. მართლა და წარმოვიდგინოთ, რომ საჭიროებამ დაიკლო და შრო-

ამაკი არა: რადგანაც შრომის ნაყოფს ბევრი მუშტარი არ ეყოლება, ბევრი არ ითხოვს, ამისკამო თასს დაიგლეჯს, მაშინ ის გამოვა, რომ იმ შრომის ნაყოფის ერთი ნაწილი თითქო არცკი ეკუთვილა.

საჯირეობა ორ ნაირი არის: აუცილებელი და მეტი. თუმცა ძნელია, რომ კაცმა ამ ორ საჯიროებას სამძღვარი დაუდვას და უჩვენოს სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე, მაგრამ განსხვავება კი აქვს, ერთი კაცი არ არის, რომელსაც კი თავის ცხოვრებაზედ უფიქრია, რომ არ შეეძლოს თქმა რომელი საჯიროებაა მისთვის აუცილებელი და რომელი მეტი.

ეხლა რომ გავსინჯოთ ცხოვრება, ჩვეულება, მიდრეკილება და ალბრდა მუშების უფრეს ნაწილისა, ადვილად ვნახავთ, რომ მათი შრომა და ჯავა მაშინ არის დიდი და ძლიერი, როცა აუცილებელი საჯიროება ძალას ატანთ, როცა კი აუცილებელი საჯიროება დაკმაყოფილებულია, და უნდა მეტისათვის შრომა გასწიოს, მაშინ შრომა მისი იკლებს და მალე სრულიადაც გაითავდება ხოლმე. საზოგადოდ კაცს მარტო იმაზედ უფვარსშრომის გაწევა, რაც აუცილებლად მისთვის საჯიროა. ამაში კაცი ბუნების ნამდვილი წარმომადგენელია: თითონ ბუნებაც მეტს არა თვერსა ჭქმნის, ლაცარონი ამისი მაგალითია: თუ იმან სადილი ჭამა ხელს ველარ განძრეკინებ. ზანკი (ნეკრი), რომლის განთავისუფლებას ეხლა თხოულობენ,—მაგასვე ჭჩადის. კაცმა რაკი აუცილებელი იშოვა მაშინვე მოსვენებას ელტვის, ამ ბედის ნაყოფსა, რომელსაც უფროდ გულმოდგინეთ ექებს. რომ მისგან მეტის შრომა მიიღო უნდა თვისი ერთი ორად, ერთი სამად გაუხადო, შრომაში მიესცე იმდენი, რამოდენათაც არა ღირს—და ეს ყველათვერი მოგების ე. ი. თითონ ნამუშავრობის კანონისა წინააღმდეგია. აქაც პრაქტიკა თეორიას ამტკიცებს. მუშობა მრავლდება იქ, სადაც ხალხის გამრავლებისაგამო, სარჩოს საჯიროება მატულობს და სადაც ამისგამო გაუწყვეტლად მუშის მუშტარი ბევრი ჩხდება. მაშინ მუშის თვისი კლებულობს უფრო ვიდრე მატულობს, სამუშაო დღე უფრო გძელდება, ვიდრე მოკლდება. თუ ამის წინააღმდეგი მოხდებოდა, მაშინ

თითონ მუშაობაც შეჭსწყდებოდა.

რომ სიმდიდრემ მოიმატოს რომელიმე ხალხში სამი რამ უნდა: 1) მუშებსა მოუმატონ ახალი საჭიროება, რომელიც ადვილად შესაძლებელია, მითი რომ გაუხსნათ გემოვნება და ჭკუა ე. ი. უმეტესი განათლება მისცეთ, რომელიც თავის თავად კაცს უილაჯობიდამ დაიხსნის; 2) უფრო და უფრო გონიერად მოაწყოთ შრომა და მუშაობა, რომ მუშებმა დრო და ძალი გამოიზოგონ და 3) ამისათვისვე ბოლო მოუღეთ პარაზიტობას (სხვისით ცხოვრებას). ეს სამი პირობა სიმდიდრის განვითარებისათვის ამ სიტყვაში შემოდის: უფრო და უფრო თანასწორად გაიყვიოთ ცოდნაც, ღვაწლიც და ნამუშავარიც. ეს—თანასწორობის განზრახა, ყველაზედ უდიდესი, თითქმის, მხოლოობითი განზრახა სოციალიტიკო ეკონომიისა, იმიტომ რომ ყოველი სხვა განზრახები ამის სხვა და სხვა ნაირი გამოთქმები არიან და თითონ სიღარიბის განზრახიც ამის ნაყოფია ჯ სხვა არა ფერი.

მეცნიერება ამბობს, რომ ამ ჭლასში არამც თუ აუსრულებელი რა არის, არამედ ამ სამთა მიზეზთა ერთად მოქმედების მეოხებით ოცდა ათის საუკუნის განმავლობაში შეეძინეთ კაცობრიობის ეკონომიურ მდგომარეობისაოვისა ცოტა რამ წარმატება.

მაგრამ კინ არა ხედავს, რომ თუ განათლებით მუშა ხალხი ერთს საფეხურით ცივილიზაციაში მაღლა დგება, ერთის სიტყვით იმაში, რასაც მე ჭკუის ცხოვრებას ვეძახი; თუ მგრძნობელობა მუშა ხალხისა უფრო ნაზდება, გამოხატულება უსუფთავდება, საჭიროება უმრავლდება, უფაქიზდება, უცოცხლდება, საქმის მდგომარეობა ისევ ისე არის, არ იცვლება ე. ი. კაცობრიობა კეთდება გონებით, კეთილ მოქმედებით და სათნოებით—როგორც სახარება ამბობს, მაგრამ რადგანაც ყოველთვის სულისათვის და ხორცისათვის მარტო პურსა არსებითსა შიუღობს, სარჩოთი, ნივთიერებით ყოველთვის ღარიბად რჩება. აი ეხლანდელი თერანციის მაგალითი ამას გვიმტკიცებს. უეჭველია, რომ ამ ორმოცს წელიწადში ნამუშავარმა ძალიან იმატა; იქნება ეხლა შედარებით უფრო მეტია ვიდრე 1820-ში.

მაგრამ კი ვინც იმ დროს მოჭსწრობია, იმათვის საკვირველ არის, რომ ეხლა ყოველი წოდების ხალხი უფრო გაჭირებულია, ვიდრე მაშინ, ლუდოვიგო XVIII დროს. რისგან არის ეს? ამისგან არის ესა, რომ — როგორც ზემოთა ვჭსთქვი — დაბალის და შუათანის ხალხის ზნე გაიწმინდა, გაუკეთესდა და ამავე დროს იმ მიზეზთა გამო, რომელთაც ქვევით მოვიყვან, უფრო და უფრო დაიწყებს ⁄ დარღვევას მიეცა თანასწორობის კანონი, კანონი ზომიერებისა და სილარიბე აუტანელი გახდა და, ბუნებით, კეთილ სათნოებიანი, იგი გაგვიხდა ჩვენ სულთამხუთავად. ჩვენ რაც მეტია, იმას მოვუმატეთ და ეხლა აუცილებელიც არა გვაქვს.

ამ სახით ბუნების დანიშვნითავე ყოველი ხალხი ბარბაროზული თუ განათლებული, როგორიც რომ მართველობა და წესი უნდა ჰქონდეს, მაინც ღარიბია და ღარიბი, მით მომეტებულად ღარიბია, რამდენათაც იგი განშორებულა პირველ ყოფილს მდგომარეობას ე. ი. ბუნებისაგან მიცემულს «სიიეფეს» და მიახლოვებულა შრომის შემწეობით «სიმდიდრესთან.» იმის და გვარად რომ ეხლა შეერთებული შტატების მიწით ყველაზედ მდიდარი ხალხი მრავლდება და მიწებს იჭერს, კანონი შრომისა უფრო და უფრო მიუცელებელი ხდება ყველასათვის, რადგანაც თვით ბუნების გამოსავალი არ ჰყოფნის და შეუცდომელი სილარიბის ნიშანი ის არის, რომ რაც იქ უწინ მუქად ანუ თითქმის მუქად ეძლეოდათ, ეხლა თვსს იდებს თან და თან უფრო მეტს, რომლიც გამოს პირველ ყოფილი მუქთაობა ქრება და დასაწყისი «თვსიანობისა» (цѣнность) შემოდის და პროლეტარიობაც იწყობა ამის მგზავსივე საქმე ისპანიას მოსდის. რამდენიმე საუკუნის ძილის შემდეგ ისპანიამ ერთბაშად გაიღვიძა შრომისა და თავისუფლების ხმაზედ. ისპანია მიადგა თავის მიწებს, რომ მიწიდან მოგება ამოიტანოს. სიმდიდრემ მაშინვე ყველგან და ყველასათვის შადრეკანსაგით დენა დაიწყო. მუშის თვსმა აიწია, იმიტომ რომ თვსს მიწა და უცხო ქვეყნის ხალხი აძლევდა. მაგრამ აბა ხალხმაც ისე მოიმატოს, როგორც სიმდიდრემ იმატა ე. ი. ხალხის რიცხვი სიმდიდრეს გაუსწორდეს — ამას

ორმოცდა ათს წელიწადზედ ნაკლები დრო მოუნდება — და მაშინ ისპანია გათანასწორდება ე. ი. ღარიბად წარმოგვიდგება, ზნეობით კი, რასაკვირველია უკეთესი და უმაღლესი შეიქნება.

მაშ—მეტუკის ვინმე მამმონის გულფიცხელი თაყვანის მცემელი—ყოველივე ჩვენი შრომა და ჯაფა ამაო ყოფილა. ეს მთელი ხალხის საქმიანობა, ეს ახალი მუშაობა, ეს საკვირველი მაშინები, ეს ნაყოფიერი გამოგონებანი, ეს ნამუშავრობის სახელი და დიდება, სულ ამაო ყოფილა და ჩვენ ულონობას აჩვენებს, რადგანაც უფრო და უფრო გვაღარიბებს; ისა ჩსჯობია ველაფერზედ ხელი აგიღოთ.

მაშ გლახაობისათვის ვმუშავობთ,—ეგ ხომ ნამდვილი ტყუილია! მაშ რალათ ვიმტკრევთ თავებს და თავში ქვას ვიხლით, თუ კი ჩვენის შრომით აუცილებელის შოვნის მეტს ვერათვერს მივწვდებით? მართლა რომ კაი საქმისათვის მოგიგიდნიათ ხელი: სულს მხნეობას ართმევთ, ჭკუას ამდაბლებთ, გულის სიმხურვალეს აციებო, უნაყოფოდ ხდით გენიოსებსა—ეგ არის თქვენი კეთილ ზნეობა, ეგ არის თქვენი განათლება, თქვენი მშვიდობა!

ვინც მე ამას მეტყოდა, მეც ამას ვეტყოდი: აიხსენ ბირ ბადე! შენი რიტორება გამხელებს შენ, აღებ მიცემის მარლატანო, ბაზრის აკაზაკო, ხაზინის მუწუკო, სულდაბალო მოქრთამეო! გაგვეცალე იქით და შენის საზიზღარის თავისაგან დაიხსენ პატიოსანი შრომა, იმიტომ რომ თქვენისთანა ხალხის მეფობის დასასრული მოდის ⁄ შეიძლება რომ შიმშილითაც ამოწყდეთ.

გულწრფელსა კი, რომელსაც რიტორება წინაღმდეგისა ყოველთვის შეაცდენს ხოლმე, მე ვეტყვი: თუ ერთხელ იმისთანა დრო იყო, როცა მიწის მომქმედი ბარს სარჩოსა ჭსთხოვდა, როგორ არ გესმის, რომ მერედ ხალხის გამრავლების შემდეგ მაგავე თხოვნით უნდა მიჭსდგომოდა გუთანსა ⁄ ხალხის უფრო გამრავლების მიზეზითვე, დღეს იძულებულია იგივე მოჭსთხოვოს მემაშინესა, ხომალდსა, ლოკომოტივსა? გამოგიანგარიშნია, რამდენი სიმდიდრე უნდა ჭქონდეს კაცს, რომ ოცდა რვა ათასს კვადრატულს მილის მიწაზედ ოცდა შვიდმეტი მილიონი კაცი შეინახოს? მაშ იშრომეთ, იმიტომ, რომ რაწამ-

ს

გვარად რა განათლებაც მიჰსცემია ჩვენსა.

ცხენი ქერსა ჭამს, ძროხა თივასა, ღორი კრეკასა, ქათამი—სვენსა. ისინი ან იკვლიან საჭმელსა და მაგისათვის ან ცოტა ენადვლებათ. მე მინახავს, რომ სოფელი მუშა ყოველ დღე ერთ და იგივე შავ პურსა ჭამდა და ერთ და იგივე კარტოფილსა; თვალად თითქო ამაზედ არა ჭამუნსო: მხოლოდ იგი ყოველ დღე ხორცს და ფერს იკლებდა მეტის მეტის შრომისაგან. მაგრამ განათლებული მუშა კი, რომელსაც მოხვედრია სხვი განმანათლებელის სიტყვისა, სხვა და სხვა ნაირს საჭმელს ჭაჭირობებს. იგი ხმარობს პურს, ბრინჯს, მწვანილს, ხორცს, თევზს, კვერცხს, ხილს, რძეს, ხანდისხან ღვინოს და სხვა სასმელებს, ჩაის,—ყავას; თავის საჭმელს ამარილებს, მასალას უშრებს და სხვა და სხვა ნაირად ხარშავს. იმის მაგიერად რომ მზეზედ გამხმარი ცხვრის ტყავუჭი ჩაიცვას, ან ლათვისა, იგი ხმარობს სამოსელს ან ბამბისაგან ან ქოლისაგან, ან განათვისაგან მოქსოვილსა; თეთრეულსაცა ხმარობს, ზათეხულში ესე იცვამს, ზამთარში სხვა რიგად. მისი სხეული მაგარი, გაწმენდილის სისხლით და გაპატიოსნებულის სულით განათლებული, ბევრს იმისთანა მზრუნველობას და პატივს ითხოვს, ურომლისოთაც გაუსათლებელი ოლად მიდის. ეი პროგრესი, ეი წარმატება: მაგრამ მაინც კიდევ ამას კეცობრიობა სიღარიბიდან არ გამოჭყავს, იმიტომ რომ კეცობრიობას მარტო ისა აქვს, რაც აუცილებლად საჭირო ასე, რომ ერთ დღესაც ისე ვერ იქეიფებს, რომ მაშინვე შიმშილი არ იგრძნოს.

მაშ შეგიძლიანთ ისე მოახდინოთ, რომ კაცმა შუა რიცხვით ათს საათზედ მეტი, ანუ თორმეტი საათი დღეში იმუშავოს? შეგიძლიანთ განა, რომ ასის კაცის საქმე ოთხმოცმა გააკეთოს, ანუ ოჯახმა მანეთი და ხუთი შაური დღეში დახარჯოს, მაშინ როდესაც დღეში შვიდმეტი შაურ ნახევარი შემოსავალი აქვს? როგორც ეს არ შეგიძლიანთ ისე ისა, რომ თქვენმა მაგაზინებმა, დუქნებმა რასაც თხოულობენ იმაზედ ბევრი საქონელი შეინახოს, იმაზედ ბევრი, რის ყიდვაც შეუძლიან ცხრა მილიონს ოჯახს, რომა თი-

თო ოჯახს დღეში შვიდმეტ შაურ ნახევარი აქვს. აბა მიეცით ყველას კისაც უჭირს ექვსი ზერანგი, მაუდის კაბა, ტანისამოსი ორი ხელი, რომ გამოიცვალოს ხოლმე, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ჯ მაშინ ნახავთ—ბევრი დაგრჩებათ თუ არა, მაშინ მეტყვით მე, ხართ თუ არა სიიეფეში, ჭსცურავთ თუ არა სიმდიდრეში. ეგ ქალაქის კოხტაობა, ეგ აუარებელი ქონება, ეგ სახელმწიფოს დიდ ბრწყინვალება, ეგ ჯარის, ლალის, საზოგადო სამუშავო ხარჯი; ეგ მიწების შემოსავალი, ეგ «liste civile», ეგ ხმაურობა და ლეწა ბანკების, ბაზრების, მილიონების და მილიარდების ჯახა-ჯუხი; ეგ დამტკბობელი სიამოვნება, რომლის ამბავიც ხანდისხან თქვენამდინაც მოვა ხოლმე—ეს ყველაფერი თქვენ თვალებს გიხვევთ, თვალებს გიბამთ, გაჯერებინებთ, რომ მართლა სიმდიდრე არის და თქვენის საკუთარის სილარიბით გულს გიკლავთ. მაგრამ მოიგონეთ, რომ ეგ მედიდურება და ბრწყინვალება, რომელშიაც ოთხი სულია, იმ ოჯახის შვიდმეტ შაურ ნახევრიდამ არის გამორიცხული, რომ ეგ დალაა მუშის ნამუშავარიდამ აღებული, ჯერ როცა მუშას თავის ნამუშავარის ფასი არ მიუღია. შემოსავალი არმიისა (ჯარისა)—შრომაზედ დადებული ხარჯია; შემოსავალი საკუთრებისა — შრომაზედ დადებული ხარჯია; შემოსავალი ბანკირისა, სოვდაგარისა, ვაჭრისა, ჩინოვნიკისა—შრომაზედ დადებული ხარჯია: მაშასადამე შემოსავალი ბრწყინვალებისათვის და მედიდურობისათვის მიუცილებელ საჭირო ებიდამ მოკრეფილია. მაშ ნუღარ გშურთ; როგორც ვაჭაცებმა მოითმინეთ ყოფა, რომელშიაცა ხართ და უოხარით თქვენს თავს: ბედნიერი კაცი უფრო ისა ყოფილა, ვისაც ჭსცოდნია ღარიბად ყოფნა. ძველის დროების სიბრძნემ წინადვე იგრძნო ეს ჭეშმარიტება. ქრისტიანობამ პირველად განსაზღვრა გადაწყვეტილად სილარიბის კანონი და რასაკვირველია როგორც სარწმუნოებას შეჭელარების, თეოლოგიის მხრით განიხილა იგი. წარმართთა გატაცებულ სიამოვნებათა წინააღმდეგმა ქრისტიანობამ სილარიბე ისე ვერ გამოიკვლია, როგორც რიგია; მან წარმოიდგინა სილარიბე ტანჯულად თავის დაჭერაში და მარხულობაში, მოანიზნობაში და სინა-

ნულში. ეს რომ მოვაშოროთ სიღარიბე, წარმოთქმული სახარებისაგან, არის უდიდესი ჭეშმარიტება, რომელიც ქრისტემ კაცს უქადაგა.

სიღარიბე რიგიანია და უძრახველი; მისი სამოსელი დაკონკებული არ არის, როგორც წამოსასხამი ცინიკისა; მისი სადგური თვალიზია, მრთელია და მშვიდობიანი, იგი თეთრეულს კვირაში ერთხელ მაინც იცვლის; იგი არც თეერ-მკრთალია, არც შიშმილით გადალეული. როგორც დანიელის ამხანაგნი, ჯანმრთელია მწვანილეულის საჭმელითა; მასსა აქვს ბური არსებითი, იგი ბედნიერია.

სიღარიბე კმაყოფილება არ არის: ეგ მუშისათვის გარეკვნა იქნებოდა. არ ვარგა, რომ კაცი კმაყოფილი იყოს; უნდა რომ ყოველთვის გაჭირების ნესტარსა ჭგრძნობდეს. კმაყოფილება გარეკვნაზედ მეტიც იქნებოდა; იგი მონება იქნებოდა. საქმე ის არის, რომ კაცს შეეძლოს, თუ გაუჭირდა, გაჭირებაზედ მაღლა დადგეს, გაჭირებას ჭბატონობდეს, და რაც საჭიროა, უიმისოთაც გაჭსძლოს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სიღარიბესაცა აქვს თავისი გულითადი მხიარულება, თავისი უმანკო დღეობა, თავისი ოჯახის სიტკბობა უფრო გულის მალმობიერებელი, რომელსაც ცხადად გამოგვიხატავს ჩვენ სადა, უბრალო და ზომიერი ცხოვრება.

ცხადია, რომ არც კი უნდა გვინდოდეს ამისთანა ყოფიდამ გამოსვლა, ცხადია, რომ უნდა ალვასრულოთ კანონი ბუნებისა და ჩვენის საზოგადოებისა. სიღარიბე მაღლია და ჩვენ უნდა ვუეურებდეთ მას, როგორც ჩვენის სიხარულის წყაროსა. გონება გვიბძანებს ჩვენ, რომ მისის მიხედვით უნდა წავიყვანოთ ჩვენი ცხოვრება; ჩვენი ზნეობა გავამარტიკოთ, სიამოვნებას ზომიერად ვექცევოდეთ, გავწმინდოთ, შრომა შევიყვაროთ და ყოველი ჩვენი წადილი და მიდრეკილება სიმართლეს დავუმორჩილოთ.

ბ. ვ.

რედაქციისაგან.

დიდი ხანია უნდა გამოცხადებულიყო კიდეც მომავალი წლისთვის ჩვენს ყურნალზედ ხელის მოწერა, მაგრამ ჯერ ხანად კიდევაც ვაგვიანებთ; იმიტომ რომ ყურნალის ბეჭდვამმა, მისი გამოსვლის დრო რიგი და თითონ თვორმატი გვინდა გამოვცვალოთ. ამის ნების დართვა ვითხოვეთ მთავრობისაგან და მანამ ნება არ მოგვეცემა ხელის მოწერის გამოცხადებას ჯერ გავბედავთ.

რედ.

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე ს თვე გამოვა სიგრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. სავარსამიძის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსული ადრესით გამოგზავნონ:

Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ

19-го Октября 1863 года. Г. Тифлисъ.